ანზორ შონია

ლაზიკა, ლაზები – უდიდესი ქართული ტკივილი

წერილი ლაზ ძმებს!



თბილისი, 2005

ბატონი ანზორ შონია სპეციალობით ინჟინერია, ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან სამრეწველო ობიექტებს, 1986-91 წლებში იყო გაერთიანება „ბორჯომის“ გენერალური დირექტორი.

ამჟამად ქ.რუსთაველის საზოგადოება „რუსთაველების“ საპატიო თავმჯდომარეა.

მთელი საქართველო მას იცნობს, როგორც მოღვაწე კაცს, დღევანდელ სატკივარზე, ერის ხვალინდელ დღეზე მაფიქრალ მამულიშვილს.

სწორე ამან ააღებინა ხელში კალამი და შეაქმნევინა ისეთი მწვავე გახმაურებული პუბლიკაციები, როგორიც იყო „წერილი აფხაზ შონიებს, ანუ ვაი ჩვენს თავს“ (1988 წ.), „ეროვნული მნიშვნელობის შეცდომა“ (1993 წ.), „ერის დიდი სატკივარი“ (1995 წ.), „გვარები მეტყველებენ“ (1997 წ.), „დაეუბრუნოთ საქართველოს მისი ისტორიული სახელი — იბერია“ (2002 წ.), „ერის შერიგება-გამოლიანების პროცესის შენერება დაუშვებელია“ (1999 წ.), „კეთილური ფაქტორის პოლიტიკური მიზნით გამოყენება საშიშია“ (2001 წ.), „ისევ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე“ (2005 წ.) და მრავალი სხვა.

ბატონი ანზორი მიიჩნევს, რომ აფხაზეთში მომხდარ ტრაგედიაში, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ ხალხმა არ იცოდა სიმართლე აფხაზეთზე, რა იყო აფხაზეთი საქართველოსთვის, ვინ იყვნენ ისტორიული აფხაზები, რამ განაპირობა აფხაზეთის ერთგვარი გაუცხოება ქართული სინამდვილიდან, ვინ არიან დღევანდელი ე.წ. აფხაზები, რა პროცესები მიმდინარეობდა აფხაზეთში და ა.შ.

საზოგადოებამ დიდი ინტერესით მიიღო მისი წიგნი „დიდი საქართველოს ტრაგედია“ (1998 წ.), რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომი „Правда об Абхазии“ (2000 წ.), წიგნი „ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა“ (2003 წ.).

ის თავის წიგნებში გარკვეულ ყურადღებას უთმობდა ლაზურ საკითხს, მაგრამ წუხდა, რომ თავისი გულისტკივილი ვერ გაუზიარა ლაზებს.

სწორედ ამას ითვალისწინებს წინამდებარე წერილი.

მისი აქტიური საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის აღიარება გახლდათ ის ფაქტი, რომ ბატონი ანზორი 1996 წელს არჩეული იქნა საქართველოს „ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ აკადემიის, ხოლო 2001 წელს „ფაზისის“ აკადემის ნამდვილ წევრად.

გამომცემელი

ლაზიკა, ლაზები — უდიდესი ქართული ტკივილი

წერილი ლაზ ძმებს!

ქართველი ხალხი ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლის იუბილისთვის ემზადება.

ჩანს, ქართველმა მეცნიერებმა შეაჯერეს პოზიციები და ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად კოლხეთის სამეფოს ეპოქა აღიარეს.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი მეცნიერები ახალი კატეგორიებით აზროვნებენ, ვინაიდან, ფაქტობრივად, ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დასავლეთ საქართველოში არსებულ მოვლენას ზოგადქართული მნიშვნელობა ენიჭება.

მართალია, მეცნიერები, ძირითადად, იმ აზრს ემხრობიან, რომ ბერძნებმა ეგრისის სამეფოს კოლხეთის სამეფო და მის მკვიდრ მოსახლეობას ეგრებს (მეგრელებს) კოლხები დაარქვეს, მაგრამ თუ გავიზიარებთ ჰეროდიტეს (ძვ.წ.ა. V ს.) ცნობას იმაზე, რომ ტერიტორია ფაზისიდან კასპიის ზღვამდე უკავიათ მხოლოდ კოლხებს, შესაძლებელია, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ქვეშ მთელი სამხრეთ კავკასია მოიაზრებოდეს.

შედიოდა თუ არა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველო კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში, ეს სხვა საკითხია, მაგრამ საქართველოს ისტორია იყო ისტორია მუდმივი ომებისა, საქართველოს გადასარჩენად და ქართული გენის, ჯიშისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

მართლაც, თავისი არსებობის მანძილზე, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს არაერთი დაცემა-აღზევება განუცდია. მართალია, მთელი

დასავლეთ საქართველოს, ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფო სრულიად კანონზომიერად შევიდა ერთიან საქართველოს სამეფოში (XI ს.), როდესაც საქართველომ გამორჩეულ სიძლიერეს მიაღწია, მაგრამ ერთიანი სამეფო მალე დაიშალა (XV ს) და, მომდევნო ეპოქაში, მთელი რიგი ქართული მიწები დაიკარგა.

მათ შორის, ერთ-ერთი დიდი დანაკარგი იყო ლაზიკა – თამარ მეფის ეპოქაში, მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია, რომელშიც შევიდა ლაზიკის ძირითადი ნაწილი (1203 წ.).

თითქოს ეს მოხდა თამარ მეფის მხარდაჭერით და ტრაპიზონის იმპერიის სათავეში აღმოჩნდნენ მისი ნათესავები, ბერძენი კომნენები, მაგრამ, ამის შემდეგ, ლაზიკა, ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიაში აღარ იხსენიება.

ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც ისევ დარჩა საქართველოს შემადგენლობაში, გურიის საერისთავო, შემდგომში სამთავრო წარმოჩინდა.

ხოლო მას შემდეგ, რაც ტრაპიზონის იმპერია ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო, ლაზიკა და ლაზები საბოლოოდ მოწყდნენ მშობლიურ საქართველოს.

სწორედ ამით დაიწყო საქართველოს მკვიდრი ნაწილების დაკარგვა, შემდგომში, ლაზიკას მიჰყვა მესხეთ-ჯავახეთი და აჭარა. ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიის თითქმის ნახევარი ახლადშექმნილ ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთთან ე.წ. შეერთებას, მთელ რიგ უარყოფით ასპექტებთან ერთად, გარკვეული დადებითი მოვლენებიც მოჰყვა – XIX საუკუნის ბოლოს, მესხეთ-ჯავახეთის ნაწილი და აჭარა ისევ დაუბრუნდა საქართველოს, მაგრამ დანარჩენი ტერიტორიები და მშობლიური ხალხისგან მოწყვეტილი ქართველები ერის მუდმივ ტკივილად დარჩა.

ბუნებრივია, ის მიწა, სადაც თქვენ ცხოვრობთ, საქართვე-

ლოს ისტორიული ნაწილი, თქვენი ღვიძლი სამშობლოა, მაგრამ მშობლიური ხალხისგან მოწყვეტა ძალიან მძიმეა.

ყველა ქართველს ბავშვობიდან გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მათი ძმები, ისეთივე ქართველები, როგორებიც თვითონ იყვნენ, მოწყვეტილნი არიან მშობელ ხალხს და უცხო ატმოსფეროში ცხოვრობენ.

ჩვენ შეგნებული გვქონდა თქვენი გულისტკივილი, რასაც სამშობლოსთან, მშობლიურ ხალხთან ურთიერთობის გაწყვეტა იწვევს.

ღირსეული ერისკაცები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები გულმოდგინედ გვინერგავდნენ თქვენდამი სიყვარულსა და თანაგრძნობას.

დღესაც მახსოვს, სკოლაში ქართველი პოეტის ილო მოსაშვილის პიესა – „ჩაძირული ქვები" რომ წაგვიკითხეს, ბავშვები გასუსული და თვალცრემლიანი ვისხედით, შეგვძრა მიუწვდომელი სამშობლოსადმი ჩვენი თვისტომის, ჩვენგან შორს მყოფი ლაზი ძმის უდიდესმა ნატვრამ, სიყვარულმა და ტკივილმა.

ეს პიესა დაიდგა საქართველოს უპირველეს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, იდგმებოდა სხვა თეატრებშიც.

ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით და ვართ თქვენი ღირსეული წინაპრების უდიდესი ღვაწლით, მათ ხომ წარმოუდგენელი თავდადების ფასად შეგინარჩუნეს ეროვნული მეობა, რწმენა. შთაგაგონეს, რომ თქვენი სამშობლო საქართველოს მკვიდრი ნაწილია და თქვენც, წარმოშობით, ქართველები ხართ.

თითქმის გამორიცხულია, ნებისმიერი საღად მოაზროვნე პიროვნება არ აღაფრთოვანოს იმ მოვლენამ, რომ დღევანდელი თაობის წარმომადგენლებიც ამ ტრადიციის ერთგულნი დარჩით.

ეს იშვიათი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში.

მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია, რომ, იმ ერებიდან, რომლებმაც გამორჩეული მისია შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში, ეს იქნებოდა ეგვიპტე, შუმერი, ხეთები, ურარტუ თუ

სხვა, ბევრი გადაშენდა, მაგრამ საქართველო გადარჩა.

ეჭვგარეშეა, რომ ეს ჩვენი ღირსეული წინაპრების დამსახურებაა, მათ სისხლის ფასად შეგვინარჩუნეს სამშობლო და ეროვნული თვითმყოფადობა, მაგრამ მაინც ამოუცნობია ქართველი ერის გადარჩენის ფენომენი.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს და ქართველი ხალხის გადარჩენის საიდუმლოს ახსნა, სწორედ ლაზების ავბედით ისტორიაშია – 7-8 საუკუნე მშობლიური ხალხისგან მოწყვეტის მიუხედავად, ლაზებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ ჯიში, ენა, მეტ-ნაკლებად ტრადიციები, გვარები და, რაც მთავარია, რწმენა, დიდი სიყვარული თავისი ისტორიული სამშობლოსა და მშობლიური ხალხის მიმართ.

თქვენ, დღეს, დემოკრატიულ თურქეთში ცხოვრობთ და, შეიძლება, სრულად ვერ აღიქვათ, თუ რამდენად რთული იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს კარგად იციან თქვენმა ბრძენმა უხუცესებმა.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში, თითქმის XX საუკუნემდე, ეროვნება არ ფიქსირდებოდა, ეროვნების განმსაზღვრელ კრიტერიუმად ითვლებოდა პიროვნების სარწმუნოება.

ისევე, როგორც ოსმალეთის იმპერიაში, მეჩეთში მონათლული ითვლებოდა ოსმალოდ, საქართველოშიც, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მონათლული ითვლებოდა ქართველად, გრიგორიანულ ეკლესიაში – სომხად, რუსულ ეკლესიაში – რუსად, სინაგოგაში – ებრაელად, მეჩეთში – თურქად და ა.შ.

სხვათა შორის, ტრაპიზონის იმპერია (XIII-XV საუკუნეები), რომელიც შეიქმნა თამარ მეფის ინიციატივით და მის სათავეში ქართული სამეფო საგვარეულოს ნათესავები, კომნენები იმყოფებოდნენ, ფაქტობრივად, ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა. იქ მცხოვრები, მართლმადიდებლურ ეკლესიაში მონათლული ლაზ-ჭანები ბერძნებად მოიხსენიებოდნენ.

უფრო მეტიც, ლაზები, რომლებიც შემდგომში საბერძნეთში გადასახლდნენ, ბერძნებად ითვლებიან. თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მათ დღესაც ახსოვთ, რომ ლაზები არიან.

თითქმის 6 საუკუნეა, ლაზები მუსულმანურ სამყაროში ცხოვრობენ და, ბუნებრივია, ერთგული მუსლიმები გახდნენ, რაშიც ალოგიკური არაფერია, მით უმეტეს, რომ ყველა რელიგია უაღრესად ამაღლებული და ჰუმანურია.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნებას რელიგია განსაზღვრავდა და ლაზებიც თურქებად ითვლებით, თქვენმა წინაპრებმა შეძლეს ეროვნების შენარჩუნება, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია.

არადა, დღესაც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე, თუ რომელს მიენიჭოს უპირატესობა, პიროვნების სარწმუნოებას თუ ეროვნებას.

კაცობრიობის ისტორია, ფაქტობრივად, ფარული ომია სასულიერო ფენასა და ხელისუფლებას შორის, პიროვნებაზე მეტი გავლენის მოსაპოვებლად. სწორედ ამის მაგალითია ეგვიპტეში ფარაონებსა და ქურუმებს შორის მიმდინარე ფარული ომი, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა რელიგიამ გაითავისა.

ეროვნება თუ სარწმუნოება? – სწორედ ამაზე გასცეს ცალსახა პასუხი ლაზებმა და მათმა მემკვიდრეებმა – აჭარლებმა. ლაზებმა საუკუნეებში გამოატარეთ თქვენი თვითმყოფადობა, ხოლო აჭარლებმა, როგორც კი დადგნენ არჩევანის წინაშე, გულწრფელად ეროვნება აირჩიეს და დაუბრუნდნენ მშობლიურ ერს.

ქართველი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა შემწყნარებლობით სხვა რელიგიების მიმართ.

ცნობილია საქართველოს უდიდესი მეფის, დავით აღმაშენებლის კეთილი დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა რელიგიების მიმდევარ ხალხებთან.

მეტიც, ერის სიამაყე, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი, დიდი შოთა რუსთაველი მაღლა დადგა ვიწრო სარწმუნოებრივ ცნობიერებაზე და მიუხედავად იმისა, რომ უმრწმესი ქრისტიანი იყო, თავის პოემაში არსად უხსენებია არც ერთი რელიგია, ის მხოლოდ ერთ ღმერთს აღიარებდა და თვლიდა, რომ ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა,

ერთი ღმერთის შვილები არიან. ამით ის აშკარად მაღლა დადგა არა თუ თანამედროვეებზე, არამედ მომდევნო თაობების მსოფლიოში აღიარებულ მოღვაწეებზეც.

ეს საქართველოში ტრადიციად იქცა.

რაღა შორს წავიდეთ – თბილისში, თითქმის, ერთმანეთის გვერდით დგანან მართლმადიდებლური და გრიგორიანული ეკლესიები, მეჩეთი და სინაგოგა, რომლებიც სრულიად მშვიდობიანად თანაარსებობენ და ყველა ამ კონფესიების მიმდევარი ხალხები შესანიშნავ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან.

მართლაც, საქართველოში, სარწმუნოებრივ ნიადაგზე, არასოდეს წარმოშობილა კონფლიქტური სიტუაცია, მაშინ, როდესაც ქრისტიან კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის, მუსლიმან შიიტებსა და სუნიტებს შორის, ხშირია მძაფრი ურთიერთდაპირისპირებები.

მით უმეტეს, მსოფლიოში მოქმედი ნებისმიერი რელიგია სიყვარულს, სათნოებას, კაცთმოყვარეობასა და ყოველივე სიკეთეს ქადაგებს, ყველა რელიგია პატივისცემასა და დაფასებას იმსახურებს, რის გამოც ყოვლად გაუმართლებელია რელიგიურ ნიადაგზე ხალხების ურთიერთდაპირისპირება. ეტყობა, განდიდების მანიით შეპყრობილი ამა თუ იმ ქვეყნის მმართველი წრეები რელიგიურ ფაქტორს თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებენ. თუმცა, ეს დღეს, შედარებით, იშვიათად ხდება, რამეთუ კაცობრიობა ახალი კატეგორიებით აზროვნებს.

ვფიქრობ, თურქეთის საზოგადოება აშკარად დემოკრატიული გახდა, რაზეც მსოფლიო საზოგადოების თვალში თურქეთის ავტორიტეტი მეტყველებს.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ჭეშმარიტი მართლმადიდებლები არიან, ეს მათ ხელს არ უშლით, გულწრფელად უყვარდეთ ისტორიული მოვლენების შედეგად გამაჰმადიანებული მოძმე ლაზები; ამაზე მეტყველებს აჭარლებისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება.

მართალია, იმ ეპოქაში, როდესაც ლაზები მშობლიურ ერს მოწყდნენ, ოსმალეთის იმპერიასა და საქართველოს შორის

მტრული დამოკიდებულება არსებობდა, მაგრამ მას შემდეგ საუკუნეები გავიდა და სიტუაციაც რადიკალურად შეიცვალა.

დღეს, თურქეთი და საქართველო, როგორც უახლოესი მეზობელი ქვეყნები, ღირსეული პარტნიორები არიან და თურქ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობა მტკიცდება.

თურქების მიმართ გამოკვეთილად დადებითად განგვაწყობს ის გარემოება, რომ თურქეთში ლაზები სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, ისინი ითვლებიან თურქი ერის ერთ-ერთ შემოქმედად, აქტიურად მონაწილეობენ თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, წარმოდგენილი არიან სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებში და არჩევით ორგანოებში.

ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ლაზები თურქებად იწერებიან და მუსულმანები არიან, მათ არავინ უშლით ლაზურად მეტყველებას, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების ერთგულებას, თავიანთ ისტორიულ ძმებთან, ქართველებთან კეთილ დამოკიდებულებას.

ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ თურქეთში დემოკრატია მაღალ დონეზეა.

თურქეთ-საქართველოს დამოკიდებულებაში მიმდინარე პოზიტიური ძვრები გვაიმედებს, რომ მოინახება ურთიერთობის ისეთი მოდელი, რომელიც მისაღები იქნება თურქი და ქართველი ხალხებისთვის და აღსდგება ლაზი ხალხის ნათესაური კავშირები, თავის მშობლიურ ხალხთან.

ლაზებო! – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ იმაში, რომ ქართველები, თქვენ, ისეთივე ჭეშმარიტ ქართველებად გთვლიან, როგორც ქართლელებს, მეგრელებს, კახელებს, იმერლებს, სვანებს თუ სხვა ქართული კუთხის მკვიდრ და თქვენს ჭირვარამს ისევე განიცდიან, როგორც ნებისმიერი ქართველისას.

საქართველოს ისტორიიდან დადგენილია, რომ ლაზები და ჭანები ქართული ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედნი არიან, დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველი ერის ჩამოყალიბებაში, საქართველოს გაერთიანებაში, ზოგადქართული კულტურის შექმნაში და, სრულიად კანონზომიერად, მათ არც ერთი

სხვა ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ქართველობაზე.

საქართველოში ეს არასდროს დამდგარა ეჭვის ქვეშ და ამ ჭეშმარიტებაზე წერაც, თითქოს, გაუმართლებელია, მაგრამ ერთმა გარემოებამ მაიძულა, თქვენთვის ამ წერილის მოწერა – მე გახლავართ ქ.რუსთავის „მრეწველთა კავშირის“ თავმჯდომარე და ხშირი შეხვედრები მაქვს უცხოელებთან, მათ შორის თურქებთანაც.

ერთხელ თურქეთის მოქალაქეებთან, ორ ლაზთან და ორ მესხთან მოვხვდი.

მართალია, თარჯიმანი გვყავდა, მაგრამ მაინც ვახერხებდი, ლაზებთან მეგრულად და მესხებთან ქართულად საუბარს.

ბუნებრივია, მესხებმა ლაზური არ იცოდნენ და ლაზებმა – ქართული. ლაზები მესხებს გურჯებს ეძახდნენ, მესხები კი, მათ ლაზებად მოიხსენიებდნენ.

როდესაც ტაქტიანად შევნიშნე, რომ გურჯი (ქართველი) ზოგადეროვნული ცნებაა და მასში მოიაზრებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი, მათ შორის, მესხებიც და ლაზებიც, სათანადოდ მესხებიც და ლაზებიც ქართველები არიან მეთქი, დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მაგრამ აშკარა იყო, მხოლოდ ზრდილობისთვის დამეთანხმნენ.

ჩემთვის ეს მოულოდნელობა არ ყოფილა, ვინაიდან ვიცოდი, რომ ლაზები თურქეთში მცხოვრებ მესხებს გურჯებს (ქართველებს) ეძახდნენ, ხოლო თავიანთ თავს ქართველებად არ თვლიდნენ.

ეს ინფორმაცია ლაზისტანში გამომავალი ჟურნალებიდან („ოგნიდან“, „ჩვენებურებიდან“) მქონდა. მათში გამოქვეყნებული მასალები ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებდნენ, თითქოს ლაზები დარწმუნებული არ არიან თავიანთ ქართველობაში.

მომეჩვენა, რომ ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები ანტიქართულ გავლენას განიცდიდნენ, ან, შესაძლებელია, გარკვეული ძალების დაკვეთას ასრულებდნენ.

გამორიცხული არ არის, ის საუკუნეების განმავლობაში

უცხო ატმოსფეროში ლაზების ცხოვრების შედეგი იყოს, რამაც მათი ეროვნული თვითშეგნების გარკვეული ცვლილებები გამოიწვია და მათი მეობის გაორება განაპირობა.

ამის მწარე გამოცდილება ჩვენც გვაქვს – რუსეთის იმპერია, თითქმის, 200 წლის განმავლობაში ცდილობდა ქართველების ასიმილირებას, გარუსებას, მაგრამ ქართველები რელიგიურად მაინც დაცული ვიყავით, ვინაიდან რუსები მართლმადიდებლები არიან და ჩვენ გაცილებით უკეთეს პირობებში ვიყავით, ვიდრე თქვენ. სათანადოდ, ჩვენმა წინაპრებმა შედარებით ადვილად შეძლეს ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ყოველ შემთხვევაში, როდესაც, შეძლებისდაგვარად, ლაზისტანში მიმდინარე პროცესებს ვაანალიზებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს, გარკვეული ძალები ცდილობენ, ლაზებში დაამკვიდრონ აზრი, რომ ისინი ქართველები არ არიან.

არადა, ეს ისეთივე მცდარი ქმედებაა, მეგრელები ქართველები არ არიანო, ამის დამტკიცებას რომ შეეცადო.

სხვათა შორის, XII-XV საუკუნეებში, როდესაც ლაზისტანი ტრაპიზონის იმპერიაში შედიოდა (რომელიც, ფაქტობრივად, ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო), იმ ეპოქაში ლაზებს ბერძნებად მიიჩნევდნენ, ვინაიდან ეროვნებას რელიგია განსაზღვრავდა, ხოლო ბერძნები მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ.

მართლაც, მრავალი ლაზი გახდა იძულებული, საბერძნეთში წასულიყო და, დღეს, ისინი ბერძნებად ითვლებიან.

XV საუკუნიდან ლაზისტანი ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა, ბუნებრივია, ლაზები მუსულმანები გახდნენ და დღეს ისინი თურქებად იწერებიან.

ამდენად, არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ თქვენ გარკვეულად ეჭვი გეპარებოდეთ თქვენს ქართველობაში, მაგრამ ამაში თქვენს დანაშაულს ვერ ვხედავთ, ვინაიდან შესაძლებელია, არც იცოდეთ საქართველოს, ქართველი ხალხის ისტორია, იგივე თქვენი დიდი წარსულის ისტორია.

სამწუხაროდ, ქართული კუთხეების ერთმანეთისაგან ხანგრ-

ძლივმა მოწყვეტამ, არათუ თურქეთში მცხოვრებ ქართველებში, არამედ მათ მკვიდრებშიც კუთხური ცნობიერება და ერთმანეთზე არასწორი შეხედულება დაამკვიდრა.

მართალია, საქართველოში, დღეს, ეს პრობლემა, ფაქტობრივად, არ არსებობს, მაგრამ ამ საკითხზე თქვენთან არავის უმუშავია და, ამდენად, თქვენი განწყობა ერთგვარად გასაგებია.

დამერწმუნეთ, ამაში ქართველ საზოგადო მოღვაწეებსა და მეცნიერებს ბრალი არ მიუძღვით, ვინაიდან კომუნისტურ ეპოქაში კატეგორიულად იკრძალებოდა ნებისმიერ ეროვნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება, მით უმეტეს, ლაზური საკითხის წამოწევა განიხილებოდა სახელმწიფოებრივ დანაშაულად, რომელიც, კანონით, სასტიკად ისჯებოდა.

ნებისმიერი კონტაქტი უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან, უაზრო თავგანწირვის ტოლფასი იყო.

პოსტსაბჭოურ სივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ, ამ საკითხზე დადებული ტაბუ მოხსნა, რაც უფლებას აძლევს ქართველ მეცნიერებს, უფრო ინტენსიურად იმუშაონ ეროვნულ საკითხებზე და, რა თქმა უნდა, მათ შორის, ლაზურ თემაზეც.

ჩემთვის უცნობია, თუ რა ღონისძიებებია დასახული ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი ღონისძიება იქნება საქართველოს სრულყოფილი ისტორიის შედგენა, რომელშიც ობიექტურად წარმოჩინდება ქართული სამეფოსამთავროების როლი საქართველოს ისტორიაში, მათ მკვიდრთა დამსახურება ერის წინაშე.

ბუნებრივია, მასში ღირსეულად აისახება ლაზიკის როლი ქართულ სინამდვილეში, ლაზების დამსახურება ქართველი ერის ჩამოყალიბებაში, ზოგადქართული კულტურის შექმნაში და ა.შ, მაგრამ, სანამ ქართველი მეცნიერები ამ საკითხს აკადემიურ დონეზე გადაწყვეტდნენ, თავს ნებას მივცემ, გავუზიარო საზოგადოებას ჩემი მოსაზრებები ლაზიკის რაობაზე, ლაზების ვი-

ნაობაზე, მათ როლზე საქართველოს ისტორიაში.

ამ მიზნით გადავწყვიტე თქვენთვის წერილის მოწერა და ჩემი შეხედულების გაზიარება, ლაზიკის რაობაზე, ლაზების ვინაობაზე, იმ აზრზე, რომელიც მათზე ქართველ ხალხში არსებობს, იმ ისტორიულ მოვლენებზე, რომლებმაც ქართული სინამდვილიდან ლაზების გარკვეული გაუცხოება განაპირობეს.

ამის აუცილებლობაში დამარწმუნა იმ გარემოებამ, თუ რამდენად უარყოფითი როლი ითამაშა აფხაზეთში განვითარებულ საშინელ მოვლენებში იმან, რომ არც მსოფლიო საზოგადოებამ, არც ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა არ იცოდნენ, რეალურად ვინ იყვნენ უძველესი აფხაზები, რა დამსახურება ჰქონდათ მათ ქართველი ერის წინაშე, რა იყო აფხაზეთი საქართველოსთვის, ვინ არიან დღევანდელი ე.წ. აფხაზები, რაში მდგომარეობდა აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული პროცესების არსი და ა.შ.

შემძრა აფხაზეთის მოვლენებმა, გარკვეული ძალები სარგებლობდნენ იმით, რომ საზოგადოებამ არ იცოდა სიმართლე აფხაზეთზე. მიუხედავად ჩემი სპეციალობისა და საქმიანობისა, იძულებული გავხდი, ხელი მომეკიდა აფხაზური საკითხისათვის და გამოვეცი:

– ნარკვევი „ერის სატკივარი“ (ჟურ. „პოლიტიკა“, 1995 წ., გვ.4-5-6-7-8-9), სადაც გადმოცემული იყო ჩემი მოსაზრებები აფხაზეთში, აფხაზებზე და იქ მიმდინარე პროცესების რეალურ არსზე.

– ბროშურა „გვარები მეტყველებენ“ (თბ. 1997 წ.), სადაც აფხაზეთში გავრცელებული გვარების მეშვეობით ვამტკიცებდი, რომ დღევანდელ ე.წ. „აფხაზ ერში“ 85-90% ქართული წარმომავლობის ხალხია, რა თქმა უნდა, მათ შორის ლაზებიც არიან.

– წიგნები „დიდი საქართველოს ტრაგედია“ (თბ. 1998 წ.) და „ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა“ (თბ. 2003 წ.), რომლებშიც საქართველოს ისტორიის ფონზე განხილულია აფხაზეთის ისტორია.

რამდენად სწორი ვიყავი, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია, მაგრამ აფხაზურ თემაზე მუშაობამ დამარწმუნა, რომ მიზანშეწონილი იყო, საზოგადოებისთვის საქართველოს ისტორიაში ლაზიკის როლზე და ქართველი ერის წინაშე ლაზების დამსახურებაზეც გამეზიარებინა საკუთარი მოსაზრებები. მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს ისტორია, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში, აშკარად ნაკლებადაა შესწავლილი. ბუნებრივია, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ერთეულის – ლაზიკის საერისთავოს, შემდგომში სამეფოს (IV-VI სს) ისტორიაც შესასწავლია.

მჯერა, არ იუცხოებთ, შეურაცხყოფად არ მიიღებთ, გამიგებთ, რომ ამას თქვენდამი სიყვარული მაკეთებინებს.

განსაკუთრებით მერიდება თქვენი უხუცესების, „აქსაკალების", მეშინია, ჩემი წერილი ჭკუის სწავლებად არ მიიღონ, ღმერთმა დამიფაროს, ამისთანა უტაქტობისაგან, ჩვენ მათ უდიდეს პატივს ვცემთ. მიგვაჩნია, რომ სწორედ მათი დიდი დამსახურებაა ლაზების ისტორიული მახსოვრობის შენახვა, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

დარწმუნებული ვარ, დღესაც ისინი არიან ლაზების ეროვნული თვითშეგნების გადამრჩენი ბურჯები.

დიდი მადლობა მათ!

ჩემს წიგნში „ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა" შევეცადე, საქართველოს ისტორიაში ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს რეალური როლი და ერის წინაშე მეგრელების (კოლხების) დამსახურება წარმომეჩინა.

მასში, ლოგიკურია, გარკვეული ყურადღება გავამახვილე ლაზიკის და ლაზების როლზე საქართველოს ისტორიაში, მაგრამ თავს ნებას მივცემ, უფრო დაწვრილებით შევეხო ამ საკითხს.

საქართველოს ისტორია როდიდან იწყება, ძნელი დასადგენია, მაგრამ აღიარებულია, რომ ქართველი ხალხი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, შორეულ წარსულში, ცხოვრობდა ერთი ხალხი, რომელიც დღევანდელი ქართველების წინაპრად ითვლება.

ისტორიული მოვლენების შედეგად, ეს ხალხი დაიშალა და მის მემკვიდრეებად მოგვევლინნენ იბერები (ქართლელები) და კოლხები (ეგრები).

სათანადოდ, პროტოქართული ენა ქართულ-მეგრულ-სვანურ ენებად დაიშალა.

როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებდა, თუ დადგინდებოდა, რა ენაზე მეტყველებდნენ ქართველების წინაპრები, ძნელი სათქმელია, რომელ ენასთან აღმოჩნდებოდა ის უფრო ახლოს, ქართულთან, მეგრულთან, თუ სვანურთან. ყოველ შემთხვევაში, არსებობს რეალური საფუძველი ვიფიქროთ, რომ დღევანდელ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქართველებს საერთო წარმომავლობა აქვთ.

რაც შეეხება ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიას, როგორც ანტიკური ეპოქის ისტორიული წყაროები გვამცნობენ, იგი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ეპოქით (ძვ.წ.ა. II ათასწლეული) იწყება.

დადგენილია, რომ ბერძნებმა ეგრისის სამეფოს კოლხეთის სამეფო დაარქვეს და ეგრისის მკვიდრ მოსახლეობას, ეგრებს (მეგრელებს) – კოლხები.

ამაში მოულოდნელი არაფერია, ცნობილია, რომ ანტიკურ ეპოქაში ბერძნებმა მთელ რიგ სახელმწიფოებს დაარქვეს სახელები და ისტორიაში ისინი ამ სახელებით დარჩნენ.

მართლაც, ანტიკური ეპოქის ბერძენი მოღვაწეები, ეგრისის სამეფოს კოლხეთად მოიხსენიებდნენ, ხოლო ქართველი და სომეხი მოღვაწეები, დასავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს, ყოველთვის, მხოლოდ ეგრისს უწოდებდნენ და მის მოსახლეობას მეგრელებს.

ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყო კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, რომელიც, II ათასწლეულის შუა საუკუნეებში, უკვე ითვლებოდა იმ

ეპოქაში ისტორიულ ასპარეზზე გამოსული მოწინავე სახელმწიფოების ელიტის სრულუფლებიან წევრად.

მაშინდელი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს დიდ ავტორიტეტზე მიგვანიშნებს იმ ეპოქის სპარსეთის, ასურეთის, ურარტუს და სხვა დიდი სახელმწიფოების მეფეთა მიერ დატოვებული წარწერები, მათ მიერ გადახდილ ომებზე კოლხეთის (ეგრისის) დიდ სამეფოსთან, ხოლო ანტიკური ხანის მოღვაწეები მას მოიხსენიებენ ისეთი დიდი სახელმწიფოების პარტნიორად, როგორებიც სპარსეთი, საბერძნეთი და სირია იყვნენ.

იმ ეპოქის კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს პოპულარობაზე მეტყველებს ბერძნების მიერ შექმნილი მითი პრომეთეზე და ლეგენდა-თქმულება არგონავტებზე.

ბერძნული მითის მიხედვით, მათი ეროვნული გმირი პრომეთე მიჯაჭვულია კავკასიის ქედზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ბერძნებმა, უკვე შორეულ წარსულში იცოდნენ საქართველოც და კავკასიაც.

ბერძნული თქმულება არგონავტებზე გვამცნობს, რომ მეფისწულ იაზონის თაოსნობით, კოლხეთში (ეგრისში) „ოქროს საწმისის“ წასაღებად მოსულან ბერძენი მეომრები და გაოცებული დარჩენილან, როდესაც მდიდარი და მაღალი კულტურის მქონე ქვეყანა, ღირსეული მეფე აიეტი და მისი უმშვენიერესი, ბრძენი ასული მედეა უხილავთ.

ბერძენ მეცნიერთა ვარაუდით, „ოქროს საწმისი“ უნდა ყოფილიყო ბატკნის ტყავზე ნაწერი ოქროს მოპოვების წესი, რასაც ბერძნები „კირიბიშად“ (კირიბი მეგრულად ბატკანი) მოიხსენიებდნენ და იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ საბერძნეთის პირველ სახელმწიფო კანონში პარაგრაფებს „კირიბიშებს“ უწოდებდნენ. ეს აძლევთ მეცნიერებს საფუძველს ივარაუდონ, რომ იმ ეპოქაში კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ.

ამ მოსაზრებას ანგარიშგასაწევს ხდის ჰეროდოტეს (ძვ.წ.ა. V ს.), პოლონიოს როდოსელის (ძვ.წ.ა. IV-III სს) და სხვა მოღვაწეთა ცნობები, რომ კოლხებს (მეგრელებს) დამწერლობა ჰქონდათ.

უფრო მეტი, ანტიკური წყაროები გვამცნობენ, რომ კოლხებს (მეგრელებს) ჰქონდათ ე.წ. „კვირბები“ (ეტყობა ესეც „კირბის“ ნაირსახეობაა), რომელზედაც აღნიშნული იყო საზღვაო გზები, რის გამოც იმ ეპოქის სწავლულები თვლიდნენ, რომ კოლხებს საზღვაო რუკები ფინიკიელებზე და ბერძნებზე ადრე ჰქონდათ და იქვე ასკვნიან – ამ „კვირბების“ პატრონ ხალხს, თითქმის, გამორიცხულია დამწერლობა არ ჰქონოდა.

ეს რამდენად რეალურია, სხვა საკითხია, მაგრამ, როდესაც ამას ანტიკური ეპოქის დიდი სწავლულები ამბობდნენ, ეს უაღრესად ღირებულია, ჩვენი ღირსეული წინაპრების მიღწევათა აღიარებაა.

სხვათა შორის, ბერძნებს სხვა ერებზე არ შეუქმნიათ ესოდენ დიდებული მითი, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იცნობდნენ იმ ეპოქის მოწინავე ქვეყნებს.

საბერძნეთში მედეას სამედიცინო განსწავლულობას იმდენად დიდ შეფასებას აძლევდნენ, რომ ტერმინ „მედიცინის“ შემოღებას მედეას სახელს უკავშირებენ.

იმ ეპოქაში, როდესაც ეს მითი შეიქმნა, საბერძნეთი არ იყო ერთიანი, იყვნენ ქალაქი-სახელმწიფოები; ვარაუდობენ, თითქოს ბერძნებს სურდათ კოლხეთის (ეგრისის) ერთიანი სამეფოს წყობას და კულტურას გასცნობოდნენ.

ლოგიკურია ვიფიქროთ, მათ ამის საფუძველს აძლევდა კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილე, მით უმეტეს, ცნობილია, რომ ბერძნები მითების საფუძვლად იღებდნენ რეალურ მოვლენებს, რაც გერმანელი არქეოლოგის შლიმანის გათხრებმა დაადასტურეს, როდესაც მითებზე დაყრდნობით, ქალაქი ტროა აღმოაჩინა.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, თქმულება არგონავტებზე შექმნილია ძვ.წ.ა. XV-XIV საუკუნეებში და ფიქრობენ, რომ სწორედ მაშინ უწოდეს ბერძნებმა ეგრისს კოლხეთი და ეგრებს (მეგრელებს) კოლხები.

დიდმა ჰომეროსმა ეს თქმულებაც იცოდა და ის ქვეყანაც, რომელზეც მისმა წინაპრებმა ეს თქმულება შექმნეს.

ამ თქმულებას ისტორიული ღირებულება რომც არ ჰქონდეს, მაინც აშკარად მეტყველებს იმ ეპოქის კოლხეთის (ეგრისის) ავტორიტეტზე. ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი თავის ნაშრომში „ქართველი ერის ჩამოყალიბების პრობლემები“ (თბ. 1998 წ.) წერს: „ერის ერთიანობას განსაზღვრავს ერის ისტორიული მახსოვრობა და ქართველი ერის მახსოვრობას შემორჩა, როგორც ერის ერთიანობის სიმბოლო, კოლხეთის (ეგრისის) დიდი სამეფო, რაც იძლევა საშუალებას, ქართული ეთნოსის შექმნაში კოლხეთს (ეგრისს) მიეცეს უპირატესობა“.

კავკასიის ალბანეთი კავკასიის სინამდვილეში წარმოჩინდა ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებში და მდებარეობდა იბერიის სამეფოს აღმოსავლეთით, კასპიის ზღვამდე. დღეს მისი ტერიტორიის ძირითადი ნაწილი აზერბაიჯანის საზღვრებშია, ხოლო ნაწილი საქართველოს და სომხეთის საზღვრებში.

ალბანები, ისევე როგორც იბერები (ქართლელები), IV საუკუნიდან ქრისტიანები იყვნენ.

მართალია, სპარსებმა ალბანეთში, ისევე როგორც სომხეთში, მეფობა გააუქმეს, მაგრამ მან IX-X საუკუნეებამდე იარსება, მანამ, სანამ თურქ-სელჩუკებმა ალბანეთის ტერიტორიის ანექსირება არ მოახდინეს და იქ აზერბაიჯანის სახელმწიფო არ ჩამოაყალიბეს. სათანადოდ, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ალბანებმა ასიმილაცია განიცადეს და, დღეს, ისინი კანონზომიერად ითვლებიან აზერბაიჯანული ეთნოსის ერთ-ერთ შემოქმედად.

ალბანეთის ის კუთხე, რომელიც ესაზღვრებოდა ანუ ჰერეთი, საქართველოს შემადგენლობაში მოექცა და იარსება თითქმის XIV-XV საუკუნეებამდე, შემდგომში ქართლ-კახეთის სამეფოს შეერწყა.

სამწუხაროდ, ალბანეთის ისტორია სათანადოდ შესწავლილი არ არის და არც ალბანების ვინაობაზე არსებობს ერთმნიშვნელოვანი აზრი. მართალია, ქართველ მეცნიერთა ნაწილი

ალბანებს ქართველების მონათესავე ხალხად მიიჩნევს, მაგრამ ალბანებზე მეცნიერული კვლევა ამაზე შორს არ წასულა.

არადა, ამჟამად აღმოჩენილია შესანიშნავი წყარო, რომელიც გვამცნობს, თუ ვინ იყვნენ ალბანები – თურმე, არსებობს IX საუკუნის ბიზანტიური ენციკლოპედია, რომელშიც წერია – „ალბანები მეგრელები არიან“.

ალბათ, ამ წყაროს ეყრდნობოდა IX საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწე ევდოკია (იგივე მაკრემბოლიტისე), რომელიც ასევე წერს, რომ ალბანები მეგრელები არიან.

ცნობილია, რომ თუ რაიმე ღირებული ისტორიული წყაროები არსებობს უძველეს კოლხეთზე (ეგრისზე) და კოლხებზე (მეგრელებზე), ეს, ძირითადად, ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური წყაროებია.

სხვათა შორის, ბიზანტიელები წლობით ცხოვრობდნენ საქართველოში და შესანიშნავად იცნობდნენ აქაურობას.

მათი ობიექტურობა ეჭვს არ იწვევს, მით უმეტეს, გამორიცხულია, რომ ბიზანტიელი მოღვაწე, რომელმაც ეს ცნობა ენციკლოპედიაში შეიტანა, ტენდენციური ყოფილიყო.

აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი: როგორც ცნობილია, ბერძნები ეგრისს ყოველთვის კოლხეთს უწოდებდნენ და ეგრისელებს (მეგრელებს) კოლხებს, ხოლო ბიზანტიელები მათ მოიხსენიებდნენ ლაზიკად და ლაზებად.

რადგანაც ბიზანტიელი სწავლული მაინც მეგრელებს ახსენებს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ მან შესანიშნავად იცის, დასავლეთ საქართველოს ერთიანი სამეფო კოლხეთად იწოდებოდა, ლაზიკად თუ აფხაზეთად, მისი მკვიდრი მოსახლეები ყოველთვის მეგრელები იყვნენ.

ბიზანტიელი სწავლულის მოსაზრებას ალბანების ვინაობაზე, ერთგვარად ამაგრებს ცნობილი მეცნიერის იოსებ ყიფშიძის ნაშრომი „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა“ (ს. პეტერბურგი, 1914წ.).

აქ ის ეხება მეგრული ენის გავრცელების არეალს და აღნიშნავს, რომ მეგრული ენა გავრცელებული იყო, არა მარტო

იმერეთ-გურიაში, არამედ სამეგრელოდან ისეთ დაშორებულ რეგიონშიც, როგორიც საინგილოა.

საინგილო, ალბანეთის დასავლეთი ნაწილია, რომელიც ჰერეთის საზღვრებში იყო (დღ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე).

აქ ის ნახულობს ბევრ მეგრულ ტოპონიმებს, სიტყვებს, გამოთქმებს, ქართულად წერისას მეგრული ენის გავლენას და ა.შ.

ამ მოვლენას ბატონი იოსებ ყიფშიძე ხსნის იმით, რომ, შორეულ წარსულში, აღინიშნა მეგრელების მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოში.

თუ გავითვალისწინებთ ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდოტეს (ძვ. წ.ფ. Vს.) ცნობას, რომ ტერიტორია, მეწამული ზღვიდან ფაზისამდე, სპარსებს, მიდიელებს, სასპერებს და კოლხებს უჭირავთ, სრულიად დასაშვებია, კოლხეთის ქვეშ ვიგულისხმოთ მთელი სამხრეთი კავკასია; მით უმეტეს, რომ ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, თუ ვინ ცხოვრობდა ტერიტორიაზე, ლიხის ქედიდან კასპიის ზღვამდე, ძვ. წელთაღრიცხვის ეპოქის თითქმის IV საუკუნემდე. ყოველ შემთხვევაში დადგენილია, რომ კოლხეთის (ეგრისის) სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, მცირე აზიის დასავლეთი ნაწილიდან ქ. ლაზიკამდე (შემდგომში ნიკოფსია, დღ. ქ. ტუაფსეს მიდამოები).

თუ გავიზიარებთ ბერძენი ლოგოგრაფოსის ჰეკატე მილეთელის (ძვ. წ.ა. VIს.) ცნობას, რომლის მიხედვითაც მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაშია და მესხები კოლხები არიან, სამხრეთ საქართველოც კოლხეთის საზღვრებში უნდა ვიგულისხმოთ, რასაც ანგარიშგასაწევს ხდის ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოში დღესაც ბევრ მეგრულ ტოპონიმს ვხვდებით.

მართალია, დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს ბერძნებმა კოლხეთის სამეფო და მის მკვიდრ მოსახლეებს ეგრებს (მეგრელებს) კოლხები დაარქვეს, მაგრამ მის ტერიტორიაზე დასახელებული არიან სხვადასხვა წვრილ-წვრილი

ტომები – მაკრონები, თუბალები, ტაოელები, ხალდები, ხალიბები, სანიგები, შკვითინები, მისიმიანები, ჰენიოხები, მოსინიკები, ტიბარენები, დრილები, კერკეტები და ა.შ.

სამწუხაროდ, არსებული ისტორიული წყაროები არ იძლევიან იმის საშუალებას, რომ ზუსტად დადგინდეს მათი ვინაობა.

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსის მქონე ტომებია, რომელთა ასიმილირებაც მოახდინეს კოლხებმა (მეგრელებმა) და მათ მონაწილეობა მიიღეს კოლხური (მეგრული) ეთნოსის ჩამოყალიბებაში, ნაწილი ფიქრობს, რომ ისინი კოლხური (მეგრული) ეთნოსის ტომებია და ამ სახელებით იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ. ბოლო მოსაზრებას ემხრობა მეცნიერების უმრავლესობა, მათ შორის ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი დიდი ივანე ჯავახიშვილი. მით უმეტეს, თუ რამეა შემორჩენილი, რაც მეტყველებს მათ ვინაობაზე, ფაქტობრივად, თითქმის ყველაფერი მეგრულია.

ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან, იმ ეპოქაში, არათუ რაიმე მნიშვნელოვანი დასახლება, არამედ საგვარეულოც კი, თავის თავს ერად მიიჩნევდა და თავის ეროვნებად თვლიდა იმ კუთხის დასახელებას, რომლის მკვიდრიც იყო. მით უმეტეს, ეს ტომები, ხშირად, ხანგრძლივად იყვნენ ერთმანეთისგან მოწყვეტილნი და, ალბათ სწორი წარმოდგენა არც ჰქონდათ, არც თავიანთ ვინაობაზე და არც ერთმანეთზე, მაგრამ, რადგანაც ბერძნებმა ამ ტომებს დაარქვეს ერთი სახელი – „კოლხები“, ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ეგრისის სამეფოს მკვიდრები, ეგრები (მეგრელები) იყვნენ და ბუნებრივია, მათი ენა იყო მეგრული, ან მეგრული ენის ესა თუ ის კილოკავი.

მართლაც, დღესაც, ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე, იქნება ეს თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის თუ სომხეთის საზღვრები, ძირითადად, მხოლოდ მეგრული ტოპონიმებია შემორჩენილი.

ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორია ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, ფაქტობრივად, ყოველთვის (ეგრისის) სამეფოს ისტორიაა, მხოლოდ ძვ.წ.ვ. IV საუკუნეში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოსგან დამოუკიდებელი იბერიის (ქართლის) სამეფო.

დაახლოებით ამ ეპოქაში წარმოჩინდა ალბანეთის სამეფოც.

მართალია, ძნელია ზუსტად დადგინდეს, შედიოდა თუ არა აღმოსავლეთ საქართველო კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს შემადგენლობაში და ჩაითვალონ თუ არა იბერები (ქართლელები) კოლხების (მეგრელების) მემკვიდრეებად, მაგრამ არსებობს რეალური საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იბერებში (ქართლელებში) და კოლხებში (მეგრელებში) საერთო ეთნოსის დომინანტი იყოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ვერსიასაც, რომ იბერიას (ქართლს) საფუძველი ჩაუყარეს მესხებმა, შესაძლებელია ამის დაშვება, ვინაიდან მესხები კოლხები იყვნენ და მესხეთი კოლხეთში შედიოდა.

ეს ასე იყო თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ ძვ.წ.ა. IV საუკუნიდან საქართველოს ისტორია, ფაქტობრივად, იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოების ისტორიაა.

სწორედ ამ სამეფოების გაერთიანებაში მდგომარეობდა ერთიანი საქართველოს იდეა და კოლხებისა (მეგრელების) და იბერების (ქართლელების) ერთიანობაში იყო ქართველი ერის ჩამოყალიბების არსი.

საბედნიეროდ, ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობეს, რომ იბერიის და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები გაერთიანებულიყვნენ და იბერები (ქართლელები) (XI ს) და კოლხები (მეგრელები) ერთად ყოფილიყვნენ.

სათანადოდ, ქართველი ერის ძირითადი შემოქმედნი არიან იბერები (ქართლელები) და კოლხები (მეგრელები).

ბუნებრივია, გაერთიანების ეპოქაში, (XI-XV სს) როგორც მოიაზრებოდნენ იბერების (ქართლელების) ქვეშ კახელები, მესხები, ჯავახები, მთიულები, ასევე მოიაზრებოდნენ კოლხების (მეგრელების) ქვეშ ლაზ-ჭანები, აფხაზები, სვანები.

სამწუხაროდ, თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად იყო საქართველო ერთიანი.

როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები პირველად ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქაში (ძვ. წ.ფ. IV-IIIსს.) გაერთიანდა.

ეს იყო ეროვნული მნიშვნელობის უდიდესი მოვლენა.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლხეთის (ეგრისის) მეფის ქუჯის პიროვნება. მცხეთის მამასახლისის ძმისწულმა, ფარნავაზმა სთხოვა ქუჯის, დახმარებოდა იბერიის (ქართლის) მეფის, ბერძენი აბოს წინააღმდეგ ბრძოლაში და, მისი დამარცხების შემდგომ, გაეერთიანებინათ სამეფოები და ერთიანი საქართველოს მეფე ქუჯი გამხდარიყო. ქუჯიმ დახმარებაზე სრული მხარდაჭერა აღუთქვა, მაგრამ კატეგორიული უარი თქვა წინადადებაზე და დიდსულოვნად დაუთმო მეფობა ახალგაზრდა ფარნავაზს.

უდავოდ აღფრთოვანებას იწვევს ქუჯის საქციელი – ის უკვე დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) მეფე იყო, მაგრამ მან დათმო ეს ტიტული და რიგით ერისთავობას დათანხმდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო ყოფილიყო ერთიანი, რაც, ვფიქრობ, უპრეცედენტო მოვლენაა, არა თუ საქართველოში, არამედ კაცობრიობის ისტორიაში.

ეს იყო ეროვნული თვითშეგნებისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის უმაღლესი გამოვლინება.

მართალია, ეს მოვლენა სხვა უცხოური წყაროებით არ დასტურდება და არც საქართველოში განვითარებული ისტორიული მოვლენები მეტყველებენ ამ გაერთიანების რეალურობაზე, მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ეს მოვლენა ქართველი ხალხის მეხსიერებაში ერთიანი საქართველოს და ერთიანი ქართველი ერის სიმბოლოდ დარჩა.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქას იბერიისა (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები ისევ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამეფოებად შეხვდნენ.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი დღემდე ვერ ეღირსა სრულ-

ყოფილ და ობიექტურ საქართველოს ისტორიას, რასაც გამართლება არა აქვს, მაგრამ იბერიის (ქართლის) სამეფოს ისტორია ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში მეტ-ნაკლებად არსებობს, ხოლო კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ისტორია თითქმის შეუსწავლელია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მას არც უარსებია, ან თუ არსებობდა, მხოლოდ ნომინალურად, მაშინ როდესაც, დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს როლი და კოლხების (მეგრელების) დამსახურება საქართველოს ისტორიაში უაღრესად დიდია.

ძვ. წ. ა. I საუკუნის დასაწყისში, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო პონტოს სამეფომ დაიპყრო, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს რომის იმპერიამ.

ფიქრობენ, რომ რომაელებმა, თითქოს, გააუქმეს კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, მაგრამ ის მაინც მოიცავდა ტერიტორიას მცირე აზიიდან ნიკოფსიამდე (დღ. ტუაფსეს მიდამოები) და აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე.

ამდენად ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო აშკარად დასუსტებული ჩანს.

მართალია, V საუკუნეში კოლხეთის (ეგრისის) სამეფო ისევ აღდგენილია, მაგრამ ის მოექცა ახლადწარმოქმნილ ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში.

როგორც აღვნიშნე, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახელებული არიან სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომები, რომლებიც კოლხურ (მეგრულ) ტერიტორიულ ჯგუფებს წარმოადგენენ, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ისინი, ფაქტობრივად, უკვე არ სჩანან, მაგრამ, სანაცვლოდ, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილეში წარმოჩინდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები, მარგვეთის, აფხაზეთის და ლაზეთ-ჭანეთის საერისთავოები. სათანადოდ, ამ საერისთავოების ტერიტორიაზე მცხოვრები წვრილ-წვრილი ტომები ამის შემდეგ იწოდებოდნენ მარგველებად, აფხაზებად, ლაზებად და ჭანებად, ბუნებრივია, ამას არავითარი ეთნიკური ცვლილებები არ მოჰყოლია – მარგვეთ-

ში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა მარგველი, აფხაზეთში მცხოვრებს – აფხაზი, ლაზეთში – ლაზი და ჭანეთში – ჭანი, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო ზუსტად მეგრული ენის მარგველურ-აფხაზურ-ლაზური კილოკავები და ისინი, როგორც მეგრელების ტიპიური წარმომადგენლები, I-II საუკუნეებიდან ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში, გარკვეულ ტერიტორიებს უხსოვარი დროიდან ერქვათ მარგვეთი, აფხაზეთი, ლაზეთი და ჭანეთი, მაგრამ ისინი ისტორიაში არ ჩანდნენ, რადგანაც ადრე ისინი ადმინისტრაციული ერთეულები არ ყოფილან.

ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორიც გურიისა და გურულების წარმოჩენასთან დაკავშირებით – გურია, როგორც ეგრისის სამეფოს რიგითი ტერიტორიის დასახელება, უხსოვარი დროიდან არსებობდა (გური – მეგრულად გულს ნიშნავს), მაგრამ ეგრისის ისტორიაში XII საუკუნემდე არ ჩანდა, ვინაიდან ის ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა; ხოლო მას შემდეგ, რაც გურია საერისთავო გახდა, ეგრისის სამეფოს ისტორიაში ჩნდება ცნებები „გურია“ და „გურულები“.

სწორედ ასე გაჩნდნენ ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ცნებები „მარგვეთი“, „ლაზიკა“, „აფხაზეთი“ და „მარგველები“, „ლაზები“ და „აფხაზები“, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში. „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია ლეონტი მროველის მიერ შედგენილი ლეგენდა კავკასიის ხალხების წარმომავლობაზე. ლეგენდის თანახმად, თითქოს ისინი ბიბლიური ნოეს შთამომავლები ყოფილან – იაფეტის ძისწულს თარგამოსს კავკასიაში დაუსახლებია თავისი 8 შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, პეროსი, კავკასი და ეგროსი.

სწორედ ისინი ითვლებიან კავკასიის ხალხების ეთნარქებად.

ეტყობა, მროველს პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა, რო-

დესაც ამ ლეგენდას ქმნიდა. ალბათ, უნდოდა, ერწმუნათ კავკასიის ხალხებს, რომ ისინი ერთი ეთნოსის მატარებელი მოძმე ხალხებია, მაგრამ, ფაქტობრივად, ისინი იმდენად განსხვავებული ეთნოსების ხალხებია, რომ ამ ლეგენდამ აზრი დაკარგა.

ჩემი აზრით, ლეონტი მროველი არც იმაშია მართალი, რომ ქართველებს 3 სხვადასხვა ეთნარქი – ქართლოსი, ჰეროსი და ეგროსი მიუჩინა. ამით მან, ქართლელებისა და მეგრელების ურთიერთდამოკიდებულება მათი სხვა კავკასიის ხალხებთან დამოკიდებულების რანგში აიყვანა და გარკვეული ზღვარი წარმოშვა ქართლელებსა და მეგრელებს შორის, მაშინ როდესაც, მას სრული მორალური უფლება ჰქონდა, მათთვის ერთი ეთნარქი, ან ქართლოსი, ან ეგროსი მიეჩინა, მით უმეტეს, მისი შედგენის ეპოქაში (XI-XII სს) საქართველო ერთიანი იყო.

მართალია, მროველს ქართველთა ეთნარქად მხოლოდ ქართლოსი მიაჩნია, მაგრამ შემდგომში ქართველმა მეცნიერებმა ჰეროსიც და ეგროსიც ქართველების ეთნარქებად აღიარეს, ვინაიდან ქართველი ერის შემოქმედები სწორედ ეს ხალხებია.

რით ხელმძღვანელობდა ამ ლეგენდის შედგენისას ლეონტი მროველი და რა ისტორიულ წყაროებს ეყრდნობოდა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის შესანიშნავად იცნობდა ლეგენდის შედგენის ეპოქაში (XI-XII სს) კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს.

მან კარგად იცის, რა მდგომარეობაა იბერიაში (ქართლში), მას ქართლოსი მიაჩნია ქართველების ეთნარქად და ასახელებს ქართლოსის შვილებს – კახოსს, კუხოსს, მცხეთოს, გაჩიოს და გარდაბოს, რომლებიც ქართლში არსებული კუთხეების მკვიდრების წინაპრებად მიაჩნია.

მროველი, სრულიად კანონზომიერად მიიჩნევს, რომ კახეთში მცხოვრებ ქართლელს „კახელი“ ჰქვია, ჯავახეთში მცხოვრებს „ჯავახი“ და ა.შ.

რადგანაც მროველმა მთელი დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს მოსახლეობას ერთი ეთნარქი, ეგროსი მიუჩინა, მეტყველებს იმაზე, რომ ის ეგრისის ძირითად მოსახლეობად მიიჩნევს ეგრებს (მეგრელებს), მიუხედავად იმისა,

რომ მან კარგად იცის აფხაზიც, ლაზიც, ჭანიც, მარგველიც და სვანიც.

ის დარწმუნებულია, როგორც კახეთში მცხოვრებ ქართლელს ჰქვია „კახელი“, ისე აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელს ჰქვია „აფხაზი“, ლაზეთში მცხოვრებს „ლაზი“ და ა.შ.

თუ ლეონტი მროველი ეგროსის შვილებსაც დაასახელებდა, ბუნებრივია, მათი სახელები იქნებოდა „მარგველოსი“, „აფხაზოსი“, „ლაზოსი“, „ჭანოსი“ და „სვანოსი“.

შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ ეგროსის შვილებად არ ვასახელებ იმერლების, გურულების, რაჭველებისა და აჭარლების ეთნარქებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „ქართლის ცხოვრების“ შექმნის ეპოქაში (XI-XII სს), ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებს ეგრისის სამეფოს სინამდვილეში და არც ცნებები იმერელი, გურული, რაჭველი, აჭარელი არსებობდა, ისინი, ფაქტობრივად, ახალი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველ საუკუნეებში წარმოჩინდნენ. ყოველ შემთხვევაში, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში გარდა კოლხებისა (მეგრელებისა), არც მარგველები ჩანან, არც ლაზები, ჭანები და აფხაზები. უფრო მეტი, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ისინი I საუკუნეშიც არ ჩანან, რაზეც მეტყველებენ პტოლომეოსისა და პლინიუსის (II ს) რუკები, რომლებიც ზუსტად აღწერენ საქართველოს და მასში არც ლაზეთია ნაჩვენები, არც მარგვეთი და არც აფხაზეთი, ისინი აღნიშნული არიან ეგრისის სამეფოს რიგით ტეკრიტორიებად.

მარგვეთი, ლაზეთი, ჭანეთი და აფხაზეთი, შესაბამისად – მარგველები, ლაზები, ჭანები და აფხაზები ისტორიულ წყაროებში I-II საუკუნეებიდან ჩანან, ეგრისის სინამდვილეში, რაზეც მიუთითებენ ბერძენი და რომაელი სწავლულები, მაგრამ ისინი მათ კოლხებად მოიხსენიებდნენ, როგორც ტიპიურ ეგრებს (მეგრელებს), რადგანაც მარგველები, ლაზები, ჭანები და აფხაზები ეთნიკურ სახესხვაობებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მეგრელები იყვნენ და ამ სახელებით იმიტომ იწოდებოდნენ,

რომ ისინი ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს იმ ნაწილებში, რომლებსაც ერქვათ მარგვეთი, ლაზეთი, ჭანეთი და აფხაზეთი.

ლოგიკურია, ისინი, როგორც რიგითი ტერიტორიები, ადრე-ვე იარსებებდნენ ეგრისის სამეფოში და, ალბათ, თავის მისიას ასრულებდნენ, მაგრამ ისტორიაში არ ჩანდნენ, რადგან არ იყვნენ ადმინისტრაციული ერთეულები. ყოველ შემთხვევაში, ახ.წ.ა. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში, ეგრისის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას ტრაპიზონიდან ნიკოფსიამდე (დღ.ტუაფსეს მიდამოები), აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე და მასში შედიოდნენ შემდეგი საერისთავოები:

– მარგვეთის, ლაზეთ-ჭანეთის და აფხაზეთის.

ბუნებრივია, ამ საერისთავოების ტერიტორიებზე ისევ ცხოვრობდნენ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ეგრისის სამეფოში დასახელებული წვრილ-წვრილი ტომები, მაგრამ ამ საერისთავოების წარმოჩენის შემდეგ, ისინი, ფაქტობრივად, არ მოიხსენებიან და მოიაზრებიან მარგველების, ლაზ-ჭანებისა და აფხაზების ქვეშ.

ეგრისის სამეფოში შედიოდა აგრეთვე სვანეთი, მაგრამ არც ის მოიხსენიება საერისთავოდ და არც ტერმინი „სვანები“ ჩანს, ვარაუდობენ, რომ სვანები შეიძლება მოიაზრებოდნენ ან მისიმილიანების, ან ჰენიოხების, ან სანიგების ქვეშ.

რა თქმა უნდა, ლეონტი მროველი სვანებსაც ეგროსის შთამომავლებად მოიაზრებდა.

შევეცდები გაგიზიაროთ ჩემი შეხედულება ამ საერისთავოების რაობაზე, მათი მკვიდრების ვინაობაზე, მათ როლზე საქართველოს ისტორიაში.

– მარგვეთი – მარგვეთის საერისთავო ჩამოყალიბდა ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში (I-II საუკუნეები), დღევანდელი ზემო იმერეთისა და რაჭის ტერიტორიაზე.

ტერმინ „მარგვეთს“ უკავშირებენ ცნება „მარგალს“ (მეგრელს).

ამ ტერიტორიაზეც იცხოვრებდნენ ეგრისის სამეფოში დასახელებული წვრილ-წვრილი ტომებიდან ზოგიერთები, მაგრამ

მარგვეთის საერისთავოს ჩამოყალიბების შემდეგ, მათ მარგველებად მოიხსენიებდნენ, უფრო ზუსტად, მარგველის ქვეშ მოიაზრებოდა მარგვეთში მცხოვრები მეგრელი, სათანადოდ, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული და, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, I-II საუკუნეებიდან ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ.

მარგვეთის ტერიტორიაზე ცნობილია შორაპანისა და სკანდის ციხეები.

სამწუხაროდ, მარგვეთის ისტორია თითქმის უცნობია, მაგრამ, დაახლოებით VII საუკუნიდან, მისი მფლობელები იყვნენ ლაზი დიდებულები ბაღვაშები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეგრისის სამეფოში, ლაზური დინასტიის ზეობის ეპოქაში, მარგვეთი ლაზეთის მმართველი საგვარეულოს წარმომადგენლების მფლობელობაში იყო.

ერთიანი საქართველოს დაშლის (XV ს.) მომდევნო ეპოქაში, როდესაც ეგრისის სამეფოს ყოფილი ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფო, მარგვეთის საერისთავო მის საზღვრებში აღმოჩნდა და ამის შემდეგ მარგვეთი, როგორც საერისთავო, ისტორიაში არ იხსენიება.

ისტორიაში ცნობილია, რომ არაბების მიერ ქართლის დაპყრობისა და იქ ერისმთავრობის გაუქმების შედეგად, ქართლში უმძიმესი პირობები იყო, რამაც განაპირობა ქართლელების მიგრაცია ეგრისის სამეფოში, რომელიც მეტ-ნაკლებადი ინტენსიურობით მიმდინარეობდა VII-XI საუკუნეებში. ბუნებრივია, მათი გარკვეული ნაწილი მარგვეთშიც დამკვიდრდა, როდესაც იმერეთი ქართულენოვანი რეგიონი გახდა, მარგვეთიც, როგორც მისი ერთ-ერთი ნაწილი, ქართულენოვანი გახდა, სათანადოდ, იქ მცხოვრები მეგრელები, რომლებიც ადრე მარგველებად იწოდებოდნენ, ამის შემდეგ, სრულიად კანონზომიერად, იმერლებად იწოდებიან.

– ლაზეთი და ჭანეთი – ისტორული წყაროებით დადგენილია, რომ, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამე-

ფოს სამხრეთ ნაწილში მდინარე რიონიდან მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ჩათვლით, დღევანდელი გურიის, აჭარისა და ლაზისტანის ტერიტორიებზე წარმოჩინდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები, საერისთავოების სახით: „ლაზეთი“ და „ჭანეთი“.

მართალია, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს სინამდვილეში არც „ლაზეთი“ ჩანდა და არც „ჭანეთი“, მაგრამ, ბუნებრივია, ტოპონიმები „ლაზეთი“ და „ჭანეთი“, როგორც ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს რიგითი ტერიტორიების დასახელება, უხსოვარი დროიდან იარსებებდნენ, თუმცა, საქართველოს ისტორიაში არ ჩანდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ადმინისტრაციულ ერთეულებს არ წარმოაჩენდნენ.

ცხადია, ამ ტერიტორიაზე ადრე ცხოვრობდნენ ხალიბები, ტიბარენები, ხალდები, მოსინიკები, დრილები და სხვები, იმ წვრილ-წვრილი ტომებიდან, ზოგიერთები, რომლებიც მოიხსენიებოდნენ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს სინამდვილეში.

როგორც ცნობილია, II-III საუკუნეებში ლაზეთის საერისთავო აშკარად დაწინაურდა და ჭანეთი მისი გავლენის ქვეშ მოექცა, რის გამოც შემდგომში „ლაზეთის“ ქვეშ „ჭანეთიც“ მოიაზრებოდა.

III-IV საუკუნეებში ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში მოვლენები ისე განვითარდა, რომ მასში შემავალი საერისთავოებიდან ყველაზე მეტად სწორედ ლაზიკის საერისთავო გაძლიერდა, რამაც, ეტყობა, სამეფოს სათავეში ლაზური დინასტიის მოსვლაც განაპირობა და, ამის შემდეგ, თითქმის VIII საუკუნემდე, ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს „ლაზიკის“, უფრო ზუსტად, „ეგრის-ლაზიკის“ სამეფოდ მოიხსენიებდნენ.

ლაზები და ჭანები – ლაზეთისა და ჭანეთის საერისთავოების წარმოჩენის შემდგომ, ბუნებრივია, გაჩნდნენ ცნებები „ლაზი“ და „ჭანი“.

ადრინდელ ეპოქაში ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ წვრილ-წვრილ კოლხურ (მეგრულ) ტერიტორიულ ჯგუფებს, ესენი

იქნებოდნენ ხალიბები, მოსინიკები, დრილები, თუ სხვები, I-II საუკუნეებიდან, ფაქტობრივად, ეწოდათ ლაზები და ჭანები, უფრო ზუსტად ლაზეთში და ჭანეთში მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ „ლაზები“ და „ჭანები“.

სწორედ ამ ეპოქიდან გაჩნდა უცხოელი სწავლულების ცნობები ლაზებზე და ჭანებზე, მათ საცხოვრისზე, ყოფაზე, სარწმუნოებაზე და ა.შ.

რადგანაც შემდგომში ჭანეთი ლაზიკის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, „ლაზის“ ქვეშ „ჭანიც“ მოიაზრებოდა.

რომაელი მწერალი პრინიუს უფროსი (I-ს) ლაზებს მდინარე ჭოროხის აუზში მცხოვრებ ტომებს შორის მოიხსენიებს, ბერძენი ავტორი მეძნონ ჰერაკლიდელი (II-ს) მათ ეგრისის ჩრდილოეთში ასახელებს, ფლაბიუს არიანე (II-ს) – ეგრისის შუაგულში, ხოლო პროკოპი კესარიელი (VI-ს) – მდინარე ფაზისის (დღ. რიონი) მიდამოებში.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, ლაზ-ჭანები, ფაქტობრივად, ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა კუთხეში ჩანან, რაც არცაა გასაკვირი, ვინაიდან იმ ეპოქაში, როდესაც ლაზეთი და ჭანეთი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს რიგითი საერისთავოები იყვნენ, ლაზ-ჭანები მის ყველა კუთხეში ბუნებრივი მიგრაციის შედეგად მოხვდებოდნენ, ხოლო, როდესაც ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს სათავეში ლაზური დინასტია აღმოჩნდა, ბუნებრივია, ლაზ-ჭანები უფრო მრავლად მოხვდებოდნენ სამეფოს ნებისმიერ რეგიონში, მით უმეტეს, ლაზები და კოლხები (ეგრები, მეგრელები) იმდენად ერთნი იქნებოდნენ, რომ შესაძლებელია, უცხლოელ სწავლულებს ისინი ერთმანეთისგან ვერც გაერჩიათ.

ცნობილია, რომ რომის იმპერიის დაშლისა და ბიზანტიის იმპერიის წარმოჩენის შემდგომ (V-ს), რომლის გავლენის სფეროშიც აღმოჩნდა ლაზიკის სამეფო, ბიზანტიელები ყოფილ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს „ლაზიკის სამეფოდ“ მოიხსენიებდნენ, ხოლო ძირითად მოსახლეობას, კოლხებს (მეგრელებს) ლაზებად.

ბერძენი სწავლული სტრაბონი თითქოს ლაზ-ჭანებს არ ასახელებს ეგრისის სამეფოში მცხოვრებ ტომებს შორის, მაგრამ შესაძლებელია, აქ შემდეგ სიტუაციასთან გვქონდეს საქმე – სტრაბონი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში შეიძლებოდა ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში არც ყოფილიყო, ვინაიდან იგი გარდაიცვალა I საუკუნის 23 წელს, ან შესაძლებელია, მის მიერ ნახსენებ ე.წ. „სოან-კოლხებში" ჭანებს მოიაზრებდა, ვინაიდან ბერძნები ჭანებს ხან „სანებად" მოიხსენიებდნენ და ხან „ზანებად".

მართალია, დღეს მეცნიერთა უმეტესობა „სოან-კოლხების" ქვეშ სვანებს მოიაზრებს, მაგრამ ამას საეჭვოდ ხდის ის გარემოება, რომ ამ ეპოქის ეგრისის (კოლხეთი) სამეფოს სინამდვილეში სვანები თითქმის არ ჩანან, მაშინ როდესაც ლაზ-ჭანები უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდნენ სამეფოში, მით უმეტეს, კავკასიონის მთის ძირში, სამეგრელოს ჩრდილო ნაწილში ჭანების განსახლების კვალი დღესაც არსებობს – ქართულ წყაროებში ჭანებს „წანებადაც" მოიხსენიებენ და „წენებადაც", ვარაუდობენ, რომ წანარები ჭანების შთამომავლები არიან.

წალენჯიხის რაიონს მეგრულად დღესაც „წენდიხა" (ჭანის მიწა) ჰქვია და მდინარე ერისწყალს „წენწყარი" (ჭანის წყალი).

სწორედ წალენჯიხის რიაონში გვხვდება უფრო ხშირად ჭანური გვარები: „ჭანია", „წულეისქირი" (ჭანურად წულეს შვილი), „პაპასქირი", „ბულესქირი", „ჭანთურია" (ჭანის გვარისა, იგივე ჭანტურია) და ა.შ.

ამდენად, შესაძლებელია, სტრაბონის მიერ ნახსენებ ე.წ. „სოან-კოლხების" ქვეშ ჭან-ლაზები იგულისხმებოდნენ.

ყოველ შემთხვევაში, ლაზები იგივე მეგრელებია, უფრო სწორად, ლაზებსა და მეგრელებს შორის ისეთივე განსხვავება იქნებოდა, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონების მეგრელებს შორის.

ლაზური ენა – ლაზების (მათ შორის ჭანების) მშობლიური ენა იყო და არის მეგრული, უფრო ზუსტად მეგრული

ენის ლაზური კილოკავი, ისეთივე, როგორც მეგრული ენის სენაკური თუ სამურზაყანოული კილოკავები.

„ლაზური ენა ახლოა ქართულთან და წარმოადგენს მეგრული ენის კილოს“ („ენციკლოპედიური ლექსიკონი“ თურქ. ფარს თუღლაჯი).

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ იმ წვრილ-წვრილი ტომებიდან, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში დასახლებული არიან ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში, ზოგიერთები უეჭველად იცხოვრებდნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც წარმოჩინდა ლაზიკა და შემდგომში იწოდებოდნენ ლაზებად, მაგრამ როგორც კოლხური (მეგრული) ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, ადრე ისინიც მეგრულად იმეტყველებდნენ.

„... რომ მეგრული აქ იმთავითვე სუფევდა, რომ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები და სხვები, სწორედ ლაზურ-ჭანურად ლაპარაკობდნენ და ყველანი ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ („ქართველების სამი შტო“. ივანე ჯავახიშვილი, ჟურნ. „მნათობი“, 1948 წ.), ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეგრისის (კოლხეთის) ტერიტორიაზე დასახლებული წვრილ-წვრილი ტომები მეგრული ტერიტორიული ჯგუფები იყვნენ და მათი ენა იყო მეგრულის ესა თუ ის კილოკავი.

ყოველ შემთხვევაში, ერთიც და მეორეც სრული ჭეშმარიტებაა, რაც მით უფრო ღირებულია, რომ ამას თვით თურქი მეცნიერები აღიარებენ.

მართალია, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქის ბერძენი სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ კოლხებს (ეგრებს, მეგრელებს) დამწერლობა ჰქონდათ, მაგრამ ისტორიული მოვლენები ისე განვითარდა, რომ მეგრული ენა დამწერლობის გარეშე დარჩა.

მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მეგრულ ენას მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია და, ალბათ, დღესაც, მსოფლიოში არსებული ენებიდან, ერთ-ერთი უმდიდრესი ლექსიკური ფონდი გააჩნია.

ლაზები თითქმის 8 საუკუნეა მოწყვეტილი არიან მშობლიური ხალხისაგან და ჯერ ბერძნულ, ხოლო შემდგომ თურქულ

გარემოში აღმოჩნდნენ, რამაც, ბუნებრივია, ლაზების მეტყველებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა. სწორედ ამ სიტუაციამ განაპირობა ის განსხვავება, რომელიც დღეს შეიმჩნევა მეგრულ და ლაზურ ენებს შორის, თორემ, იმ ეპოქაში, როდესაც ლაზები და მეგრელები ერთად იყვნენ, დარწმუნებული ვარ, არავითარი განსხვავება არ იქნებოდა მეგრულ ენასა და მის ლაზურ-ჭანურ კილოს შორის.

XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის დედაქალაქ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრის გამგის, დიდებული ქართველი მეცნიერის, ბატონ ალექსანდრე ცაგარლის თაოსნობით, მისმა მოწაფეებმა, შემდგომში დიდმა ქართველმა მეცნიერებმა ნიკო მარმა და იოსებ ყიფშიძემ დიდი მუშაობა გაწიეს მეგრულ ენაზე.

ბატონმა იოსებ ყიფშიძემ გამოსცა ნაშრომი, „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა" (სანკტ-პეტერბურგი, 1914 წ.), მეგრული ქრესტომატიით და მეგრულ-რუსული ლექსიკონით, ხოლო ბატონმა ნიკო მარმა „ჭანური ენის გრამატიკა" (სანკტ-პეტერბურგი, 1910 წ.).

სამწუხაროდ, საბჭოთა ეპოქაში, ფაქტობრივად, აიკრძალა ამ მიმართულებით მუშაობა. ალბათ, დროა, ქართველმა მეცნიერებმა ამ საკითხზე მუშაობის აუცილებლობა გააცნობიერონ.

ლაზური გვარები – ლაზებს (მათ შორის ჭანებს) როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს, გვარები უხსოვარი დროიდან ჰქონდათ.

ლაზურ-ჭანური გვარების მაწარმოებელი დაბოლოებებია: „ში" (მეგრული კუთვნილებითი სუფიქსი), „ბერი" (მეგრულ-ლაზურად შვილი) და „სქირი" (მეგრულ-ჭანურად ასევე შვილი).

ლაზური გვარები – ჯაში, ტულუში, ბაღვაში, მარუში, ტრაპში, ხალვაში, მემიშიში, ვანილიში, აბაში, შარაში, ცარგუში, ხაზირიში, ხანაში, კაში, მორგოში, გოთოში, გურეში, გეგეში და ა.შ. თუთაბერი, კაკუბერი, გოგიბერი, გიგიბერი, კობერი, ბერი, ღოლობერი, ლოსაბერი, გუმბერი, სულაბერი, მაცაბერი, თავბერი და ა.შ.

ჭანური გვარები – წულეისქირი, პაპასქირი, კვეკვესქირი, ბულესქირი, გაბესქირი და ა.შ.

სამწუხაროდ, ლაზურ-ჭანური გვარები საქართველოში უცვლელად, ნაკლებად შემორჩა. მისმა დიდმა ნაწილმა იმერულ-მეგრული ფორმა მიიღო, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

სარწმუნოება – დადგენილია, რომ ეგრისის სამეფოში ქრისტიანობა გავრცელდა I-II საუკუნეებში. ეს განახორციელეს დიდმა ქრისტიანულმა მოღვაწეებმა, ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა.

ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ ანდრია პირველწოდებულმა ეგრისის სამეფოში მოღვაწეობა დაიწყო ტრაპიზონიდან, რომელსაც მაშინ მეგრელთა ქალაქად მოიხსენიებდნენ.

აღიარებულია, რომ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა IV საუკუნიდან და, რატომღაც, ფიქრობდნენ, თითქოს, ეგრისის სამეფოში, I-II საუკუნეებში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ იყო. საბედნიეროდ, ქართველმა მეცნიერებმა უკვე შეაჯერეს პოზიციები და დაასკვნეს, რომ საქართველოში ქრისტიანობის ქრონოლოგია, სწორედ I-II საუკუნეებიდან დაიწყონ.

მართლაც, 2004 წელს საქართველოში ქრისტიანობის აღიარების 2000 წლის იუბილე აღინიშნა.

ყოველ შემთხვევაში, ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელება (I-II ს.ს.) ლაზ-ჭანების, მარგველებისა და აფხაზების წარმოჩენის ეპოქას ემთხვევა.

სწორედ ამ ეპოქიდან, ლაზ-ჭანებიც ჭეშმარიტი ქრისტიანები გახდნენ.

ცნობილია, რომ ქრისტიანობის მსოფლიო კრებას, ქ.ნიკეაში (325 წ.) ეგრისის სამეფოდან ორი ეპისკოპოსი ესწრებოდა – ბიჭვინთის და ფაზისის.

ლაზები ფაზისის ეპარქიაში შედიოდნენ.

მართალია, ლაზიკის ძირითადი ნაწილი 1203 წელს ჩამოყალიბებულ ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და

დარჩა XV საუკუნემდე, მაგრამ ლაზები სარწმუნოებრივად დაცული იყვნენ და, ამ ეპოქაში, ლაზიკაში მრავალი ეკლესია და ქრისტიანული კომპლექსი აიგო.

ოსმალეთის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდეგ (XV ს.), ლაზეთში შემოდის ისლამი.

როგორც მემატიანეები გვამცნობენ, ისლამის გავრცელება ლაზიკაში დიდი წინააღმდეგობებით აღინიშნა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისლამი მაინც მყარად დამკვიდრდა; თუმცა, ლაზები დღესაც არ ივიწყებენ მამა-პაპათა სამლოცველოებს – „ოხვამეებს" („ოხვამე" მეგრულად სალოცავია).

„ლაზური ანთროპოლოგია" – მართალია, თითქმის 8 საუკუნეა, ლაზები მოწყვეტილი არიან მშობლიურ ხალხს და, ბუნებრივია, უცხო ატმოსფეროში ცხოვრებამ, მათ ანთროპოლოგიაში გარკვეული ცვლილებები გამოიწვია, მაგრამ, როგორც ცნობილი ქართველი ანთროპოლოგი, ბატონი გ.აბდუშელიშვილი ამტკიცებს, ანთროპოლოგიურად, დღესაც არავითარი განსხვავება არ არის მეგრელებსა და ლაზებს შორის.

ლაზებს (მათ შორის ჭანებსაც) ისეთივე ტრადიციები, ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები ჰქონდათ, როგორიც მეგრელებს. ასევე ერთნაირი ჰქონდათ ეთნოგრაფიული ყოფაც.

ბუნებრივია, რომ ლაზებისა და მეგრელების საუკუნეობრივ-მა განშორებამ განაპირობა გარკვეული განსხვავება მათ შორის, განსაკუთრებით ზემოხსენებულ კომპონენტში, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვანი, რომ ლაზების ჭეშმარიტ ქართველობაში, მეგრელებისა და ლაზების იდენტურობაში დაგვაეჭვოს.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, ერისის სამეფოს სამხრეთ ნაწილში წარმოჩინდა ახალი ადმინისტრაციული ერთეული, ლაზიკის საერისთავოს სახით, მაგრამ ამას არავითარი ეთნიკური ცვლილება არ მოჰყოლია. თუ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა წვრილ-წვრილი მეგრული ტერიტორიული ჯგუფები – ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები, თებალები და

ა.შ. ამ დროიდან ისინი, ფაქტობრივად, ლაზებად და ჭანებად იწოდებოდნენ; უფრო სწორად, ამ ეპოქიდან, ლაზიკაში და ჭანეთში მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ ლაზები და ჭანები. მართლაც, არასდროს გამხდარა სადავოდ, რომ ლაზები და ჭანები ქართული ტომებია, ფაქტობრივად, იგივე მეგრელები არიან, მაგრამ ზოგიერთი ქართველი მეცნიერის გავლენით, მეგრელების ვინაობაზე დამკვიდრდა მოსაზრება, რომელიც აბნევს საზოგადოებას, არასწორ წარმოდგენას უქმნის მათ ვინაობაზე – „მეგრელები და ლაზები ზანური ტომებია და მეგრული და ლაზური ზანური ენის დიალექტებია“.

მე პირადად, ასეთი მოსაზრება კატეგორიულად მიუღებლად მიმაჩნია და, აი რატომ: მეგრელები და ლაზები რომ ზანური ტომები ყოფილიყვნენ, მაშინ უნდა არსებულიყო ქვეყანა „ზანათი“ და ეროვნება „ზანი“, მაშინ, როდესაც ზუსტად დადგენილი არც არის, ვინ მოიაზრებოდა ტერმინის „ზანის“ ქვეშ. ვარაუდობენ, თითქოს, ბიზანტიელები „ჭანებს“ მოიხსენიებდნენ ხან „ზანებად“ და ხან „სანებად“, რაც შეიძლებოდა ენის ბარიერით ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ გამორიცხულია, ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს მოსახლეობის საერთო სახელი „ზანი“ ყოფილიყო, თუნდაც „ზანის“ ქვეშ, „ჭანი“ მოიაზრებოდეს. ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში არც „ჭანეთი“ ჩანდა და არც „ჭანი“, ხოლო დასავლეთ საქართველოს უხსოვარი დროიდან „ეგრისი“, ხოლო მის მკვიდრ მოსახლეობას „ეგრები“ ერქვა.

როდიდან ეწოდა დასავლეთ საქართველოს „ეგრისი“, სხვა საკითხია, მაგრამ სწორედ ეგრისის სამეფოს დაარქვეს ბერძნებმა „კოლხეთი“ და მის მკვიდრ მოსახლეობას „ეგრებს“ – „კოლხები“ (ძვ. წ. XV-XIV სს).

დადგენილია, რომ „ეგრიდან“ არის მიღებული დასავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლის სახელი – „მეგრელი“.

მეცნიერთა ვარაუდით, ეს უნდა მომხდარიყო შორეულ წარსულში, სადღაც III-II ათასწლეულების მიჯნაზე.

აქედან მოყოლებული დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლ-

ხეთის (ეგრისის) სამეფოს ძირითადი მოსახლეობის სახელი იყო „მეგრელი“ და ამ სახელის ქვეშ მოიაზრებოდნენ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ამ სამეფოში დასახლებული წვრილ-წვრილი ტომებიც.

ამდენად, დღესავით ნათელია, რომ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს მოსახლეობის საერთო სახელი მუდამ „მეგრელი“ იყო და, I-II საუკუნეებიდან, „მეგრელის“ ქვეშ ლაზიც მოიაზრებოდა, ლაზური ენა კი მეგრული ენის კილოკავი იყო.

უფრო მეტი, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ეგრისის სამეფო იწოდებოდა კოლხეთის, ლაზიკის და აფხაზთა სამეფოდ, მაგრამ ქართველი და სომეხი მემატიანეები მთელ დასავლეთ საქართველოს მუდამ ეგრისის სამეფოდ, ხოლო მის მოსახლეობას მეგრელებად მოიხსენიებდნენ. ბუნებრივია, მათ უცხოელ სწავლულებზე უკეთ ეცოდინებოდათ ეგრისის სამეფოც და მისი მკვიდრი მოსახლეობაც.

ყოველ შემთხვევაში, მეგრელებისა და ლაზების ზანურ ტომებად, ხოლო მეგრულ-ლაზური ენების ე.წ. ზანური ენის დიალექტებად მოხსენიებას არავითარი გამართლება არა აქვს. ეს, ფაქტობრივად, ეგრისის სამეფოს და მეგრელების ძველი წელთაღრიცხვის ეპოქის თითქმის ორიათასწლოვან ისტორიაზე უარის თქმის ტოლფასია, რაც ჩვენი ღირსეული წინაპრების ხსოვნის შეურაცხყოფაც არის.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ყურადღება გავამახვილო შემდეგ გარემოებაზე: მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს მოსახლეობის საერთო სახელი, უხსოვარი დროიდან, „მეგრელი“ იყო, ადმინისტრაციული ერთეულის, სამთავროს სახელი „სამეგრელო“ შედარებით ახალია, რაც შემდეგ მოვლენებთანაა დაკავშირებული – ახალი წელთაღრიცხვის, დაახლოებით, III-IV საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს „ლაზიკის“, უფრო სწორად, „ეგრის-ლაზეთის“ სამეფო, VIII-X საუკუნეებში „აფხაზთა“, ანუ „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფო ეწოდა, რომელიც XI საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა და,

ბუნებრივია, ეგრისმა, როგორც სამეფომ, არსებობა შეწყვიტა.

საქართველოს ისევ დაშლის (XV ს.) მომდევნო ეპოქაში, ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე, გარკვეული ცვლილებები მოხდა – ლაზიკა ტრაპიზონის იმპერიაში აღმოჩნდა, ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში იმერეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რომელიც პირველი ქართულენოვანი რეგიონი იყო დასავლეთ საქართველოში და, ამის შემდეგ, იმერეთში მცხოვრებ მეგრელებსაც ეწოდათ „იმერლები“.

ამავე საუკუნეში, იმ ტერიტორიაზე, სადაც სამეტყველო ენად ისევ მეგრული დარჩა და მოსახლეები მეგრელები იყვნენ, ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ერთეული სამთავროს სახით და ეწოდა „სამეგრელო“.

ამდენად, დასავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლის სახელი, უხსოვარი დროიდან, იყო „მეგრელი“, რადგან სამეფოს ერქვა „ეგრისი“, მაგრამ XV საუკუნეში პირიქით მოხდა – სამთავროს ეწოდა „სამეგრელო“ მხოლოდ იმიტომ, რომ მის მოსახლეობას მეგრელები წარმოადგენდნენ.

მართალია, იმ ეპოქაში სამეგრელოს სამთავროში დარჩა გურიისა და აფხაზეთის საერისთავოები, მაგრამ სამთავროს ეგრისის სახელი არ დაერქვა, რადგანაც ის არც სამეფო იყო და არც ის ტერიტორია ჰქონდა, ეგრისის სამეფო რომ მოიცავდა.

არ იფიქროთ, რომ ჩემი მეგრელობით ვსარგებლობ და ამიტომ, ეგრისის სამეფოს ძირითად მოსახლეებად მეგრელებს მივიჩნევ და არა ლაზებს; ამას იმიტომ ვამტკიცებ, რომ რეალობაა, ჭეშმარიტებაა და მე ტენდენციური სულაც არა ვარ...

რაც შემეხება პირადად მე, ჩემთვის ლაზური სისხლი უცხო როდია – შონიების გვარი ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი და უძველესია საქართველოს სინამდვილეში. შონიები, ძირითადად, გლეხები არიან. მაგრამ ერთი შტოს წარმომადგენლები აზნაურებიც არიან. ამ შტოს წინაპარს, გიორგი შონიას, XVIII საუკუნეში, სამეგრელოს მთავარ დადიანისგან აზნაურობა ებოძა და მამულად მიეცა სოფლები – ფაბულანი და ოხაჩქუა.

დღეს, ეს ორივე სოფელი წალენჯიხის რაიონშია, სვანეთის საზღვართან, მდინარე ენგურს გაღმა.

გიორგი შონია ვაჟკაცური კაცი ყოფილა, ძლიერი და წარმოსადეგი, შინაურები მოფერებით „ღეჯიას“ ეძახდნენ. თურმე, მისი დაბადების დროს, სამეგრელოში რაღაც სენი მძვინვარებდა, რომელიც ღორს არ ემართებოდა და ამიტომ დაურქმევიათ „ღეჯია“ (მეგრ. ღორი) ზედმეტ სახელად.

ცხონებულ „ღეჯიას“ დიდი ჯოგი ჰყოლია და, ადრე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ენგურს „ჯოღეჯიანი“ რქმევია, ვინაიდან, იქ, ღეჯიას ჯოგი იდგა.

მას ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონია თურქეთში, მაშინ აჭარაც თურქეთში შედიოდა. სწორედ იმ დროს შეჰყვარებია აჭარაში, გონიოში მცხოვრები ლამაზი ქალიშვილი, გვარად მემიშიში და ცოლად შეურთავს. სათანადოდ, გიორგის შთამომავლებში ლაზური სისხლიცაა. ეს, რაც შეეხება ჩემს განსაკუთრებით თბილ განწყობას ლაზებისადმი, თორემ, მეცნიერულ წრეებში ერთმნიშვნელოვნად მიღებულია, რომ, შორეული წარსულიდან დღემდე, დასავლეთ საქართველოს ძირითადი მოსახლეები ეგრები (მეგრელები) იყვნენ, მიუხედავად იმისა, ნაწილი მეგრელებისა, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში, იწოდებოდნენ მარგველებად, ლაზებად (მათ შორის ჭანებიც) თუ აფხაზებად. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს კოლხეთის, ლაზიკის თუ აფხაზეთის სამეფო ერქვა, მის ძირითად მოსახლეებს – მეგრელებს კოლხებად მოიხსენიებდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქართულ წყაროებში, დასავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს ყოველთვის მხოლოდ ეგრისის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მოსახლეობას მეგრელებად, რაც არავითარ გაუგებრობას თუ უხერხულობას არ ქმნიდა, ვინაიდან ლაზებიც (მათ შორის ჭანებიც) და აფხაზებიც დარწმუნებული იყვნენ თავიანთ მეგრელობაში.

დარწმუნებული ვარ, თავმოყვარეობის შელახვად არ მიიღებთ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის საერთო

სახელად მეგრელი ითვლებოდა, რომლის ქვეშაც მოიაზრებოდა მარგველიც, ლაზიც და აფხაზიც, მით უმეტეს, რომ სამეგრელო არ მოწყვეტილა ქართულ სინამდვილეს და, ფაქტობრივად, მეგრელებმა მყარად შეინარჩუნეს პირვანდელი სახე, ენა, სარწმუნოება, კულტურა, ადათ-წესები, ტრადიციები. თუმცა, თქვენი არ ვიცი, მაგრამ, არც ერთი მეგრელი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, მათ, ძველად, მეგრელებად მოიხსენიებდნენ თუ ლაზებად, რადგანაც მყარად აქვთ გაცნობიერებული, რომ ლაზები და მეგრელები ერთნი არიან, როგორც ზუგდიდელი, სენაკელი თუ ფოთელი მეგრელები.

ისე, ღმერთმა ქნას, ისევ ერთად ვიყოთ და თუ რაიმე უხერხულობას შექმნის ლაზების მეგრელებად მოხსენიება, გპირდებით, მე ვიქნები მოთავე, მეგრელებისა და ლაზების საერთო სახელად ლაზი იყოს.

ეს იქნება უდიდესი მოვლენა საქართველოს სინამდვილეში, რაც დღეს შეუძლებლად გვეჩვენება, მაგრამ, ვინ იცის, ხვალ რა მოხდება? ისტორია სავსეა მოულოდნელობებით, შეიძლება, ქართველ ხალხსაც გაუმართლოს და ამას ეღირსოს.

ყოველ შემთხვევაში, როგორც რიგითი ქართველი, ბუნებრივია, დარწმუნებული ვარ, ლაზიკა (მათ შორის ჭანეთიც) ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულია და ლაზები (მათ შორის ჭანებიც) მეგრული ტერიტორიული ჯგუფებია და მათ არც ერთ სხვა ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ჭეშმარიტ ქართველობაზე.

სამწუხაროდ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სათანადოდ არ არის შესწავლილი ლაზიკის ისტორია, მისი რაობა და როლი საქართველოს ისტორიაში, ლაზების დამსახურება ერის წინაშე, რასაც გამართლება არა აქვს. სწორედ ამან განაპირობა, ალბათ, ის გარემოება, რომ ლაზებს, გარკვეულად, ეჭვი ეპარებათ თავიანთ ქართველობაში.

მართალია, შედარებით უკეთესი სიტუაციაა აფხაზეთის და აფხაზების ისტორიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ქართვე-

ლებმა და არც აფხაზებმა ზუსტად არ იციან აფხაზეთის ობიექტური ისტორია, რამაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზეთის საშინელ მოვლენებში.

10 წელზე მეტია გასული აფხაზეთის ტრაგედიიდან და დღესაც არ არის შექმნილი აფხაზეთის სრულყოფილი და ობიექტური ისტორია, სადაც ერთმნიშვნელოვნად იქნებოდა დადგენილი აფხაზეთის რეალური რაობა, აფხაზების ვინაობა, აფხაზეთში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ანტიქართული პროცესის არსი.

ამას ქართველი მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის შეცდომად ვთვლი.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალობით ინჟინერი ვარ, თითქმის 30 წელი ვხელმძღვანელობდი სხვადასხვა ობიექტებს და ვიყავი გაერთიანება „ბორჯომის" გენერალური დირექტორიც (1986-1991 წწ.), იძულებული გავხდი, საზოგადოებისთვის გამეცნო ჩემი მოსაზრებები აფხაზურ საკითხზე.

1988 წელს, მზად მქონდა ნარკვევი „ერის დიდი სატკივარი", რომელიც, გარკვეული სიტუაციებიდან გამომდინარე, მხოლოდ 1995 წელს გამოქვეყნდა, ჟურნალ „პოლიტიკაში".

1997 წელს გამოვიდა ჩემი ბროშურა „გვარები მეტყველებენ", სადაც გვარების მეშვეობით ვამტკიცებდი, რომ დღევანდელ აფხაზებში 85%-მდე გუშინდელი ქართველებია.

გამოქვეყნდა წიგნი „დიდი საქართველოს ტრაგედია" (1998 წ., თბილისი), რომელშიც შევეცადე, საზოგადოებისთვის გამეცნო აფხაზეთის როლი საქართველოს ისტორიაში, უძველესი აფხაზების ვინაობა და მათი დამსახურება ერის წინაშე. შეძლებისდაგვარად, გავაანალიზე, თუ რამ განაპირობა აფხაზეთის მოვლენები.

გამოვიდა წიგნი „ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა" (თბ. 2002 წ.), სადაც ყურადღება გავამახვილე ეგრისის სამეფოს როლზე საქართველოს ისტორიაში და მისი მკვიდრების – მეგრელების (მათ შორის აფხაზების, ლაზჭანების) დამსახურებაზე ერის წინაშე.

რამდენად სწორი ვიყავი, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია. ჩემს ნარკვევებსა და წიგნებში გარკვეული ყურადღება დავუთმე ლაზიკისა და ლაზების როლს საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, რადგანაც ლაზების ჭეშმარიტი ქართველობა არასდროს დამდგარა ეჭვის ქვეშ, ძირითადად, ყურადღება გავამახვილე აფხაზეთზე და აფხაზებზე, ვინაიდან აფხაზეთის რაობაზე და უძველები აფხაზების ვინაობაზე, იდიოტური გაუგებრობების შედეგად, სრულიად მცდარი აზრია შექმნილი, რამაც ერთ-ერთი ძირითადი როლი შეასრულა აფხაზეთის მოვლენებში.

უფრო მეტი, საზოგადოებრიობისთვის რომ უძველესი აფხაზების ქართველობა დამემტკიცებინა, ერთ-ერთ არგუმენტად მომყავდა შემდეგი – აფხაზეთი ეგრისის სამეფოს ისეთივე რიგითი საერისთავო იყო, როგორც ლაზეთი და აფხაზებიც ისეთივე მეგრელები იყვნენ, როგორც ლაზები. უფრო სწორად, როგორც ლაზეთში მცხოვრები მეგრელები იწოდებოდნენ ლაზებად, ისე აფხაზეთში მცხოვრები მეგრელები ითვლებოდნენ აფხაზებად. ასეა ქართველი ხალხი ლაზების ჭეშმარიტ ქართველობაში დარწმუნებული.

მიუხედავად ამისა, ყოველთვის მქონდა უკმარისობის გრძნობა, რომ ქართველმა ხალხმა ნაკლებად იცის ლაზიკის ისტორია და ლაზების დამსახურება ერის წინაშე, მით უმეტეს, არაფერია მოულოდნელი იმაში, თუ ლაზებმაც არ იცოდნენ თავიანთი ობიექტური ისტორია და არასწორი შეხედულება ჰქონდეთ თავიანთ ვინაობაზე, რის გამოც თავს უფლებას ვაძლევ, მივმართო ლაზ ძმებს და გავუზიარო ჩემი მოსაზრებები ლაზიკისა და ლაზების როლზე საქართველოს ისტორიაში, მით უფრო, რომ აფხაზეთის მოვლენებმა დამარწმუნეს, რამდენად დამანგრეველ როლს თამაშობს ქართველი ხალხის მიერ ამა თუ იმ ქართული კუთხის ისტორიის უცოდინრობა და მის მკვიდრებზე არასწორი წარმოდგენა.

ახალი წელთაღრიცხვის ეპოქას ეგრისის სამეფო, აშკარად, დაკნინებული შეხვდა, იგი აღმოჩნდა რომაელების ბატონობის ქვეშ, უფრო ზუსტად, I საუკუნეში ეგრისი შედიოდა რომაელე-

ბის მიერ აღდგენილ პონტოს სამეფოში.

მას შემდეგ, რაც რომმა პონტოს სამეფო გააუქმა (I საუკუნის ბოლოს), მართალია, ეგრისის სამეფო ისევ რომის გავლენის სფეროში დარჩა, მაგრამ, ამის შემდეგ, ეგრისის სამეფო, გარკვეულად, დამოუკიდებელი ჩანს. ეტყობა, რომმა მასთან თანამშრომლობის პოლიტიკა უფრო აირჩია, რაზედაც მეტყველებს ის გარემოება, რომ I საუკუნიდან, კოლხეთის (ეგრისის) მეფეები ისევ ჩანან.

ეგრისის სამეფო რომ II-III საუკუნეებში ანგარიშგასაწევი ძალა იყო, ამაზე მეტყველებს შემდეგი მოვლენა – III საუკუნეში იბერიის (ქართლის) სამეფოს თავს დაესხნენ ალან-ოსები. იბერიის (ქართლის) მეფემ დახმარება სთხოვა ეგრისის მეფეს, რომელმაც გაუგზავნა ჯარი და, ერთობლივი ძალით, მტერი დაამარცხეს.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში წარმოჩინდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები ლაზეთის, აფხაზეთისა და მარგვეთის საერისთავოების სახით, რაც, ბუნებრივია, ეგრისის სამეფოში განვითარებული ისტორიული მოვლენებით იყო განპირობებული.

როგორც აღვნიშნე, ადგილების დასახელებები, ტოპონიმები, ლაზეთი, ჭანეთი, აფხაზეთი და მარგვეთი ადრინდელ ეპოქაშიც იარსებებდნენ, მაგრამ არ ჩანდნენ, რადგანაც ადმინისტრაციულ ერთეულებს არ წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, ადრე ამ ტერიტორიებზე იცხოვრებდნენ ეგრისის სამეფოში დასახელებული სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომებიდან ზოგიერთები, რომლებიც ასევე მეგრული ტერიტორიული ჯგუფები იყვნენ, მაგრამ, დროთა განმავლობაში, ფაქტობრივად, არ იხსენიებოდნენ, ისინი უკვე მოიაზრებოდნენ ლაზების, აფხაზებისა და მარგველების ქვეშ. ამას ეგრისის სამეფოს სინამდვილეში არავითარი ცვლილებები არ მოჰყოლია, არც ეთნიკური და არც სარწმუნოებრივი, მზოლოდ სახელმწიფოებრივი წყობის გარკვეული რეორგანიზაცია მოხდა – თუ კოლხეთის (ეგრისის)

სამეფოს სინამდვილეში, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, 10-15 სხვადასხვა მეგრული ტომი იხსენიებოდა, I-II საუკუნეებიდან, ისტორიაში, ფაქტობრივად, მეგრელებთან ერთად, ჩანან ახალი მეგრული ტერიტორიული ჯგუფები: ლაზები, აფხაზები და მარგველები.

მართალია, პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში, ეგრისის სინამდვილეში, ხანდახან გაჩნდებოდნენ ჰენიოხები, კორაქსები, სანიგები, მისიმიანები, სანები თუ სხვები, მაგრამ ისინი უკვე მნიშვნელოვან როლს ვერ თამაშობენ ეგრისის სამეფოს სინამდვილეში. თანაც, ეტყობა, გარკვეულ წინააღმდეგობებთან იქნებოდა დაკავშირებული ამ ტომთა ბელადების ახლადწარმოჩენილი ერისთავების გავლენის სფეროში მოქცევა. მით უმეტეს, რომ, იმ ეპოქაში, ალბათ, ნებისმიერი კუთხე ქვეყანად მიაჩნდათ, ხოლო მკვიდრებს თავი ერად მოჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ეგრისის სამეფო რომის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, II-III-IV საუკუნეებში ის ანგარიშგასაწევ სამეფოს წარმოადგენდა და რომის ღირსეულ მოკავშირედ ითვლებოდა.

ჩანს, ამ ეპოქაში, ეგრისის სამეფოში შედარებით სიმშვიდე იყო, იგი ტერიტორიულადაც (მეტ-ნაკლებად) ძველ საზღვრებში აღსდგა და მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები არ განვითარებულა, ვინაიდან ამ ეპოქის უცხოელი სწავლულები თითქმის არაფერს წერენ ეგრისის სამეფოზე.

თუ II საუკუნეში ჩანან ეგრისის მეფეები – მალახა და ბაკური, შემდგომში, თითქმის V საუკუნის II ნახევრამდე, ეგრისის მეფეების სახელები უცნობია.

ნაწილი მეცნიერებისა ამ ეპოქის ეგრისის სამეფოს ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებს და ბაკურსაც ლაზ მეფედ მიიჩნევს, რაც სწორი არ უნდა იყოს, ვინაიდან, სანამ ეგრისის სამეფო რომის იმპერიაში შედიოდა, რომაელები მას ისევ კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მკვიდრებს – კოლხებად.

ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ლაზური დინასტიის დაწინაურება ემთხვევა რომის იმპერიის დაშლის ეპოქას (V სა-

უკუნე) და მის აღმოსავლეთ ნაწილში ბიზანტიის იმპერიის ჩამოყალიბებას, ცენტრით კონსტანტინოპოლი.

სწორედ ამ ეპოქიდან ჩანს, რეალურად, ეგრისის მეფედ ლაზური დინასტიის წარმომადგენელი, გუბაზ I (455-510 წწ.).

წყაროების უქონლობის გამო, დღეს ძნელი დასადგენია, თუ რა მოვლენებთან იყო ეს დაკავშირებული, მაგრამ შესაძლებელია, შემდეგ სიტუაციებთან გვქონდეს საქმე: სრულიად კანონზომიერია, რომ ეგრისის საერისთავოების – ლაზიკის, აფხაზეთისა და მარგვეთის ერისთავებად ყოფილიყვნენ ეგრისის სამეფო საგვარეულოს წევრები და, სავარაუდოა, ლაზიკის ერისთავს მემკვიდრეობით რგებოდა ეგრისის მეფობა, ან შეიძლება, ეგრისის სამეფოს პონტოს შემადგენლობაში ყოფნას, ხოლო შემდგომ რომის იმპერიის გავლენაში მოქცევას მოჰყოლოდა მისი დაკნინება, ამ დროს კი ლაზიკის საერისთავო გაძლიერებულიყო და მის მმართველ ერისთავს ეგრისის მეფობისათვის მიეღწია.

ყოველ შემთხვევაში, ეგრისის სათავეში ლაზური დინასტიის მოსვლა რაიმე ბრძოლებთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მით უმეტეს, ეს ისტორიიდანაც არ ჩანს.

ეტყობა, V საუკუნის ბოლოსაც კი ბიზანტიელები ეგრისის სამეფოს ჯერ კიდევ არ მოიხსენიებდნენ ლაზიკის სამეფოდ და მის მკვიდრებს – ეგრებს (მეგრელებს) ლაზებად, რაზედაც შეიძლება მიგვანიშნებდეს შემდეგი გარემოება: V-VI საუკუნეების მიჯნაზე, ბიზანტიის იმპერიის სამსახურში მოიხსენიება ეგრისელი მხედართმთავარი ფარსმან კოლხი, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბიზანტია-ირანის ომში (502-505 წწ.).

აშკარაა, რომ ფარსმან კოლხი იყო ლაზი დიდებული, ვინაიდან მის შვილზე თეოფანე ჟამთა აღმწერელი წერს – „ფარსმანი იყო ზუნას მამა, წარმოშობით ლაზი“.

ფარსმანის კოლხად მოხსენიება მეტყველებს იმაზე, რომ, მის ეპოქაში ეგრისის სამეფოს ისევ კოლხეთის სამეფო ერქვა.

როდიდან ეწოდა ეგრისის სამეფოს ლაზიკის სამეფო, ამას

არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგრამ ფაქტია, რომ ლაზური დინასტიის ეგრისის სათავეში მოსვლის შემდგომ, ვფიქრობ, გუბაზ I ეპოქიდან, მას ბიზანტიელები ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მკვიდრებს – ლაზებად.

ასეთი მოვლენა შემდეგშიც განმეორდა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ეგრისის სამეფოს სათავეში მოვიდა აფხაზური დინასტია (VIII ს.). მას ეწოდა „აფხაზთა სამეფო" და მის მკვიდრებს – მეგრელებს „აფხაზები", მათ შორის ლაზჭანებსაც. უფრო მეტი, ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV სს.), როდესაც ქვეყნის სათავეში სამხრეთ ქართველთა სამეფოს მმართველი ბაგრატიონების დინასტია მოვიდა, ერთიან ქვეყანას „საქართველო" და ქართული კუთხეების მკვიდრებს, მათ შორის ლაზებსაც და ჭანებსაც „ქართველები" ეწოდათ.

სწორედ ამ დროიდან დამკვიდრდა ზოგადქართული ცნებები „ქართველი" და „საქართველო".

მართლაც, თუ I-II საუკუნეების ბერძენი და რომაელი სწავლულები, პლინიუსი, ფლაბიუს არიანე, მემნონ ჰერალდიკელი და სხვები გვამცნობენ ლაზიკის საერისთავოს და ლაზების წარმოჩენას ეგრისის სამეფოს სინამდვილეში, V საუკუნისა და შემდეგ დროინდელი ბიზანტიელი მწერლები, უკვე, მთელი დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს „ლაზიკის სამეფოდ" და მის მკვიდრ მოსახლეობას კოლხებს (მეგრელებს) „ლაზებად" მოიხსენიებდნენ და ასე გაგრძელდა თითქმის 1000 წელი, ბიზანტიის იმპერიის არსებობის ეპოქაში.

აღსანიშნავია ერთი გარემოება – დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს კოლხეთის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, ლაზიკის თუ ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ და მის მკვიდრებს კოლხებად, ლაზებად თუ აფხაზებად, ამას არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია, არც ეთნიკური, არც თვისობრივი, არც სარწმუნოებრივი, მით უმეტეს, ქართველი და სომეხი მემატიანეები მას ყოველთვის მხოლოდ ეგრისის სამეფოდ მო-

იხსენიებდნენ და მის მკვიდრებს – ეგრებად (მეგრელებად).

იყვნენ თუ არა ლაზური დინასტიის წარმომადგენლები III-IV საუკუნეებში, ეგრისის სამეფოს სათავეში, უცნობია, ვინაიდან ამ ეპოქის ეგრისზე წყაროები თითქმის არ არსებობს, მაგრამ ამ საუკუნეებში ეგრისის სამეფომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია. მან ისარგებლა რომსა და სპარსეთს შორის დადებული ზავით, რომელიც ნასიბინის ზავის სახელითაა ცნობილი და, IV საუკუნის პირველ ნახევარში, ეგრისის სამეფო, ფაქტობრივად, გამოვიდა რომის მეურვეობისგან, გარკვეული მიწები დაიბრუნა და თითქმის ძველ საზღვრებში აღსდგა. მხოლოდ IV საუკუნის ბოლოს შეძლო რომმა, ეგრისის სამეფო თავის გავლენის სფეროში დაებრუნებინა.

ამის შემდეგ, რომის იმპერია იშლება, მის აღმოსავლეთ ნაწილში ყალიბდება ბიზანტიის იმპერია, რომლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდება ეგრისის სამეფო. შესაბამისად, V საუკუნიდან, ბიზანტიელი მოღვაწეები გვაწვდიან ცნობებს ეგრისის სამეფოს სინამდვილეზე.

V საუკუნის უცნობი ბიზანტიელი მწერალი წერს: „კოლხებს შემდეგ გადაერქვათ ლაზები“.

„სახელი „კოლხები“, როგორც სხვა მრავალი ტომისა, ამჟამად „ლაზთა“ სახელით შეიცვალა“, – წერდა პროკოპი კესარიელი (IV ს.).

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია მირანელი (VI ს.) შემდეგს გვამცნობს: „რიონისპირეთში მოსახლე ძლიერი და მამაცი ლაზები ისე დაწინაურდნენ, რომ ბევრ სხვა ძლიერ ტომსაც ბატონობენ“... „მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული ტომი, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით... ისინი არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ თავიანთი ცხოვრებისთვის სახელმწიფოებრივი და კანონობითი სახე მიუციათ“... „ლაზებს, რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპა-

რება არავის, თუკი გაეცნობა ფაზისის, კავკასიის და მის გარშემო მდებარე ქვეყნების მოსახლეობას“.

ამდენად, მართალია ლაზიკის საერისთავო და ლაზები მხოლოდ I საუკუნიდან ჩანან ეგრისის სამეფოს სინამდვილეში, მაგრამ ლაზიკის, როგორც სამეფოს ისტორია, რეალურად იწყება V საუკუნიდან. ვფიქრობ, აქედან იწოდებოდა ეგრისის სამეფო „ლაზიკის სამეფოდ“, უფრო ზუსტად, „ეგრის-ლაზიკის“ სამეფოდ და მკვიდრი მოსახლეები კოლხები (ეგრები-მეგრელები) – ლაზებად.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ, VIII საუკუნეში, ეგრისის სამეფოს სათავეში მოვიდა აფხაზური დინასტია და ის იწოდებოდა აფხაზთა, უფრო სწორად ეგრის-აფხაზეთის სამეფოდ, ბიზანტიურ წყაროებში მას მაინც ლაზიკის სამეფოდ მოიხსენიებდნენ, მანამ, სანამ ბიზანტიის იმპერია არ დაიშალა (XV ს.).

მართალია, ეგრისის სამეფო რომის გავლენის სფეროში იმყოფებოდა და, მისი დაშლის შემდგომ, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში ჩამოყალიბებულ ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ეტყობა, ეს ასე არ მოხდა, რაზეც მეტყველებს 456 წელს ბიზანტიელების შემოსევა, რაც ბიზანტიელთა განადგურებით დამთავრდა.

ამ დროს ეგრის-ლაზეთის მეფე იყო გუბაზ I (455-510 წწ.). ეს გამარჯვება დროებითი აღმოჩნდა. როგორც მემატიანე გვამცნობს, შემდგომში ლაზები მათივე თვისტომის მეშვეობის დამარცხებულან.

ყოველ შემთხვევაში, V-VIII საუკუნეებში, ლაზიკის სამეფო ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში იმყოფებოდა, მაგრამ ამას უფრო ურთიერთთანამშრომლობის ხასიათი ჰქონდა; მით უმეტეს, რომ ორივე ერთმორწმუნე სახელმწიფო იყო, რაც მათ კავშირს ერთგვარად ამართლებდა.

იმ ეპოქაში გამოკვეთილად ერთმანეთთან დაპირისპირებული ჩანან სპარსეთი და ბიზანტიის იმპერია.

მართალია, ეგრის-ლაზეთის სამეფო ბიზანტიის იმპერიის

შემადგენლობაში ითვლებოდა, მაგრამ სპარსეთი ყოველნაირად ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას.

528 წელს, სპარსეთში შაჰი კავადი დიდძალი მხედრობით შემოესია ეგრისს, ბიზანტიელები ვერ მოეშველნენ ლაზებს და ეგრის-ლაზეთის მეფე წათე I მარტოდმარტო შეებრძოლა სპარსელებს. ეტყობა, ამ ბრძოლაში დამარცხდა და თვითონაც დაიღუპა, რადგანაც შემდგომში აღარ იხსენიება.

სწორედ წათე I-ის შემდეგ გახდა ეგრის-ლაზეთის მეფე გუბაზ II (530-524 წწ.), რომელიც ლაზიკის მეფეებს შორის ყველაზე გამორჩეულად ითვლება.

გუბაზ II-ის ეპოქაში განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, რათა ეგრის-ლაზიკის სამეფო თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, მაგრამ გუბაზ II, ერთმნიშვნელოვნად, ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერიასთან კავშირის მომხრე იყო და სპარსეთმა ეგრის-ლაზიკის სამეფო ვეღარ დაიპყრო.

532 წელს, ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ე.წ. „მარადიული ზავი" დაიდო და სპარსელები საბოლოოდ გავიდნენ ეგრისიდან.

თითქოს, ამით უნდა დამთავრებულიყო ეგრის-ლასეთის სამეფოს დასაპყრობად სპარსეთის ბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა – 550-555 წლებში, სპარსელები 4-ჯერ შემოესივნენ ეგრის-ლაზეთის სამეფოს, გუბაზ II-მ წარმატებით მოიგერია მათი შემოტევები.

სხვათა შორის, ცნობილია სპარსელებთან ომის წინ გუბაზ II-ის მიმართვა თავისი ჯარისადმი: – „მე არ ვიცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მიმართვა თქვენდამი, თქვენს აღსაფრთოვანებლად, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებების საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რაც ახლა ჩვენს პირობებში ხდება. საფრთხე არსებობს ჩვენი მეუღლეებისთვის, შვილებისთვის, სამშობლო ქვეყნისთვის, ერთი სიტყვით, ყველაფრისთვის, რაც ჩვენთვის ძვირფასია, ამის გამო სპარსე-

ლებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს, არავინ არაფერს დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მისი ქონებიდან ძალით, ვინაიდან ბუნება აიძულებს ადამიანს, იბრძოლოს თავის საკუთრების დასაცავად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინ არაფერი უდგას სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს სურთ. თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არა თუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ, ან ხარკს დაგვადებენ, ან სხვა რამესაც დაისაკუთრებენ. ნუ დავიიწყებთ იმასაც, რაც ამას წინათ ხოსრომ, (ირანის შაჰმა) ჩაიდინა ჩვენს მიმართ, მაგრამ დაე, სიტყვის ფარგლებში ნუ დაგვრჩება სპარსთა საქმეები, დაე, ნუ შეილახება ლაზთა გმირული სული, ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ ხომ მათთან ბრძოლა ბევრჯერ მოგვიგია ხელჩართულ ომში. გამოცდილი ვაჟკაცებისთვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიძნელე ადვილდება სიბეჯითისა და გამოცდილების წყალობით. ასე, რომ სასურველი იქნება იხილოთ მტერი დამარცხებული და არა თქვენსავით აღფრთოვანებული. გახსოვდეთ, რომ ერთჯერ დამორჩილებული სიამაყე ჩვეულებრივ ვეღარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მტერს აღვსილნი კეთილი იმედებით". („გიორგიკა", ს.ყაუხჩიშვილი II ტ. 148 გვ.).

როგორც იმ ეპოქის მემატიანეები გვამცნობენ, ამ სიტყვას აღუფრთოვანებია ლაზები და დაუმარცხებიათ სპარსები.

ეს მიმართვა მეტყველებს იმაზე, რომ გუბაზ II უაღრესად განათლებული პიროვნება იყო და ბრწყინვალედ ფლობდა რიტორიკის ხელოვნებას.

მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლებელია, მას დამთავრებული ჰქონოდა კოლხეთის აკადემია, რომელიც ფაზისში III საუკუნიდან არსებობდა.

ეტყობა, სპარსელები ხვდებოდნენ, რომ ეგრისის სამეფოს დაპყრობაში ბიზანტიელებზე მეტად ხელს სწორედ ლაზები უშლიდნენ, რომლებსაც გუბაზ II-ისთანა ძლიერი მეფე ჰყავდათ.

სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ, სპარსეთის შაჰი

ყველა მეთოდს იყენებდა მის მოსაშორებლად.

ისტორიაში ცნობილია, რომ სპარსეთის შაჰმა გუბაზ II-ის მოკვლა მასთან დაპირისპირებულ ეგრისელ დიდებულს, ფარსმანს დაავალა, მაგრამ პირადი მტრობის მიუხედავად, მან არ უღალატა მეფეს, თავის ქვეყანას. მეტიც, მეფე გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

აი, როგორი ღირსეული წინაპრები გყავდათ, ისინი საკუთარი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ და სამშობლოს ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებდნენ.

მართალია, იმ ეპოქაში, ეგრის-ლაზეთი ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომ ქვეყნად ითვლებოდა, მაგრამ, გუბაზ II-ის დროს, სამეფომ აშკარად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. რაც მთავარია, ეგრისის სამეფო ისევ აღსდგა თავის ისტორიულ საზღვრებში.

ბიზანტიელი მოღვაწის (VI ს.) ეპიფანეს თხზულებიდან ჩანს, რომ იმ ეპოქაში „ტრაპეზუნტი" ლაზიკის ქალაქი იყო.

სწორედ, ეგრისის სამეფოში ლაზების ზეობის ეპოქაში დაარსდა, ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, ქალაქი „ლაზიკე", რომელსაც შემდგომში ეწოდა ნიკოფსია (დღ. ტუაფსეს მიდამოები).

ამდენად, გუბაზ II-ის ეპოქაში, ეგრის-ლაზეთის სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, სამხრეთით მცირე აზიიდან, ჩრდილოეთით ქ.ლაზიკამდე და აღმოსავლეთით – ლიხის ქედამდე.

ზუსტად არ არის დადგენილი, იმ ეპოქაში, ეგრის-ლაზეთის სამეფოს დედაქალაქი სად მდებარეობდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დედაქალაქი იყო ანტიკური ქალაქი, „ციხე-გოჯი". (დღ. სენაკის რაიონში).

ყოველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ, გუბაზ II უაღრესად სწორ პოლიტიკურ კურსს ადგა და, ფაქტობრივად, ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც, ეტყობა, მიუღებელი იყო როგორც სპარსეთისთვის, ისე ბიზანტიისთვის. განსაკუთრებით ბიზანტიელი მოხელეებისთვის, რომლებიც ეგრის-ლაზეთში მოღვაწეობდნენ.

554 წელს, სპარსეთი ისევ დასხმია ეგრის-ლაზეთის სამეფოს და, სამწუხაროდ, კიდეც დაუმარცხებია ლაზებისა და ბიზანტიელების ერთიანი ჯარი. ყურადსაღებია, რომ გუბაზ II ამ დამარცხებაში, ბიზანტიელ სარდლებს მარტინეს, ბესასა და რუსტიკეს ადანაშაულებდა. ჰოდა, განაწყენებულმა სარდლებმა, ღალატით, ვერაგულად მოკლეს ეგრის-ლაზეთის დიდი მეფე გუბაზ II, მდინარე ხობის ნაპირას.

ბუნებრივია, ამან ხალხი აღაშფოთა, დაიბადა აზრი, რომ დახმაროებისთვის მიემართათ სპარსეთისთვის და დაპირისპირებოდნენ ბიზანტიას.

მართლაც, 554 წელს, ეგრის-ლაზეთის სამეფოს დიდმა საერთო კრებამ განიხილა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

აღფრთოვანებას იწვევს ლაზი დიდებულების ფარტასისა და აიეტის მიმართვა თანამემამულეებისადმი, რომელიც უაღრესად სწორი პოლიტიკური ანალიზით გამოირჩევა და ქართული რიტორიკის ნიმუშად ითვლება.

ცნობილი ქართველი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი წერს: „ამ წარჩინებულ კოლხებს, აიეტსა და ფარსმანს, სწორედ თავის ქვეყანაში ექნებოდათ მიღებული რიტორიკული განათლება, სწორედ იმ სკოლაში, სადაც ორი საუკუნის წინ სწავლობდნენ ბერძენი თემისტოსი და მისი მამა ევგენიოსი“.

საბედნიეროდ, ისტორიას შემორჩა მათი გამოსვლის ფრაგმენტები, ორივე ბრწყინვალე ორატორია.

აიეტი სპარსული ორიენტაციის მომხრეა, რადგანაც თვლის, რომ ბიზანტიელებმა, გუბაზ II-ის მოკვლით, საშინელი და მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინეს.

მართალია, ფარტაზიც აღშფოთებულია ბერძენი სარდლების ვერაგობით, მაგრამ მაინც ბიზანტიური ორიენტაციის მომხრეა, ვინაიდან ბიზანტია ერთმორწმუნე ქვეყანაა.

კრების უმრავლესობამ ფარტაზს დაუჭირა მხარი და ამაში, სწორედ, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, ვინაიდან მართლმადიდებელი ბიზანტიელები უფრო სანდო

მოკავშირეებად მიიჩნიეს, მით უმეტეს, ბიზანტიელები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ – სიკვდილით დასაჯეს გუბაზ II-ის მკვლელები.

თანაც ბიზანტიის იმპერატორმა დააკმაყოფილა ლაზების მოთხოვნა და ეგრის-აფხაზეთის მეფედ დაადგინა გუბაზ II-ის ძმა, წათე II, რომელიც იმპერატორის კარზე იმყოფებოდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: III-VII საუკუნეებში ეგრის-ლაზეთის სამეფოში აკადემიის არსებობა მეტყველებს ხალხის განათლების მაღალ დონეზე. ბუნებრივია, რომ გუბაზ II-ის, აიეტისა და ფარტაზის გარდა, სხვაც ბევრი იღებდა, იქ, განათლებას.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ, იმ ეპოქის ევროპული რენესანსის ფუძემდებლის პეტრე იბერის (იგივე დიონისე არეოპაგის) აღმზრდელს და მასწავლებელს იოანე ლაზს, სწორედ, ეს აკადემია ჰქონდა დამთავრებული.

აღიარებულია, რომ კულტურა და განათლება იმ ქვეყანაში იყო მაღალ დონეზე, სადაც რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

მართლაც, იმ ეპოქაში (III-VII საუკუნეები), ლაზიკაში ქრისტიანობა მყარად იყო დამკვიდრებული და ლაზებიც ჭეშმარიტი მართლმადიდებლები იყვნენ.

როგორც ცნობილია, ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში ქრისტიანობის გავრცელება ახალი ადმინისტრაციული ერთეულების, მარგვეთის, ლაზეთისა და აფხაზეთის საერისთავოების წარმოჩენას დაემთხვა.

სწორედ I საუკუნეში მოღვაწეობდნენ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში ცნობილი საეკლესიო მოღვაწეები ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, რომლებმაც გაავრცელეს ქრისტიანობა. სწორედ I საუკუნიდან არიან კოლხები (მეგრელები) ქრისტიანები, მათ შორის ლაზები, მარგველები, აფხაზები და სვანები.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ, 325 წელს, რომის საეკლესიო კრებას ეგრისის სამეფოდან ესწრებოდნენ ბიჭვინთისა

და ფაზის-ტრაპიზონის ეპისკოპოსები, ხოლო სანამ საეპისკოპოსოები ჩამოყალიბდებოდნენ, ქრისტიანობა დიდი ხნის გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

ბერძნული წყაროები გვამცნობენ, რომ, შავი ზღვის სანაპიროზე, II-III საუკუნეებიდან არსებობდა ეპარქიები: ბიჭვინთის, სებასტოპოლისის (დღევანდელი სოხუმი) და ფაზისის. სწორედ, ფაზისის ეპარქიაში შედიოდა ლაზიკა.

შემდგომში მათ მიიღეს ავტოკეფალია.

ფაზისის ეპარქიის სათავეში იდგა ფაზისის მიტროპოლიტი, რომელსაც ექვემდებარებოდა ოთხი ქალაქის ეპისკოპოსი: როლოპოლისის, საისინთა, პეტრას და ზიგანევთა.

ის, რომ ფაზისის ეპარქიას ექვემდებარებოდა როლოპოლისის (ვარდციხის) ეპისკოპოსი, შესაძლებელია მიგვანიშნებდეს, რომ გუბაზ II-ის ეპოქაში იბერიის (ქართლის) გარკვეულ ნაწილზე მისი გავლენა ვრცელდებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ეგრის-ლაზეთის სამეფომ გუბაზ II-ის ეპოქაში გამორჩეულ სიძლიერეს მიაღწია.

555 წელს, სპარსელები კვლავ შემოესივნენ ეგრის-ლაზეთის სამეფოს, ნახორაგანის სარდლობით, მაგრამ, წათე II-ის მეთაურობით, კოლხებისა (მეგრელ-ლაზები) და ბიზანტიელების ერთობლივი ჯარი სპარსელებს ანადგურებს.

სწორედ, წათე II-ის მეფობის ეპოქაში დასრულდა „დიდი ომიანობა“ ბიზანტიასა და ირანს შორის, რასაც მოჰყვა 562 წლის ზავი. ამის შემდეგ ბიზანტიამ საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები, მაგრამ, ეგრის-ლაზიკის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის უფრო პარტნიორული კავშირი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან შემდგომში, მათ შორის რაიმე კონფლიქტური სიტუაცია ისტორიაში არა ჩანს.

სამწუხაროდ, ამ დროიდან, თითქმის, VIII საუკუნის II ნახევრამდე, ეგრის-ლაზეთის სამეფოზე ცნობები, ფაქტობრივად, არ არსებობს. ეტყობა, სამეფოში რაიმე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა არ ყოფილა.

ბუნებრივია, ეგრის-ლაზეთის სამეფო რეალურად არსებობ-

და, მაგრამ ნომინალურად. მას, ძირითადად, ბიზანტიელები განაგებდნენ. არც ისაა ცნობილი, სამეფოს სათავეში ისევ ლაზური დინასტია იყო, თუ – არა.

ეს კი უდავოა, რომ ეგრისის სამეფოში, ამ ეპოქაში, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე იბერიის (ქართლის) სამეფოში – სპარსებმა ქართლში მეფობა გააუქმეს (535 წ.), VII საუკუნეში იგი არაბებმა დაიპყრეს და იქ ერისმთავრობაც გააუქმეს, ხოლო არაბებს ეგრისის სამეფო, ფაქტობრივად, არ დაუპყრიათ.

ეგრისის სამეფოშიც იყო არაბების ერთი მაოხარი ლაშქრობა, მურვან ყრუს მეთაურობით (735-737 წწ.), რომელიც ეგრისის სამეფოში თავშეფარებული იბერიის (ქართლის) ერისმთავრების – არჩილისა და მირის შესაპყრობად განხორციელდა. მართალია, ეგრისში მურვან ყრუს შემოსევა სისასტიკით გამოირჩეოდა, მაგრამ მანაც დიდი ზარალი ნახა, 35 ათასამდე ჯარისკაცი დაეღუპა, თანაც ვერ აიღო ანაკოფიის ციხე (დღ. ახ. ათონი), სადაც მირი და არჩილი იმალებოდნენ და უკანვე გაბრუნდა.

ამ დროს, ეგრისის სამეფოს სათავეში, ლაზები არ ჩანან. ეტყობა, ეგრისის სამეფოში, უკვე, აფხაზთა საერისთავო უფრო გაძლიერებულია, რაზეც ის გარემოებაც მეტყველებს, რომ არჩილი და მირი, სწორედ, აფხაზეთს აფარებენ თავს.

მურვან ყრუს პირველი წინააღმდეგობა ეგრისის განაპირა საერისთავოში, მარგვეთში შეხვდა, მაგრამ არაბებმა დაამარცხეს მარგველები და ტყვედ ჩაიგდეს მათი მთავრები – დავითი და კონსტანტინე მხეიძეები. მურვან ყრუმ მათ ისლამზე გადასვლა შესთავაზა, რაც მათ კატეგორიულად იუარეს.

დავითი და კონსტანტინე სიკვდილით დასაჯეს. ხალხმა დაიფასა მათი თავდადება, ისინი წმინდანებად არიან შერაცხულები და მოწამეთას ეკლესიაში განისვენებენ.

სხვათა შორის, მემატიანე მარგვეთს, უკვე, ლაზეთად არ მოიხსენიებს და დავითს და კონსტანტინეს ლაზებად, რაც მეტყველებს იმაზე, რომ, ამ დროს, ეგრისი უკვე ლაზეთად არ იწოდებოდა.

თანაც ერთი გარემოება იწვევს გაუგებრობას – მარგვეთი სამთავრო არასდროს ყოფილა, ის ეგრისის სამეფოს რიგითი საერისთავო იყო და დავითი და კონსტანტინე არ შეიძლებოდა მთავრები ყოფილიყვნენ. უფრო მეტი, ისინი არც ერისთავები იქნებოდნენ, ვინაიდან, ამ ეპოქაში, მარგვეთის მფლობელი ერისთავები ლაზი დიდებულები – ბაღვაშები იყვნენ. თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

მართალია. VIII საუკუნეში ეგრისის სამეფოს სათავეში ლაზები უკვე არ ჩანან, მაგრამ ლაზიკის სამეფომ უდიდესი როლი შეასრულა ეგრისის სამეფოს ისტორიაში. ლაზური დინასტიის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ მის სათავეში იმ ეპოქაში, რომელიც გადამწყვეტი იყო ეგრისის სინამდვილეში.

სწორედ ლაზების ეპოქაში აღსდგა ეგრისის სამეფო, დაბრუნდა ისტორიული ტერიტორიები. ეტყობა, იმ ეპოქაში, ეგრისის სამეფო ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ბიზანტიის იმპერიას.

ქართველი მეცნიერები ლაზიკის სამეფოს „ახალი ეგრისის სამეფოდ“ მოიხსენიებენ და ლაზიკის ეპოქას კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს მესამე აღორძინებად მიიჩნევენ.

როდიდან აღარ იყო ლაზური დინასტია ეგრისის სამეფოს სათავეში და რამ განაპირობა ეს მოვლენა, სხვა საკითხია, მაგრამ, VIII საუკუნის მეორე ნახევარში, ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი საერისთავოს, აფხაზეთის მმართველი დინასტია და, აქედან დაწყებული, თითქმის XI საუკუნემდე, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს ეწოდა „აფხაზთა სამეფო“ და მის მკვიდრ მოსახლეებს – კოლხებს (მეგრელებს) „აფხაზები“. ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორიც ლაზიკისა და ლაზების ეპოქაში.

ლაზიკა და ლაზები, VIII საუკუნიდან, თითქოს, გადიან ეგრისის პოლიტიკური ცხოვრებიდან, მაგრამ ეს ასე არ იყო. ლაზიკა და ლაზები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ აფხაზთა, უფრო სწორად, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში და დიდი წვლილიც შეიტანეს საქართველოს გაერთიანებაში.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 5-6 საუკუნეა, მშობლიურ ერს დაშორებული ხართ, ლაზების ჭეშმარიტი ქართველობა არასოდეს დამდგარა ეჭვის ქვეშ, მაგრამ, სამწუხაროდ, დასავლეთ საქართველოში საუკუნეების მანძილზე განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა სადავო გახადა საქართველოს მკვიდრი ნაწილის – აფხაზეთის რეალური რაობა და უძველესი აფხაზების ქართველობა.

დარწმუნებული ვარ, თქვენც არასწორი წარმოდგენა გაქვთ აფხაზეთზე და აფხაზებზე, იქ მიმდინარე პროცესებზე, ამიტომაც მიზანშეწონილად მიმაჩნია, თქვენი ყურადღება შევაჩერო აფხაზეთის ისტორიაზე, რომელიც იგივე ეგრისის სამეფოს ისტორიის ნაწილია.

აფხაზეთი – აფხაზეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, საერისთავო, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, ლაზიკისა და მარგვეთის საერისთავოების წარმოჩენის ეპოქაში წარმოჩინდა.

აფხაზეთი ეწოდა ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, ანაკოფიიდან (დღ. ახ. ათონი) ქ.ლაზიკამდე (შემდგომში ნიკოფსია, დღ. ტუაფსეს მიდამოები). ეს, ფაქტობრივად, ზღვისპირა ზოლია, რომელსაც მეორე მხარეს ესაზღვრება კავკასიონის ქედი. სათანადოდ, ტერიტორიულად, აფხაზეთს შედარებით უმნიშვნელო ტერიტორია ეკავა.

ბუნებრივია, როგორც ადგილის დასახელება, აფხაზეთი ადრეც იარსებებდა, მაგრამ ისტორიაში არ ჩანდა, რადგანაც ადმინისტრაციული ერთეული არ იყო.

ტოპონიმი „აფხაზეთი“ მეგრულია, „აფხა“ ნიშნავს ბეჭს. შემდგომში ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში მას ხშირად მოიხსენიებენ „აბკასიად“, „აბასკიად“, „აბაზგიად“, „აბხაზიად“, რაც, ვფიქრობ, ენის ბარიერითაა გამოწვეული.

„აპსნი“ აფხაზეთის ადიღეური დასახელებაა. ის გარემოება, რომ, XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან, გარკვეული ძალები ცდილობენ აფხაზეთის ოფიციალურ დასახელებად „აპსნი“ და-

აკანონონ, ისტორიული გაუგებრობითაა გამოწვეული, რაზეც შემდგომ ვისაუბრებ.

VIII საუკუნის მეორე ნახევარში ეგრისის სამეფოს სათავეში მოვიდა აფხაზური დინასტია, რის შემდეგაც ის მოიხსენიებოდა „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოდ (თითქმის XI საუკუნემდე), რომელიც ერთიანი საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახდა.

ერთიანი საქართველოს დაშლის (XV ს.) შემდგომ, აფხაზეთი დარჩა სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში, მაგრამ, XVII საუკუნის დასაწყისში, იგი გახდა სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებელი საერისთავო, ხოლო XVII საუკუნის ბოლოს – სამთავრო.

ყოველ შემთხვევაში, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში აფხაზეთის რეგიონის წარმოჩენას, არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია.

აფხაზები – აფხაზეთის საერისთავოს წარმოჩენის შემდეგ, გაჩნდა ცნება „აფხაზი“, ბუნებრივია, აფხაზეთის ტერიტორიაზე იცხოვრებდნენ ეგრისის სამეფოში დასახლებული წვრილ-წვრილი ტომებიდან ზოგიერთები, ესენი იქნებოდნენ სანები, ჰენიოსები, სანიგები, კორაქსები თუ სხვები, რომლებიც ძირითადად ითვლებოდნენ მეგრულ ტერიტორიულ ჯგუფებად. სწორედ მათ ეწოდათ აფხაზები, უფრო ზუსტად, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ აფხაზები.

სათანადოდ აფხაზები ისეთივე მეგრული ტერიტორიული ჯგუფი იყო, როგორც ლაზები და მარგველები.

– აფხაზების მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო ზუსტად, მეგრული ენის კილოკავი, რაც დღესაც უცვლელადაა შემონახული სამურზაყანოული კილოს სახით.

აფხაზური გვარები – უძველეს აფხაზებს მეგრული გვარები ჰქონდათ და დღესაც აქვთ. აფხაზურ და მეგრულ გვარებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში გავრცელებულ გვარებს შორის. ვინც კარგად იცნობს მეგრულ გვარებს, ადვილად ხვდება, რომელ

რაიონში რომელი სპეციფიური მეგრული გვარებია გავრცელებული და მათ შორის აფხაზეთშიც.

როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, აფხაზებიც, I-II საუკუნიდან, ქრისტიანები იყვნენ. ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ქ.ნიკეაში (325 წ.), ქრისტიანების მსოფლიო კრებას ესწრებოდა, სწორედ აფხაზეთიდან, ბიჭვინთიდან იყო.

ყოველ შემთხვევაში, ყველა ის ატრიბუტი, რაც აუცილებელია უძველესი აფხაზების ვინაობის დასადგენად, ქართულია. შესაბამისად, უძველესი აფხაზები ჭეშმარიტი ქართველები იყვნენ, უფრო ზუსტად, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ ქართველები.

– აფხაზეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში და აფხაზებს არც ერთ სხვა ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები დამსახურება არა აქვთ ქართველი ერის წინაშე.

განსაკუთრებით გამორჩეული როლი ითამაშა აფხაზეთმა საქართველოს ცხოვრებაში VIII-X საუკუნეებში, საქართველოს ერთიანობის წინარე ეპოქაში.

ისტორიული წყაროებიდან არ ჩანს, თუ რა მდგომარეობა იყო VIII საუკუნის მეორე ნახევარში ეგრისის სამეფოში. ეტყობა, სამეფო ხელისუფლება შესამჩნევად შესუსტებული იყო, ხოლო ერისთავები გამოკვეთილად გაძლიერებულნი, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომ აფხაზეთის ერისთავმა ლეონ II ისარგებლა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის არსებული დაპირისპირებით, ბიზანტიაში ხატისმებრძოლებთან მიმდინარე ბრძოლებით და აფხაზეთი ბიზანტიის მეურვეობისაგან გაათავისუფლა. შემდგომში მან შეძლო მთელი ეგრისის სამეფოს გათავისუფლება და მისი მეფე გახდა (755-800 წწ.).

აქაც შეიძლება ისეთ მოვლენასთან გვქონდეს საქმე, როგორიც ეგრისის სამეფოს სათავეში ლაზური დინასტიის მოსვლის ეპოქაში იყო – შესაძლებელია, ეგრისის მეფეს მემკვიდრე არ ჰყოლოდა და ლეონ II-ს, როგორც ეგრისის სამეფო

საგვარეულოს წევრს მემკვიდრეობით რგებოდა მეფობა, ან, შეიძლება, პოლიტიკური ვითარებით ყოფილიყო აუცილებელი მისი გამეფება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ მოვლენასთან დაკავშირებით არავითარი ომები არ ყოფილა.

ყოველ შემთხვევაში, ეგრისის სამეფოს სათავეში აფხაზური დინასტიის ყოფნას სათავე დაუდო ლეონ II. სწორედ აქედან ეწოდა ეგრისის სამეფოს „აფხაზთა სამეფო", უფრო ზუსტად, „ეგრის-აფხაზეთის" სამეფო, ხოლო მის მკვიდრ მოსახლეობას – „აფხაზები", მაგრამ ამას არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია, არც ეთნიკური, არც ენობრივი და არც სარწმუნოებრივი, რაც სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ძირითადი მოსახლეობა ისევ მეგრული იყო. თუმცა, პირობითად, ნაწილს ლაზი ერქვა, ნაწილს – აფხაზი და ნაწილს – მარგველი.

სხვათა შორის, აფხაზების რაოდენობა შედარებით უმნიშვნელო იყო, ვინაიდან, ტერიტორიულად, აფხაზეთს ეგრისის სამეფოს მცირე ნაწილი ეკავა.

ეგრის-აფხაზეთის სამეფო რომ ტიპიური ქართული სამეფო იყო და აფხაზები ჭეშმარიტი ქართველები იყვნენ, ამაზე ყველაზე ნათლად მეტყველებენ ეგრისის სამეფოში აფხაზური დინასტიის წარმომადგენლების მეფობის ეპოქაში (VIII-X ს.) გაკეთებული დიდი ქართული საქმეები – ეგრისის სამეფო ისევ აღსდგა ისტორიულ საზღვრებში. ფაქტობრივად, მიაღწია დამოუკიდებლობას ბიზანტიის იმპერიისგან და მისი ღირსეული პარტნიორი გახდა. სწორედ ამ ეპოქაში აშენდა დიდებული ქრისტიანული კერები ბიჭვინთაში, ახალ ათონში, დრანდაში, ილორში, ოქუმში, ბედიაში, მარტვილში, ხობში, წალენჯიხაში.

ეგრის-აფხაზეთის სამეფო, სხვა ქართულ სამეფოებთან შედარებით, აშკარად ძლიერი გახდა და ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა, სათავეში ჩადგომოდა ბრძოლას საქართველოს გასაერთიანებლად. მით უმეტეს, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფეებს საქართველოს მეფობის ისეთივე კანონზომიერი მორალური უფლება ჰქონდათ, როგორიც სხვა ქართული სამეფოებისას.

ამისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ქართული სამეფოებიდან, რომელი შეძლებდა დაუფლებოდა იბერიას (ქართლს), რომელიც ჯერ კიდევ არაბების ხელში იყო, და ფაქტობრივად, ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა.

მართლაც, სხვა ქართული სამეფო-სამთავროებიდან, აფხაზთა სამეფომ შეძლო დაუფლებოდა იბერიას (ქართლს), გარდა თბილისისა. ეს მოხდა ეგრის-აფხაზეთში გიორგი I მეფობის დროს (861-868 წწ.). ეტყობა, ამ მოვლენაში აქტიურად მონაწილეობდა მარგვეთის ერისთავი ლაპარიტ ბაღვაში, ვინაიდან სწორედ ამ დროიდან გვევლინებიან ლაზი დიდებულები – ბაღვაშები იბერიაში (ქართლში), კლდეკარის, ორბეთის, სკვირეთისა და ატენის მფლობელებად. ისინი უაღრესად დიდ როლს თამაშობდნენ, VIII-XII საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეგრის-აფხაზეთის მიერ იბერიის (ქართლის) შემოერთების შემდეგ, მას განაგებდნენ აფხაზთა ერისთავები, რომლებიც, ძირითადად, აფხაზთა მეფეების მემკვიდრეები იყვნენ, მაგრამ ხშირად, სხვა დიდებულებიც იყვნენ აფხაზთა მეფის ერისთავები იბერიაში (ქართლში). მათ შორის, განსაკუთრებით ცნობილია ლაზი დიდებული იოანე მარუში (მარუშისძე), იმ ეპოქის დიდი ერისკაცი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს გაერთიანებაში.

IX საუკუნის ბოლოს, ეგრის-აფხაზეთის ცენტრმა ბედიიდან ქუთაისში გადაინაცვლა. ეს, ტერიტორიული თვალსაზრისით, გამართლებული იყო იმდენად, რამდენადაც იბერია (ქართლი), უკვე, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში შედიოდა.

აფხაზი მეფეებიდან ყველაზე ცნობილია გიორგი II (922-957 წწ.), რომელმაც შეძლო ეგრის-აფხაზეთის სამეფოს გაფართოება. სწორედ მის ეპოქაში განხორციელდა ქართული ეკლესიის ბიზანტიური ეკლესიიდან საბოლოო გამოყოფა.

მან მიიღო გადაწყვეტილება, რამაც სათავე დაუდო ერას საქართველოს ისტორიაში – ეგრისის ეკლესია დაექვემდებარა

მცხეთის ეკლესიას და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სახელმწიფო ენად აღიარებულ იქნა ქართული ენა.

ეს იყო ზოგადქართული მნიშვნელობის პოლიტიკურად უაღრესად სწორი გადაწყვეტილება, მაშინ, როდესაც, გიორგი II სრული მორალური უფლება ჰქონდა, მცხეთის ეკლესია ეგრისის ეკლესიისთვის დაექვემდებარებინა და სახელმწიფო ენად მეგრული დაეკანონებინა, ვინაიდან იბერია (ქართლი) ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა და არა პირიქით. აშკარაა, რომ მეფე გიორგი II ამ გადაწყვეტილებით იბერებს (ქართლელებს) არწმუნებდა, რომ ეგრის-აფხაზეთს კი არ დაუპყრია იბერია (ქართლი), არამედ ეს იყო აუცილებელი ღონისძიება საქართველოს გასაერთიანებლად.

ყოველივე ამის შემდეგ, უაზრობაა აფხაზი მეცნიერების დემაგოგიური განცხადება, თითქოს, აფხაზები ქართველები არ იყვნენ. თანაც ეს მოვლენა ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს, რომ აფხაზები მეგრელები არიან და მათი მშობლიური ენა მეგრულია, მით უმეტეს, იმ ეპოქაში ე.წ. „აფხაზურ-ადიღეური" ენის ხსენება არ იყო.

ყოველ შემთხვევაში, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში მზადდებოდა მყარი საფუძველი საქართველოს გასაერთიანებლად და ამის ხელსაყრელი მომენტიც დადგა – ეგრის-აფხაზეთის მეფე გახდა უსინათლო თეოდოს III (975), რომელსაც შვილი არ ჰყავდა.

თეოდოს III-ემ მემკვიდრედ გამოაცხადა დისწული, სამხრეთ ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატ II-ის შვილიშვილი, რომელიც ისტორიაში შევიდა ბაგრატ III სახელით.

მართალია, „ქართლის ცხოვრება" თეოდოს III-ეს უუნარო და სუსტ მეფედ მიიჩნევს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მეტყველებს, ბერძენ და გამჭრიახ პოლიტიკოსობაზე, ვინაიდან ბაგრატ III-ის ეგრის-აფხაზეთის მეფის მემკვიდრედ გამოცხადება იძლეოდა შანსს, საქართველო დინასტიური გზით გაერთიანებულიყო, რადგანაც ის, ფაქტობრივად, 3 ქართული სამეფოს მემკვიდრე აღმოჩნდა – ეგრისი და ქართლი მას ერგებოდა, როგორც თეოდოს III-ის მემკვიდრეს, ხოლო სამხრეთ ქართ-

ველთა სამეფო, როგორც ბაგრატ II-ის მემკვიდრეს.

დღეს, მეცნიერები შეთანხმდნენ იმაზე, რომ საქართველოს გაერთიანების ინიციატივა წამოვიდა ეგრის-აფხაზეთის სამეფოდან, სწორედ თეოდოს III-ის გადაწყვეტილება ითვლება ამ ინიციატივად.

მეცნიერები საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ ძირითად შემომქმედად მიიჩნევენ ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავს იბერიაში (ქართლში), იმ ეპოქის დიდ ერისკაცს, ლაზ დიდებულს იოანე მარუშისძეს. მისი ნამდვილი გვარია ლაზური გვარი – მარუში.

„ქართლის ცხოვრება" საქართველოს გაერთიანების მოვლენას შემდეგნაირად აღწერს – იბერიის (ქართლის) ერისთავი იოანე მარუში მისულა იმიერ ტაოს კურაპალატ დავით III ბაგრატიონთან, უთხოვია მისთვის, ბაგრატ III დაესვა იბერიის (ქართლის) მეფედ. როგორც მემატიანე გვამცნობს, თითქოს მოსწონებია მას ეს იდეა, ქართლის დიდებულებისთვის უბრძანებია, დამორჩილებოდნენ ბაგრატ III-ეს და, 975 წელს, იგი იბერიის (ქართლის) მეფე გაუხდია, ხოლო 978 წელს, მისთვის მთელი დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრის-აფხაზეთის სამეფო ჩაუბარებია.

ამ მოვლენის აღწერა იმ ეპოქის მემატიანეს ეკუთვნის თუ მომდევნო თაობისას, ეს სხვა საკითხია, მაგრამ აშკარად ტენდენციურობაა, როცა საქართველოს გაერთიანებას დავით III კურაპალატის დამსახურებად წარმოადგენენ და ეგრის-აფხაზეთის მეფის თეოდოს III-ის როლს აკნინებენ. დიახ, ტენდენციურობაა და აი, რატომ:

– იმ ეპოქაში იბერია (ქართლი) სამეფო არ იყო და იგი, თბილისის გარდა, დაპყრობილი იყო ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მიერ, რომელსაც განაგებდნენ ეგრის-აფხაზეთის ერისთავები იოანე მარუშისძე და რატი ბაღვაში. ბუნებრივია, ქართლის დიდებულები ემორჩილებოდნენ ეგრის-აფხაზეთის მეფეს, რის გამოც დავით III კურაპალატს არავითარი უფლება არ ჰქონდა, მათთვის ბაგრატ III-ის მორჩილება ებრძანებინა.

975 წელს ბაგრატ III მცირეწლოვანი იყო და მისი იბერიის (ქართლის) მეფედ დასმა გამორიცხული იყო.

– ასევე წარმოუდგენელია, დავით III კურაპალატს ეგრის-აფხაზეთის სამეფო 978 წელს ბაგრატ III-სათვის ჩაებარებინა, რადგანაც ის გაცილებით დიდი და ძლიერი სამეფო იყო, ვიდრე იმიერ-ტაოს საკურაპალატო. მით უმეტეს, რომ ამის აუცილებლობა არც იყო, ვინაიდან ეგრის-აფხაზეთის მეფე თეოდოს III-მ იგი ოფიციალურად აღიარა თავის მემკვიდრედ და, ფაქტობრივად, მცირეწლოვანი ბაგრატ III თანამესაყდრედ დაისვა.

– ბაგრატ III 975 წელს არ გამხდარა ქართლის (იბერიის) მეფე, რაც იქიდან ჩანს, რომ ის, 978 წელს, სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ, ეგრის-აფხაზეთის დიდებულებმა ქუთაისში აკურთხეს მხოლოდ ეგრის-აფხაზეთის მეფედ და, მიუხედავად იმისა, რომ, თავისი მეფობის 36 წლიდან, თითქმის 32 წელი იწოდებოდა მხოლოდ „ბაგრატ III მეფე აფხაზთა“, იბერია (ქართლი) მას ეკუთვნოდა.

სხვათა შორის, ამით შეწყდა აფხაზური დინასტიის მეფობა ეგრისში და არასწორია აფხაზი მეცნიერების მტკიცება, თითქოს აფხაზებმა გააერთიანეს საქართველო, ვინაიდან მაშინ ეგრის-აფხაზეთის მეფე იყო სამხრეთ ქართველთა სამეფოს წარმომადგენელი ბაგრატ III ბაგრატიონი.

აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ დიდ ერისკაცს იოანე მარუშისძეს დავით III კურაპალატისთვის არ უთხოვია, ბაგრატ III დაესვა ქართლის (იბერიის) მეფედ, არამედ აშკარაა, მას დავალებული ჰქონდა, თავის მეფე თეოდოს III-ისაგან, შეეთანხმებინა დავით III კურაპალატთან, ბაგრატ III ეცნოთ ერთიანი საქართველოს მეფედ, ვინაიდან თუ ის გახდებოდა ეგრის-აფხაზეთისა და სამხრეთ ქართველთა მეფე, ეს, ფაქტობრივად, საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა. მით უმეტეს, ქართლი მას ეკუთვნოდა.

სამწუხაროდ აშკარაა, რომ ლაზმა ფეოდალმა იოანე მარუშისძემ (მარუში) ვერ შეძლო თავისი მეფის, თეოდოს III დავალების შესრულება, მაგრამ ეს ოდნავაც ვერ აყენებს ჩრდილს

ამ დიდ ერისკაცს, არამედ ააშკარავებს დავით III კურაპალატის ნამდვილ სახეს, რომელიც აღმოჩნდა ბაგრატ III-ის ერთიან საქართველოში გამეფების ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, ვინაიდან ამაში ხედავდა თავისი ძალაუფლების ხელყოფას. კიდევ უფრო დაუჯერებელია „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი ცნობა, თითქოს, შემდგომში დავით III კურაპალატმა მთელი ეგრის-აფხაზეთი ჩააბარა ბაგრატ III-ეს. როგორც აღვნიშნე, მას არ ჰქონდა უფლება და შესაძლებლობა, მისთვის ქართლი ჩაებარებინა და სრულიად გამორიცხულია ჰქონოდა უფლება, ბაგრატ III დაესვა ეგრის-აფხაზეთის მეფედ, მაშინ როდესაც, ეს სამეფო გაცილებით დიდი და ძლიერი იყო იმიერტაოს საკურაპალატოზე. მით უმეტეს ცნობილია, რომ ბაგრატ III მხოლოდ ეგრის-აფხაზეთის მეფედ აკურთხეს ეგრისის დიდებულებმა, მათ შორის ლაზმა, აფხაზმა და მარგველმა დიდებულებმა, 978 წელს ქ.ქუთაისში. სხვათა შორის, დიდი ერისკაცის, ლაზი დიდებულის იოანე მარუშის როლი იმ ეპოქის საქართველოში კიდევ ერთხელ გამოჩნდა შემდეგ მოვლენებში – ბაგრატ III, მამამისის გურგენის ხელმძღვანელობით, ჯარი გაგზავნა გაურჩებული ერისთავის რატი ბაღვაშის დასამორჩილებლად, მაგრამ მისმა მტრებმა ჩააგონეს დავით III კუროპალატს, თითქოს ბაგრატ III, ფაქტობრივად, მის დასამორჩილებლად მიდიოდა. დავით III კურაპალატი დაუკავშირდა ბაგრატ III-ის ბაბუას, ქართველთა მეფეთ-მეფეს ბაგრატ II-ეს და მათ გაერთიანებული ძალით დაამარცხეს ბაგრატ III-ის ჯარი.

სწორედ აქ ითამაშა გადამწყვეტი როლი იოანე მარუშმა, იგი ჩადგა შუამავლად ბაგრატ III და დავით III კუროპალატს შორის და შეარიგა ისინი.

მართალია, ბაგრატ III, თითქოს, თავისი ერისთავის რატი ბაღვაშის დასამორჩილებლად მიდიოდა, მაგრამ, ეტყობა, ის უფრო დავით III კურაპალატის წინააღმდეგ ილაშქრებდა, ვინაიდან სწორედ მასში ხედავდა საქართველოს გაერთიანების ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგეს.

მართლაც, სანამ ცოცხალი იყო დავით III კურაპალატი,

ვერც საქართველოს ელირსა გაერთიანება და ვერც ბაგრატ III გახდა ერთიანი საქართველოს მეფე. თუმცა, ბაგრატ III გულმოდგინედ ცდილობდა ამის გაკეთებას.

ამდენად, ძირითადად, სწორედ დავით III კურაპალატისა და ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატ II-ის „დამსახურებაა", რომ ვერ მოხერხდა საქართველოს დინასტიური გზით გაერთიანება, რადგანაც მათ არ დათმეს თავისი სამეფოები, რომლებიც მემკვიდრეობით ერგებოდა ბაგრატ III-ეს. ეს ძალიან ძვირი დაუჯდა ქართველ ერს. ცნობილია, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ერთიანი საქართველოს მეფე იყო მხოლოდ 4 წელი, მანამდე ის მხოლოდ ეგრის-აფხაზეთის მეფე იყო და მისი ტიტული იყო „ბაგრატ III – მეფე აფხაზთა". თუმცა, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში ქართლიც შედიოდა.

ბაგრატ III თითქმის 32 წელი იბრძოდა საქართველოს გასაერთიანებლად, ამ მიზნით ის ებრძოდა იმიერ-ტაოს კურაპალატს დავით III, ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატ II-ის ბაბუას, კახეთისა და ჰერეთის მთავრებს, განჯის ამირა ფადლონს, ქართლის დიდებულებს, თავის ერთ-ერთ ერისთავს ქართლში რატი ბაღვაშს (ლაზ ფეოდალს) და სხვებს, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს.

ბაგრატ III ამ რთულ და მძიმე ბრძოლაში, ძირითადად, მხოლოდ ერთ ძალას ეყრდნობოდა, ეგრისის დიდებულებს და ეგრისელებს (მეგრელებს), მათ შორის ლაზებს, აფხაზებს და მარგველებს.

მართალია, ბაგრატ III-ემ ქართლი მყარად შემოიმტკიცა, კახეთ-ჰერეთიც, ძირითადად, მისი გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ საქართველოს რეალური გაერთიანება მოხერხდა მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-ის მამა, ქართველთა მეფეთ-მეფე გურგენ II გარდაიცვალა და ბაგრატ III-ეს მემკვიდრეობით ერგო სამხრეთ ქართველთა სამეფო (1008 წ.).

შემდგომში მან შეძლო კახეთისა და ჰერეთის მყარად შემოერთება, რითაც, ფაქტობრივად, დამთავრდა საქართველოს გა-

ერთიანება (1010 წ.) და მისი ტიტული გახდა „ბაგრატ III – მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“.

ვარაუდობენ, თითქოს ტიტულატურაში ნახსენებ „ქართველთა“-ს ქვეშ მოიაზრება ქართლი და ქართლელები, მაგრამ ეს არ არის სწორი. ჯერ ერთი, იმ ეპოქაში ქართლს იბერია ერქვა და მოსახლეობას – იბერები და, ბუნებრივია, თუ მის ქვეშ ქართლი იგულისხმებოდა, მაშინ „ქართველთას“ მაგივრად „იბერია“ უნდა ყოფილიყო.

მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატ III ქართლი ეკუთვნოდა, მისი ტიტული იყო ბაგრატ III – „მეფე აფხაზთა“, 1008 წლამდე, სანამ სამხრეთ ქართველთა სამეფო არ მიიღო მემკვიდრეობით. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იგი „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „ქართველთას“ ქვეშ სამხრეთ საქართველო და იქაური მკვიდრები იგულისხმებოდნენ, ხოლო ქართლი მოიაზრებოდა ტერმინ „აფხაზთა“-ს ქვეშ.

სწორედ აქედან იწყება ახალი ერა საქართველოს ისტორიაში, ერთიან საქართველოს ეპოქაში (XI-XV სს.) მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ გამორჩეულ სიძლიერეს, გახდა კლასიკური სტილის სახელმწიფო, გატარდა მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები, მიიღეს უაღრესად ბრძნული გადაწყვეტილება – ჩვენს ქვეყანას დაერქვა საერთო სახელი „საქართველო“ (რომლის ქვეშაც მოიაზრებოდა ყველა ქართული კუთხე, მათ შორის ლაზიკაც), ხოლო მოსახლეობას – „ქართველები“, რომლის ქვეშაც იგულისხმებოდა ყველა ქართული კუთხის მკვიდრი, ბუნებრივია, მათ შორის, ლაზიც.

მართალია, დავით აღმაშენებლის ეპოქაში (1089-1125 წწ.), საქართველო საბოლოოდ განთავისუფლდა არაბებისა და სპარსელების უღლისგან, რეალურად გახდა ერთიანი, დამოუკიდებელი და იგი სრულიად კანონზომიერად იხსენიება საქართველოს უდიდეს მეფედ, მაგრამ მაინც არ იწოდებოდა საქართველოს მეფედ, მისი ტიტული იგივე დარჩა, რაც ბაგრატ III-ეს ჰქონდა. ეს მეტყველებს, რომ, დიდი დავითის ეპოქაშიც კი, ზოგადეროვნულ

ცნებებს „საქართველოს“ და „ქართველს“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა სახელმწიფოებრივი სტატუსი.

ეტყობა, ამ ცნებების განზოგადოება, მთელ საქართველოზე და ქართველ ხალხზე განხორციელდა საქართველოს მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) და მისი ქალიშვილის, დიდი თამარის ეპოქაში (1184-1210 წწ.).

ჩვენს ერთიან ქვეყანას „საქართველო“ და მის ხალხს „ქართველი“ დაერქვა იმიტომ, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III სამხრეთ ქართველთა სამეფო საგვარეულოს, ბაგრატიონების წარმომადგენელი იყო, რომელმაც სათავე დაუდო ბაგრატიონების დინასტიას საქართველოში.

ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორიც დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოში მოხდა, როდესაც მის სათავეში მოვიდა ლაზური დინასტია, ეგრისს ლაზიკად და მის მკვიდრ მოსახლეობას ლაზებად მოიხსენიებდნენ, ხოლო მის სათავეში აფხაზური დინასტიის მოსვლის შემდეგ, ეგრისის სამეფოს აფხაზთა სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მოსახლეობას აფხაზებად. მიუხედავად იმისა, ძირითადად, მოსახლეობას ისევ მეგრელები წარმოადგენდნენ.

ამდენად, სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო, ჩვენს ქვეყანას დარქმეოდა იბერია, ეგრისი, ლაზეთი ან აფხაზეთი, თუ საქართველოს გაერთიანების სათავეებთან ამ სამეფოების წარმომადგენლები აღმოჩნდებოდნენ და ქართველი ხალხის წინაშე ისეთივე დამსახურება ექნებოდათ, როგორც ბაგრატიონებს.

დამერწმუნეთ, ლაზები (მათ შორის ჭანები), როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, ჭეშმარიტი ქართველები ხართ.

სამწუხაროდ, ზოგადეროვნული ცნებების „საქართველოს“ და „ქართველის“ შემოღების შემდეგ, ერთიანი საქართველო მალე დაიშალა (XV ს.), ქართულმა ტომებმა ვერ მოასწრეს, მყარად გაეთავისებინათ ეს ცნებები, მათ შორის, განსაკუთრებით ლაზებმა, და აი, რატომ: ლაზები საქართველოს მოსწყდნენ ყველაზე ადრე, ფაქტობრივად, 1203 წელს, მაშინ, როდესაც

საქართველოს სამეფო, თითქოს, სიძლიერის ზენიტში იყო, მაგრამ ეტყობა, ეს ცნებები ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული ზოგადქართულ ცნებებად. მით უმეტეს, ბერძნები და თურქები, რომელთა გარემოცვაშიც ლაზები აღმოჩნდნენ, ჩვენს ქვეყანას და მის მკვიდრებს ამ სახელებით არ იცნობდნენ. ბერძნები საქართველოს „გეორგიას“ უწოდებდნენ და ქართველებს „გეორგიანებს“, ხოლო თურქები – „გურჯისტანს“ და „გურჯს“, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ ლაზებს დღესაც არა აქვთ გაცნობიერებული ცნებების „საქართველოს“ და „ქართველის“ რეალური არსი.

„საქართველოს“ მკვიდრ ნაწილად ლაზიკაც ისევე იგულისხმება, როგორც ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი და ა.შ. და „ქართველის“ ქვეშ ლაზიც ისევე მოიაზრება, როგორც ქართლელი, მეგრელი, კახელი, იმერელი, სვანი და ა.შ.

ყოველ შემთხვევაში, დაეჭვება იმაში, რომ ლაზიკა საქართველოს ღვიძლი ნაწილი იყო და ლაზები ჭეშმარიტი ქართველები იყვნენ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

თამარ მეფის ეპოქაში, 1203 წელს, ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, ჩამოყალიბდა ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ქართული სამეფო ოჯახის ნათესავები, კომნენები.

მართალია, ქართველი მეცნიერები არ აღიარებენ, მაგრამ შეუძლებელია, ეს თამარ მეფის ინიციატივით მომხდარიყო. ეტყობა, აქ გადამწყვეტი როლი ბიზანტიის იმპერიამ ითამაშა.

თითქოს ტრაპიზონის იმპერია საქართველოს ვასალ ქვეყანად ითვლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ის უფრო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო, მით უმეტეს, ტერიტორიულადაც უფრო ახლოს იყო ბიზანტიის იმპერიის ცენტრთან, ვიდრე თბილისთან.

ეს მოვლენა მაშინ ქართველ ხალხს ტრაგედიად არ აღუქვამს, ვინაიდან ბიზანტია და საქართველო ერთმორწმუნე და მეგობარი ქვეყნები იყვნენ, მაგრამ, რეალურად, აქედან დაიწყო საქართველოს დაშლა და, ფაქტობრივად, ამის შემდეგ ლაზიკა

და ლაზები საქართველოს ისტორიაში, თითქმის არ იხსენიებიან.

ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც ისევ საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, ჩამოყალიბდა გურიის საერისთავო და მისი ერისთავი გახდა ერთიან საქართველოში მთელი დასავლეთ საქართველოს „უცილოდ" პატრონის ვარდან დადიანის მოგვარე. შესაძლებელია, ყოფილიყო მისი ან ძმა ან შვილი, რომელიც იწოდებოდა გურიელ-დადიანად.

აჭარა მაშინ ადმინისტრაციული ერთეული არ იყო და ის გურიის საერისთავოში შედიოდა.

სამწუხაროდ, ისტორიული მოვლენების შედეგად, XIII საუკუნეში, საქართველო, ფაქტობრივად, დაიშალა და სათავე დაედო ორმეფობის მოვლენას (1249 წ.). აღმოსავლეთ საქართველოში დაჯდა მეფე დავით VI-ულუ (1249-1263 წწ.), ხოლო დასავლეთ საქართველოში – მეფე დავით VI ნარინი.

მართალია, მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1316-1346 წწ.) თითქოს შეძლო საქართველოს ისევ გაერთიანება და ტრაპიზონის იმპერიის თავის გავლენის ქვეშ მოქცევაც, მაგრამ XV საუკუნეში, საქართველო საბოლოოდ დაიშალა. სამწუხაროდ, ამის შემდეგ საქართველოს ვერ ეღირსა გაერთიანება.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის (I-XII საუკუნეები) ამ ეპოქაში, ქართული სამეფო-სამთავროებიდან, ლაზიკის სამეფომ და ლაზებმა უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოს სინამდვილეში. თითქმის 6 საუკუნე (III-VIII საუკუნეები) დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს სათავეში იმყოფებოდა ლაზური დინასტია და ეგრისის სამეფოს „ლაზიკის სამეფოდ" მოიხსენიებდნენ. უფრო მეტი, სანამ არსებობდა ბიზანტიის იმპერია (XV ს.), მთელ დასავლეთ საქართველოს, ყოველთვის, ლაზიკის სამეფოდ და მოსახლეობას ლაზებად მოიხსენიებდნენ.

ეგრისის სამეფოში ლაზების ზეობის ეპოქაში ეგრისის სამეფო ისევ აღსდგა ძველ საზღვრებში, რომლებიც ეკავა კოლხეთის სამეფოს. სწორედ მაშინ დაარსდა, ეგრისის სამეფოს

უკიდურეს ჩრდილო საზღვარზე, ქალაქი „ლაზიკე“, რომელსაც შემდგომში ნიკოფსია ეწოდა (დღ. ქ.ტუაფსეს მიდამოები).

მართალია, VIII საუკუნის ბოლოს ეგრისის სამეფოს სათავეში ლაზური დინასტია აფხაზურმა შეცვალა და ეგრისის სამეფოს „აფხაზთა სამეფო“, უფრო სწორად „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფო ეწოდა, მაგრამ ლაზი დიდებულები ისევ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

– ბუნებრივია, ლაზიკის ერისთავად ისევ ლაზი დიდებული იქნებოდა. თუმცა, სამწუხაროდ, ისტორიაში მისი გვარი ცნობილი არ არის.

რადგანაც ქვეყნის სათავეში აფხაზური დინასტიის მოსვლას არც ეთნიკური, არც სარწმუნოებრივი და არც ტერიტორიული ცვლილება არ მოჰყოლია, ლაზიკის საერისთავო და ლაზები, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობდნენ სამეფოს სინამდვილეში.

VIII საუკუნეში მარგვეთის სამეფოს მფლობელად ლაზი ფეოდალი რატი I ბაღვაში გვევლინება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბაღვაშები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მათ მოღვაწეობაზე გავამახვილო ყურადღება.

როგორც ცნობილია, ეგრის-აფხაზეთის მეფე გიორგი I (861-868 წ.) შეძლო ქართლის შემოერთება. ეტყობა, ამ მოვლენაში აქტიურად მონაწილეობდა მარგვეთის ერისთავი რატი ბაღვაში, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომ, ამის შემდეგ, თითქმის 4 საუკუნის განმავლობაში, ბაღვაშები აღმოსავლეთ საქართველოშიც ფლობდნენ კლდეკარის საერისთავოს, ორბეთს, სკვირეთს და ატენს და, ფაქტობრივად, ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავებს წარმოადგენდნენ ქვემო ქართლში.

ბაღვაშების საგვარეულოს თავკაცებში, ძირითადად, ორი სახელი ფიგურირებს, რატი და ლიპარიტი.

როდიდან გახდნენ ბაღვაშები მარგვეთის საერისთავოს მფლობელები, უცნობია, მაგრამ სავარაუდოა, ეს მომხდარიყო მას

შემდეგ, რაც ეგრისის სამეფოს სათავეში ლაზური დინასტიის წარმომადგენელი მოვიდა.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ შესაძლებელია, ბაღვაშები ლაზიკის სამეფო ოჯახის წევრები ყოფილიყვნენ, ან მათი ნათესავები.

ისტორიიდან ცნობილი არ არის, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ისინი ეგრისის სამეფოში ლაზური დინასტიის ზეობის ეპოქაში, მაგრამ, ეგრისის სათავეში აფხაზური დინასტიის მოსვლიდან (VIII ს.) თითქმის 4-5 საუკუნის განმავლობაში, ბაღვაშები უაღრესად გავლენიან ფეოდალებად ითვლებოდნენ.

ალბათ, ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ IX საუკუნის ბოლოს ეგრის-აფხაზეთის მეფის მიერ ქართლის თავის გავლენის ქვეშ მოქცევის ეპოქიდან, სწორედ ბაღვაშები მოგვევლინნენ კლდეკარის, ორბეთის, სკვირეთისა და ატენის მფლობელებად, რომელთა ხელშიც კლდეკარის საერისთავო ერთ-ერთი ძლიერი საერისთავო გახდა მთელ სამეფოში.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ბაღვაშები ედგნენ მხარში აფხაზთა მეფეებს და მათ შორის არავითარი დაპირისპირება არ იყო, მაგრამ ეგრის-აფხაზეთის მეფის თეოდოს III-ის მიერ თავის მემკვიდრედ დისწულის, ბაგრატ III-ის გამოცხადების შემდეგ, მით უმეტეს, მისი ეგრის-აფხაზეთის მეფედ გახდომის შემდეგ, აშკარად გამოიკვეთა ბაღვაშების ოჯახის დაპირისპირება ბაგრატ III-სთან.

ის, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფე ბაგრატ III (978-1014 წწ.) თითქმის 32 წელი მოუნდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას, ამაში გამოკვეთილად უარყოფითი როლი, სწორედ, მისმა ერისთავმა ქვემო ქართლში, რატი I-ბაღვაშმა ითამაშა, ვინაიდან ის, ფაქტობრივად, წინააღმდეგი აღმოჩნდა, ბაგრატ III ერთიანი საქართველოს მეფე გამხდარიყო.

მართალია, მეცნიერები მიიჩნევენ, თითქოს ბაღვაშები საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ, ვფიქრობ, ამის ერთმნიშვნელოვნად თქმა ძალიან ძნელია – სავარა-

უდოა, რომ მათ ენდომებოდათ საქართველოს გაერთიანება, მაგრამ, ეტყობა, თვითონ ჰქონდათ პრეტენზია ერთიანი საქართველოს მეფობაზე. მით უმეტეს, ეს ჩვეულებრივი საქციელი იყო ქართველი ფეოდალების მხრიდან.

სხვათა შორის, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბაღვაშების მონაწილეობას აკვირდები, შეიმჩნევა გარკვეული მომენტები, რომლებიც მათ მოღვაწეობას დადებით ასპექტში წარმოაჩენენ.

როგორც „ქართლის ცხოვრება" გვამცნობს, გახდა რა ბაგრატ III ეგრის-აფხაზეთის მეფე (978 წ.), გარკვეული დროის შემდეგ, თითქოს გადაწყვიტა ქვემო ქართლში გაურჩებული ერისთავის, რატი I ბაღვაშის დასჯა, რისთვისაც ჯარი გაგზავნა მამის, გურგენის მეთაურობით.

თურმე, ბაგრატ III-ის მტრებს ჩაუგონებიათ დავით III კურაპალატისთვის, თითქოს ბაგრატ III ბაღვაშის დასჯას კი არ აპირებდა, არამედ განზრახული ჰქონდა მისი განადგურება. დავით III კურაპალატი დაკავშირებია ბაგრატ III-ის ბაბუას, სამხრეთ ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატ II-ეს და მათ ერთიანი ძალით დაუმარცხებიათ ბაგრატ III-ის ჯარი, რომელიც, ბუნებრივია, ძირითადად, ლაზ-მეგრელებისგან შესდგებოდა.

ბაგრატ III თავისი ურჩი ერისთავის, რატი I ბაღვაშის დასჯა ჰქონდა განზრახული თუ იმიერ-ტაოს კურაპალატის დავით III დამორჩილება, ეს სხვა საკითხია, მაგრამ აქ ერთი გარემოება იკვეთება – გამორიცხულია რატი I-ბაღვაშს არ გაეგო, რომ ბაგრატ III-ის ჯარსა და დავით III კურაპალატისა და ქართველთა მეფეთ-მეფე ბაგრატ II-ის ერთიან ჯარს შორის მოხდა შეტაკება. მით უმეტეს, დავით III-ის საკურაპალატო იმიერ-ტაო და რატი I-ის საერისთავო გვერდი-გვერდ იმყოფებოდნენ.

თუ მას არ ენდომებოდა საქართველოს გაერთიანება, შეეძლო მხარში ამოდგომოდა ბაგრატ III-ის მოწინააღმდეგეებს და იგი საბოლოოდ გაენადგურებინათ, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, მაშინ, როდესაც, ბაგრატ III მისმა ბაბუამ ბაგრატ II-ემ არ დაინდო.

ჩანს, რატი I-ბაღვაშს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ბაგრატ III-ის განადგურება გაურკვეველი დროით გადადებდა საქართველოს გაერთიანებას, რაც მას დაუშვებლად მიაჩნდა.

– როდესაც ბაგრატ IV მეფე გახდა (1027-1072 წწ.), ზოგიერთმა ქართველმა ფეოდალმა მისი მცირეწლოვანობით ისარგებლა და თავისი ორგული ბუნება გამოავლინა.

გარდა იმისა, რომ მათ ბიზანტიელებს გადასცეს ციხეები, კეისარს სთხოვეს, გამოეგზავნა ჯარი და დახმარებოდა მათ ბაგრატ IV წინააღმდეგ ბრძოლაში.

სწორედ მაშინ გამოავლინა რატი ბაღვაშმა დიდი ერთგულება სამშობლოსადმი, როდესაც ქვემო ქართლში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ბიზანტიელებს და აიძულა ისინი, დაეტოვებინათ საქართველოს საზღვრები.

ამით მან საქართველოს დამოუკიდებლობა გადაარჩინა.

– ყოველ შემთხვევაში, ბაღვაშების ოჯახი მხარში ედგა ბაგრატ IV, მაგრამ შემდგომში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

ჯერ იყო და, ლიპარიტ ბაღვაშმა არაბი ამირა შეიპყრო და ბაგრატ IV ჩააბარა. ფაქტობრივად, მან მისცა შანსი მეფეს, თბილისი არაბებისაგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ მეფემ ეს ვერ გაბედა და ამირა გაათავისუფლა.

შემდგომში, ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით, თბილისი ალყაში მოაქციეს (1037 წ.) და რეალურად შეიქმნა სიტუაცია, თბილისი გათავისუფლებული ყოფილიყო არაბებისაგან, მაგრამ ლიპარიტ ბაღვაშის მტრებმა დაარწმუნეს ბაგრატ IV, რომ თუ ის თბილისის გათავისუფლებას შეძლებდა, შესაძლებელი იყო ლიპარიტ ბაღვაშს პრეტენზია განეცხადებინა მეფობაზე, რაც მეფემაც დაიჯერა, ის ფარულად მოურიგდა ამირას და თბილისი ისევ არაბების ხელში დარჩა.

ძნელია იმისი თქმა, რა ჯობდა, თბილისი არაბებისაგან გათავისუფლებულიყო თითქმის 50 წლით ადრე და ქვეყნის სათავეში ბაღვაშები მოსულიყვნენ, თუ თბილისი ისევ არაბების ხელში დარჩენილიყო და მეფე ისევ ბაგრატ IV ყოფილიყო,

მაგრამ ამ მოვლენამ ერთმნიშვნელოვნად განაპირობა ბაღვაშების მეფესთან დაპირისპირება, რაც, სამწუხაროდ, დიდხანს გაგრძელდა.

იმდენად გამწვავდა ურთიერთდამოკიდებულება მეფესა და მის ერისთავს შორის, რომ ბაგრატ IV იძულებული გახდა, დახმარება ეთხოვა ბიზანტიის კეისრისთვის, რომლის მხარესაც დადგა ლიპარიტ ბაღვაში.

თითქოს კეისარმა, მართლაც, შეძლო მათი შერიგება, მაგრამ ეს უფრო პირობითი იყო. ფაქტობრივად, მათი ურთიერთდაპირისპირება გაგრძელდა.

გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მეფობის დასაწყისში, მას დიდებულები აუჯანყდნენ, რისი სულისჩამდგმელიც ლიპარიტ ბაღვაშის შვილი – ივანე აღმოჩნდა. ნიანია ქვაბულისძემ ქუთაისი გაძარცვა და ქუთაისის ციხე წაართვა მეფეს, სვანების ერისთავმა სამეგრელო დაარბია, ხოლო ივანე ბაღვაშმა, კახეთის მთავართან ერთად, ფაქტობრივად, ქართლი დაიპყრო.

როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებას ლაზი ფეოდალი თავკაცობდა, ლაზებმა მაინც მეფეს დაუჭირეს მხარი და სწორედ ლაზ-მეგრელებმა განაპირობეს მეფის გადარჩენა.

სხვათა შორის, იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონია, იმ ეპოქაში, ლაზ ფეოდალ ლიპარიტ ბაღვაშს, რომ ბიზანტიის კეისარმა უზარმაზარი თანხა შესთავაზა თურქ-სელჩუკების სულთანს მისი ტყვეობიდან გასათავისუფლებლად, როდესაც ის მათ ტყვედ ჩაუვარდა.

– ყოველ შემთხვევაში, ბაღვაშების ოჯახის მეფესთან დაპირისპირება გაგრძელდა დავით აღმაშენებლის ეპოქაშიც.

მიუხედავად იმისა, რომ დიდმა მეფემ ივანე ბაღვაში არაერთხელ გააფრთხილა, მან მაინც გააგრძელა ურჩობა, დავით აღმაშენებელმა მას ჩამოართვა კლდეკარის საერისთავო და სხვა სამფლობელოები აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე ჩამოართვა არგვეთი, რომელიც ეკლესიას გადასცა და მას მხოლოდ რაჭა დაუტოვა სამფლობელოდ.

ბაღვაშების მოღვაწეობა დადებითი მოვლენა იყო, თუ უარყოფითი, სხვა საკითხია, მაგრამ ისინი უაღრესად აქტიურად მონაწილეობდნენ, თითქმის 5 საუკუნის განმავლობაში, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

– X საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უაღრესად დიდ როლს თამაშობდა ლაზი დიდებული, დიდი ერისკაცი, როგორც „ქართლის ცხოვრება" მოიხსენიებს, „კაცი ძლიერი და ლაშქარმრავალი", ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავი შიდა ქართლში იოანე მარუში, რომელიც ისტორიაში შევიდა „მარუშისძის" გვარით. სწორედ მას მიიჩნევს „ქართლის ცხოვრების" მემატიანე საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ შემოქმედად.

– როგორც ცნობილია, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს თაოსნობით განხორციელდა საქართველოს გაერთიანება (1010 წ.), რის შემდეგაც „აფხაზეთი", უკვე, აღარ წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ერთიანი სამეფოს სახელს, მაგრამ აფხაზთა საერისთავო ისევ აღსდგა ძველ საზღვრებში და მის ერისთავები, ამ ეპოქიდან, უცვლელად იყვნენ ლაზური გვარის „შარაშიას" წარმომადგენლები.

მართალია, ეს გვარი ქართულ წყაროებში „შერვაშიძედ" მოიხსენიება, მაგრამ მათ დღესაც სამეგრელო-აფხაზეთში შარაშიად მოიხსენიებენ.

ყოველ შემთხვევაში, იტალიელი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი და ქრისტოფორე კასტელი, XVII საუკუნეშიც კი, აფხაზეთის მთავარს მხოლოდ შარაშიად მოიხსენიებენ და მათთვის უცნობია ამ გვარის შემდგომი ფორმა „შერვაშიძე".

ეტყობა, ეგრისის სამეფოში ლაზური დინასტიის ზეობის ეპოქაში მოხვდნენ ლაზები აფხაზეთში და დღესაც არიან ისინი იქ, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის ყველა აფხაზად იწერება.

სხვათა შორის, უცნობია აფხაზი მეფეების გვარი, მათ „ლეონიდებად" მოიხსენიებენ, ეგრის-აფხაზეთის პირველი მეფის ლეონ II გავლენით.

რადგანაც ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ერთიან საქართველოში შესვლის შემდეგ, აფხაზეთის ეგრისთავები შარაშიები გახდნენ, ეს იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აფხაზი მეფეების გვარი შესაძლებელია ყოფილიყო შარაშია.

ეს ასე იყო თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ თითქმის XI საუკუნიდან, აფხაზეთის ერისთავები უცვლელად იყვნენ ლაზური გვარის წარმომადგენლები, კიდევ ერთხელ მეტყველებს ისტორიული აფხაზების ჭეშმარიტ ქართველობაზე.

– სხვათა შორის, ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV სს.), მთელი დასავლეთ საქართველოს „უცილოდ" პატრონი, ხოლო შემდგომ სამეგრელოს უცვლელი მთავრები დადიანები იყვნენ.

მეცნიერები ვარაუდობენ, თითქოს „დადიანი" ტიტულია და უფროსს ნიშნავს, რომელიც შემდგომში გვარად იქცა, მაგრამ დაუდგენელია, რომელი გვარის წარმომადგენელი გახდა დადიანი.

ამაზე არის მოსაზრებები, მაგრამ მათგან ყველაზე სარწმუნოდ მიმაჩნია შემდეგი – ისტორიაში გვარი „დადიანი" XI საუკუნიდან, უკვე, გვარად ითვლება.

მართალია, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფო საქართველოს გაერთიანების შემდეგ გადის ისტორიის ასპარეზიდან, მაგრამ ის მაინც ერთ ერთეულად შევიდა ერთიან სამეფოში და მისი „უცილოდ" პატრონი იყო ესა თუ ის დადიანი, რომელსაც, მეფის კარზეც მაღალი თანამდებობა ეკავა.

თამარ მეფის ეპოქაში (1184-1210 წწ.) ვარდან დადიანი იყო მსახურთუხუცესი, რომელსაც, მთელი დასავლეთ საქართველოს გარდა, ქართლში კლდეკარის საერისთავო, ორბეთი, სკვირეთი და ატენი ეკუთვნოდა.

როგორც ჩანს, XII საუკუნის დასაწყისში, როდესაც დავით IV აღმაშენებელმა ბაღვაშები დასაჯა, მათი კუთვნილი სამფლობელო ქართლში დადიანს გადასცა.

იბადება კითხვა – რა აუცილებელი იყო, დავით მეფეს დადიანისთვის გადაეცა ბაღვაშების სამფლობელო ქართლში, როდესაც მათი სამფლობელო დასავლეთ საქართველოშიც არგვეთის საერისთავო ეკლესიას გადასცა?

ამაზე არის გარკვეული მოსაზრებები, მაგრამ ყველაზე სარწმუნოდ მეჩვენება ის წყარო, რომელიც გვამცნობს, რომ ბაღვაშების სამფლობელო ქართლში დავით აღმაშენებელმა გადასცა დადიანს, როგორც მათ მემკვიდრეს.

მართლაც, რომ არა მემკვიდრეობა, ეს არც მოხდებოდა, მით უმეტეს, დადიანი ისედაც ფლობდა თითქმის ნახევარ საქართველოს.

ეს იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ შემდეგი: რადგანაც დადიანი ბაღვაშების მემკვიდრე აღმოჩნდა, მისი ადრინდელი გვარი ბაღვაში უნდა ყოფილიყო.

ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ VIII საუკუნიდან ეგრისის სამეფოს სათავეში არ ჩანან ლაზური დინასტიის წარმომადგენლები, მომდევნო საუკუნეებში ლაზ დიდებულებს ვხედავთ ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა საერისთავოს სათავეში (გარდა სვანეთისა) და ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავებად ქართლში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ლაზი ხალხი და ლაზი დიდებულები უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საქართველოს სინამდვილეში, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან თითქმის XIII საუკუნემდე, სანამ ლაზიკის ის ნაწილი, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, თამარ მეფის დროს შექმნილ (1203 წ.) ტრაპიზონის იმპერიის შემადგენლობაში არ მოექცა.

მართალია, თამარ მეფის ეპოქაშიც (1184-1210 წწ.) საქართველომ თითქოს შეინარჩუნა ის სიძლიერე, რომელსაც დავით IV აღმაშენებლის ეპოქაში მიაღწია, მაგრამ 1203 წელს, თამარ მეფის მიერ საქართველოს სამეფოს ქვეშევრდომ „ტრაპიზონის იმპერიის“ ჩამოყალიბება, რომელშიც შევიდა ლაზიკის ძირითადი ნაწილი, მეტყველებს იმაზე, რომ, გარკვეული სიტუაციებიდან გამომდინარე, თამარ მეფე იძულებული გახდა, პოლი-

ტიკურ დათმობაზე წასულიყო.

ფაქტობრივად, მაშინ მოწყდნენ ლაზები მშობლიურ ხალხს და დაიწყო ლაზების ერთგვარი გაუცხოება ქართული სინამდვილიდან, ვინაიდან ისინი ჯერ ბიზანტიის გავლენის სფეროში აღმოჩნდნენ, ხოლო, XVI საუკუნიდან – მუსლიმურ სამყაროში და, ამის შემდეგ, სამწუხაროდ, არ ეღირსათ სამშობლოში დაბრუნება.

ეს იყო იმ ეპოქის საშინელი ტრაგედია, რაც დღემდე მოუშუშებელ ტკივილად დარჩა ქართველ ხალხს.

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო ქვეყნის გაერთიანება (XI ს.) და განსაკუთრებით ეპოქა დავით IV აღმაშენებლის მეფობიდან თამარ მეფის მეფობამდე (1089-1210 წწ.). სამწუხაროდ, ამის შემდეგ, მონღოლების, თემურ ლენგისა და სხვადასხვა ურდოების შემოსევების შედეგად, საქართველო მალე დაიშალა და ორმეფობის დასაწყისი, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში დაჯდა დავით VII ულუ, ხოლო დასავლეთ საქართველოში დავით VI ნარინი (1249 წ.), ფაქტობრივად, საქართველოს გახლეჩას ნიშნავდა.

ორივე მეფე საქართველოს მეფედ იწოდებოდა, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული ცნებები „ქართლის სამეფო“ და „იმერეთის სამეფო“, ეს მოხდა მხოლოდ XV საუკუნის ბოლოს, როდესაც ოფიციალურად დაიშალა საქართველო.

სწორედ აქედან დაიწყო შავბნელი ეპოქა საქართველოს ისტორიაში.

საქართველო დაიშალა სამეფო-სამთავროებად და ქართული კუთხეები ერთმანეთისგან ხანგრძლივად მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. ერთიანი საქართველოს წინარე ეპოქასთან შედარებით, აღმოსავლეთ საქართველოში დიდად არაფერი შეცვლილა. მართალია, იბერიის სამეფო ვერ აღსდგა, მაგრამ XV საუკუნიდან ქართლის სამეფო მაინც წამყვან როლს თამაშობდა აღმოსავლეთ საქართველოში და, ფაქტობრივად, დაიკავა იბერიის სამეფოს ადგილი.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ გაცილებით მეტი

რამ შეიცვალა – ეგრისის სამეფო არ აღმსდგარა, თუ ერთიანი საქართველოს წინარე ეპოქაში ეგრისის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას მცირე აზიიდან ნიკოფსიამდე და მასში შედიოდნენ ლაზიკის, აფხაზეთის, მარგვეთისა და სვანეთის საერისთავოები, საქართველოს დაშლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას დაკარგული ჰქონდა ლაზიკის ის ნაწილი, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე ახალი სამეფო-სამთავროები წარმოჩინდნენ.

თუ ეგრისის სამეფოს მოსახლეობის ძირითადი ენა ერთიანი საქართველოს წინარე ეპოქაში მეგრული იყო და როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფების წარმომადგენლები, ლაზებიც, აფხაზებიც და მარგველებიც მეგრულად მეტყველებდნენ, ერთიანი საქართველოს მომდევნო ეპოქაში, გარდა იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფო ენა გახდა ქართული, უმეტესობის სამეტყველო ენაც ქართული გახდა.

ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოში საქართველოს გაერთიანების (XI ს.) შემდგომ მოვლენები ასე განვითარდა. .

ბუნებრივია, ეგრისის სამეფო შეეიდა ერთიან საქართველოში, მაგრამ ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორია, ფაქტობრივად, მთელი დასავლეთ საქართველო, მაინც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად ითვლებოდა და მისი „უცილოდ პატრონი“ დადიანი იყო.

როდესაც დავით აღმაშენებელმა თბილისი დაიბრუნა (1122 წ.) და დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა, დადიანების რეზიდენცია ქუთაისი გახდა.

ამდენად, ისევ დადიანების დაქვემდებარეში დარჩნენ იმ ეპოქაში არსებული ოდიშის, ლაზიკის, მარგვეთის, აფხაზეთისა და სვანეთის საერისთავოები.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა დასაჯა ბაღვაშები, ჩამოართვა მათ აღმოსავლეთ საქართველოში სამფლობელოები და დასავლეთ საქართველოში მარგვეთი, რომელიც ეკლესიას

გადასცა. ხოლო ბაღვაშებს სამფლობელოდ დაუტოვა რაჭა, რის შემდეგაც წარმოჩინდა „რაჭის საერისთავო“.

როგორც აღვნიშნე, თამარ მეფის ეპოქაში შეიქმნა ტრაპიზონის იმპერია (1203 წ.) და მის შემადგენლობაში აღმოჩნდა ლაზიკის საერისთავოს ის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიაში, ხოლო საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ლაზიკის ნაწილში – დღევანდელ გურია-აჭარის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ახალი საერისთავო, რომელსაც „გურიის საერისთავო“ ეწოდა.

„ორმეფობის“ ეპოქის დასაწყისიდან (1249 წ.), დავით VI ნარინი დასავლეთ საქართველოში გადმოვიდა და სამფლობელოდ აირჩია ერთიანი საქართველოს მეფეების ყოფილი დომენი, რომელიც მოიცავდა მარგვეთის საერისთავოს რაჭითურთ, ქუთაისის შემოგარენს, ე.წ. სამოქალაქოს ტერიტორიას მდინარე ცხენისწყლიდან ქუთაისამდე, ე.წ. მოხირისს, ფაქტობრივად, დღევანდელი იმერეთის ტერიტორიას. ხოლო რეზიდენციად ქ.ქუთაისი ინდომა.

მართალია, როგორც დავით VI ნარინი, ასევე მისი მემკვიდრეები ერთიანი საქართველოს ეპოქაში მაინც საქართველოს მეფეებად იწოდებოდნენ, მაგრამ აქედან დაწყებული, საქართველო, ფაქტობრივად, გახლეჩილი იყო, ხოლო საქართველოს საბოლოო დაშლის შემდეგ (XV საუკუნის ბოლოს), იმ ტერიტორიას, რომელსაც ისინი დასავლეთ საქართველოში ფლობდნენ, „იმერეთის სამეფო“ ეწოდა.

დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორია ახლადწარმოჩენილ „სამეგრელოს სამთავროში“ შევიდა.

სამეგრელოს მთავრის დადიანის დაქვემდებარებაში დარჩნენ ოდიშის, გურიის, აფხაზეთისა და სვანეთის საერისთავოები.

რადგანაც დადიანის დომენი ოდიში იყო, ხშირად სამეგრელოს სამთავროს ოდიშად მოიხსენიებდნენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ იმერეთის მეფეები ბაგრატიონების დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ, ამ სამეფოს უნდა შეესრულებინა ეგრისის სამეფოს ფუნქცია, მაგრამ ეს მხოლოდ

ნომინალურად განხორციელდა, ვინაიდან სამეგრელოს მთავარი დადიანი იმერეთის მეფეს, ფაქტობრივად, არც ემორჩილებოდა. უფრო მეტიც, ხშირად მას მეფედაც კი მოიხსენიბდნენ.

როგორც ცნობილია, VII საუკუნეში ქართლის სამეფო დაიპყრეს არაბებმა, რამაც, ბუნებრივია, ქართლში ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება გამოიწვია.

ჩანს, ამან განაპირობა ის გარემოება, რომ, VII-X საუკუნეებში ეგრისის სამეფოში ქართლელების მასობრივი მიგრაცია აღინიშნა. ძირითადად, დღევანდელი იმერეთ-გურია-რაჭა-აჭარის ტერიტორიაზე.

ეგრისის სამეფოს მეფე-დიდებულებისა და მეგრელი ხალხის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ ღირსეულად მიიღეს გაუსაძლის პირობებს თავარიდებული მოძმე ქართლელები და მათ ნორმალური პირობები შეუქმნეს.

სწორედ ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ, შემდგომში, ქართლელების უკუმიგრაცია არ მომხდარა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ერთიანი სამეფოს დედაქალაქი 1122 წლამდე ქუთაისი იყო და სახელმწიფო მართვის ორგანოებიც იქ იმყოფებოდნენ, სავარაუდოა, იქ, ადგილობრივ ლაზ-მეგრელებთან ერთად, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, უფრო მეტი რაოდენობით მოხვედრილიყვნენ ქართლელები.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ორმეფობის ეპოქიდან იმერეთში ისევ ბაგრატიონები დამკვიდრდნენ, დასავლეთ საქართველოში იმერეთი ყველაზე ადრე გახდა ქართულენოვანი რეგიონი, მით უმეტეს, ეგრისის სამეფოში სახელმწიფო ენა უკვე IX საუკუნიდან იყო ქართული.

ამდენად, იმერეთის სამეფოს წარმოჩენის (XV საუკუნის ბოლო) შემდეგ, იმერეთში მცხოვრებ მეგრელებს, მათ შორის ლაზ-ჭანებს და აღმოსავლეთ საქართველოდან გადასულ ქართლელებს ეწოდათ იმერლები.

სხვათა შორის, გურია და აჭარა უფრო გვიან გახდნენ ქართულენოვანი რეგიონები.

XVI საუკუნის ბოლოს სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებელი საერისთავო გახდა გურია, რომელიც შემდგომში სამთავრო გახდა. მაშინ აჭარა გურიის რიგითი რეგიონი იყო.

გურიის ერისთავები, შემდგომში მთავრები, უცვლელად იყვნენ დადიანები, რომელთა ტიტული იყო „გურიელ-დადიანი“.

ვარაუდობენ, რომ გურიელ-დადიანები ვარდან დადიანის შთამომავლები არიან.

აღსანიშნავია, რომ როდესაც გურია სამეგრელოსგან დამოუკიდებელი რეგიონი გახდა, გურიის ერისთავმა ლიპარიტ I დადიანის ვაჟი – კახაბერ II გურიელ-დადიანი იყო.

ბუნებრივია, გურიაში მცხოვრებ ლაზ-მეგრელებს და ქართლელებს ეწოდათ გურულები, თუმცა, ოსმალების მიერ სამხრეთ-საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გურია-აჭარაში მესხები და ჯავახებიც გადმოდიან, რომლებიც ასავე გახდნენ გურულები.

XVII საუკუნის დასაწყისში, სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებლობას აფხაზეთის საერისთავომაც მიაღწია, რომელიც შემდგომში სამთავრო გახდა.

მას შემდეგ, რაც ეგრის-აფხაზეთის სამეფო ერთიან სამეფოში შევიდა, საქართველოს სინამდვილეში ისევ აღსდგა აფხაზეთის საერისთავო, რომლის ერისთავები, შემდგომში მთავრები, უცვლელად იყვნენ ლაზური გვარის დიდებულები შარაშიები, რომლებიც ქართულ წყაროებში შერვაშიძეებად მოიხსენიებიან.

სამწუხაროდ, აფხაზეთის ერისთავმა შარაშიამ, სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებლობის მისაღწევად, უაღრესად ანტიქართული გზა აირჩია – თითქმის ნებაყოფლობით აღიარა თურქეთის ქვეშევრდომობა და დაიწყო ჩერქეზურ-ადიღეური მოდგმის ხალხის აფხაზეთში დასახლება, რომლებსაც იყენებდა მუშახელად და სამეგრელოსთან ომში დამხმარე ძალად. ამ ფაქტმა საშინელი ასახვა ჰპოვა საქართველოს ისტორიაში, რაზეც ქვემოთ გავამახვილებ ყურადღებას.

ბუნებრივია, აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა ისევ მეგრუ-

ლი იყო, უფრო სწორად, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ აფხაზები, თუმცა, XVII საუკუნის შემდეგ, მართალია, უმნიშვნელო რაოდენობით, მაგრამ აფხაზეთში ცხოვრობდნენ ჩრდილო-კავკასიელებიც, რომლებიც თითქმის XX საუკუნემდე მთის ხალხებად მოიხსენიებოდნენ.

– ყოველ შემთხვევაში, თუ ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV სს.) დადიანის მფლობელობაში მთელი დასავლეთ საქართველო იყო, საქართველოს სამეფოს დაშლის მომდევნო ეპოქაში დადიანის მფლობელობაში დარჩა ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორიის დაახლოებით მესამედი.

შემდგომში დასავლეთ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყვეს, რომ სამეგრელოს მთავარი დადიანი ვერ შეურიგდა ტერიტორიების დაკარგვას, რაზეც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან სამეგრელოს სამთავროს ხშირი კონფლიქტები მეტყველებს.

რადგანაც იმერეთის მეფეები ბაგრატიონების დინასტიის წარმომადგენლები, ეგრის-აფხაზეთის ბოლო და ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III შთამომავლები იყვნენ, დადიანი მეტ-ნაკლებად შეურიგდა იმერეთის სამეფოს წარმოჩენას და მის საზღვრებში მოქცეული ტერიტორიის დაკარგვას. თუმცა, დადიანებს მათთანაც ჰქონდათ დავა ლეჩხუმის, საჭილაოს, მდ. ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროსა და ხონის თაობაზე.

დადიანისთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა გურიისა და აფხაზეთის საერისთავოების დაკარგვა, რაზეც ამ სამთავროებთან ომები მეტყველებს.

სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-57 წწ.), რომელიც იმ ეპოქის უძლიერეს მოღვაწედ ითვლება და რომლის დროსაც სამეგრელოს სამთავრომ გამორჩეულ სიძლიერეს მიაღწია, თითქმის ოფიციალურად აცხადებდა პრეტენზიას ეგრისის სამეფოს აღდგენაზე და მთელ დასავლეთ საქართველოს მეფობაზე.

მართალია, მან ეს ვერ შეძლო, მაგრამ ამან გამოკვეთილად

განაპირობა სხვა სამეფო-სამთავროებთან სამეგრელოს დაპირისპირება, ერთგვარად ხელი შეუწყო მეგრული კუთხურობის სინდრომის დამკვიდრებას და სამეგრელოს რაობაზე, მეგრელების ვინაობაზე და მათ ეროვნულ ორიენტაციაზე არასწორი შეხედულებების ჩამოყალიბებას.

– სამწუხაროდ, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ ეპოქაში, საქართველოს არ ეღირსა გაერთიანება, ქართული სამეფო-სამთავროები საუკუნეობით აღმოჩნდნენ ერთმანეთისაგან მოწყვეტილნი, რამაც მათი ერთგვარი ურთიერთგაუცხოება განაპირობა.

მართლაც, XIX საუკუნემდე ზოგადეროვნულ ცნებებს – „საქართველოს“ და „ქართველს“ პოლიტიკურ-კულტურული ფუნქცია, ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა.

საქართველოს რუსეთთან ე.წ. შეერთებას (1801 წ.), მთელ რიგ უარყოფით მომენტებთან ერთად, დადებითიც ახლდა.

საქართველოში შეწყდა გაუთავებელი ომები, როგორც გარეშე მტრებთან, ასევე ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის, საქართველო დაცული აღმოჩნდა ტერიტორიულად და რელიგიურად. მართალია, მან სახელმწიფოებრიობა დაკარგა, მაგრამ ფორმალურად მაინც გაერთიანდა.

ყოველივე ეს დადებითი მოვლენა იყო, თუმცა, ქართველი ხალხი ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა – რუსი მოხელეები აშკარად ცდილობდნენ ქართველი ხალხის გარუსებას, მაგრამ ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა უდიდესი ეროვნული შემართება გამოავლინეს და რუსებს ამის განხორციელების საშუალება არ მისცეს.

სწორედ XIX საუკუნის ერისკაცებმა შეახსენეს ქართველ ხალხს, რომ ყველა ქართული კუთხის მკვიდრი ჭეშმარიტი ქართველია და ყველა მათგანის სამშობლო საქართველოა.

ამდენად, ქართველი მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, მეცნიერების დამსახურებაა ქართული თვითმყოფადობის გადარჩენა, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება.

მათ განაპირობეს, რომ ზოგადეროვნულ ცნებებს „ქართ-

ველს“ და „საქართველოს“ თავისი ფუნქცია აღედგინა და მათი ეროვნული მნიშვნელობა ყველა კუთხის მკვიდრს გაეთავისებინა. თითქოს ასეც მოხდა, მაგრამ იმ ეპოქაში, როდესაც პიროვნების ანკეტურ მონაცემებში პირველად შეიტანეს ეროვნების რეკვიზიტი (1897 წ.), საქართველოში იყო შემთხვევები, როდესაც ეროვნებად იწერდნენ „კახელს“, „იმერელს“, „მეგრელს“, „აფხაზს“, „გურულს“ და ა.შ. ეს მეტყველებს, რომ ქართველებს მყარად არ ჰქონდათ გაცნობიერებული მათი არსი.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთის თითქმის 200-წლიანი ბატონობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა შეძლო ქართული თვითმყოფადობისა და ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება.

XX საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მასში შემავალ სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველოც დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

ქართველ ხალხს, თითქოს, მიეცა შესაძლებლობა, ეშენებინა ღირსეული ქართული სახელმწიფო, მაგრამ მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენამ ერთმნიშვნელოვნად კითხვის ქვეშ დააყენა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს აფხაზეთის საშინელი ტრაგედია იყო.

სამწუხაროდ, დღესაც არ არის ობიექტურად დადგენილი, რამ განაპირობა ეს საშინელი მოვლენა, მაგრამ, დამერწმუნეთ, მასში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ არა თუ მსოფლიო საზოგადოებამ, არამედ ქართველებმა და აფხაზებმაც კი არ იცოდნენ, რა იყო აფხაზეთი საქართველოსთვის, ვინ იყვნენ ისტორიული აფხაზები და რაში მდგომარეობდა ბოლო ორ-სამი საუკუნის განმავლობაში აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული პროცესების რეალური არსი, რასაც ქართველ მოღვაწეთა და მეცნიერთა მიერ დაშვებულ უმძიმეს შეცდომად მივიჩნევ.

დარწმუნებული ვარ, თქვენც არასწორი წარმოდგენა გაქვთ აფხაზეთის რაობაზე, ისტორიული და თანამედროვე აფხაზების ვინაობაზე და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე, რის გამოც თავს უფლებას მივცემ, გაგაცნოთ ჩემი მოსაზრება

ამ საკითხებზე. მით უმეტეს, რომ აფხაზების გარკვეული რაოდენობა თქვენს მეზობლად ცხოვრობს და, ალბათ, ურთიერთობაც გექნებათ მათთან.

აფხაზეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, საერისთავო, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში წარმოჩინდა, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში.

აფხაზეთი ეწოდა ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, ახალი ათონიდან ძველ „ლაზიკამდე" (დღ. ტუაფსეს მიდამოები).

აფხაზები მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, უფრო სწორად, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ერქვათ აფხაზები. ბუნებრივია, ისინიც ქართველები არიან.

აფხაზებმა ღირსეული როლი ითამაშეს საქართველოს ისტორიაში. VIII-X საუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს სათავეში იმყოფებოდა აფხაზური დინასტია და სამეფო „ეგრის-აფხაზეთის" სამეფოდ იწოდებოდა.

ამ ეპოქაში ეგრის-აფხაზეთის სამეფოში უდიდესი ქართული საქმეები გაკეთდა: აშენდა მთელი რიგი ქრისტიანული კომპლექსები, შემოერთებულია ქართლი თბილისის გარდა (IX ს.), ეგრისის სამეფოს სახელმწიფო ენად გამოცხადდა ქართული, ეგრისის ეკლესია დაექვემდებარა მცხეთის ეპარქიას და ა.შ.

რაც მთავარია, ეგრის-აფხაზეთის მეფე-დიდებულებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს გაერთიანებაში. ძირითადად, სწორედ მათი დამსახურებაა საქართველოს გაერთიანება XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ეგრის-აფხაზეთის მეფე ბაგრატ III ერთიანი საქართველოს პირველი მეფე გახდა (1010 წ.).

ბუნებრივია, აფხაზებს არც ერთი სხვა ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ ჰქონდათ ჭეშმარიტ ქართველობაზე.

ლოგიკურად იბადება კითხვა – რამ განაპირობა ქართული

სინამდვილიდან აფხაზეთისა და აფხაზების აშკარა გაუცხოება, რამ გამოიწვია ის გაუგებრობა, რაც დღეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთდამოკიდებულებაშია და ვის ეკისრება აფხაზეთის საშინელ მოვლენებზე პასუხისმგებლობა?

ამას დიდი ხნის ისტორია აქვს, არადა, შემდეგ მოვლენასთან გვაქვს საქმე:

ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორია, ფაქტობრივად, მთელი დასავლეთ საქართველო, ერთ ერთეულად ითვლებოდა, რომლის „უცილოდ" პატრონი იყო დადიანი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, თამარ მეფის ეპოქაში, ლაზიკის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, ახლადწარმოქმნილ ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა და დადიანი მფლობელობიდან გავიდა (1203 წ.).

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის II ნახევარი), დასავლეთ საქართველოში ოფიციალურად დაარსდა იმერეთის სამეფო, რომელშიც შევიდა ყოფილი ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთი ტერიტორია, მდინარე ცხენისწყლიდან ლიხის ქედამდე. იმერეთი იმთავითვე გახდა ქართულენოვანი რეგიონი და იქ მცხოვრებ ლაზ-მეგრელებს და ქართლიდან გადასულ ქართლელებს „იმერლები" ეწოდათ.

ყოფილი ეგრისის სამეფოს დანარჩენ ტერიტორიას, რომელიც ისევ მეგრულენოვან რეგიონად დარჩა, სამეგრელოს სამთავრო ეწოდა და, ბუნებრივია, მთავარი დადიანი გახდა.

სამეგრელოს სამთავროში შედიოდა გურიის, აფხაზეთის, სვანეთის საერისთავოები და ლეჩხუმი.

XVI საუკუნის ბოლოს, გურია სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებელი საერისთავო, შემდგომში სამთავრო გახდა, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისში ამასვე მიაღწია აფხაზეთის საერისთავომაც.

ბუნებრივია, დადიანი სამფლობელოების დაკარგვას ვერ შეურიგდა, რის გამოც სამეგრელოს სამთავროს ხშირი კონფლიქტები ჰქონდა დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავრო-

ებთან, რამაც მათი ურთიერთდაპირისპირება განაპირობა.

აქ ერთი სიტუაცია გამოიკვეთა: გურია-იმერეთი, როგორც სამეგრელოს დაუპირისპირდნენ, ასევე დაუპირისპირდნენ აფხაზეთსაც. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმერლები და გურულები აფხაზეთს სამეგრელოს განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ. მით უმეტეს, რომ აფხაზეთში ქართლელები არ ჩასახლებულან და, იქ, ისევ აფხაზები ცხოვრობდნენ. უფრო სწორად, იქ ცხოვრობდნენ მეგრელები, რომლებიც აფხაზებად იწოდებოდნენ, იმერლები და გურულები მათაც მეგრელებად აღიქვამდნენ.

XVII საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთის ერისთავმა შარაშიამაც გადაწყვიტა, დადიანისგან დამოუკიდებელი გამხდარიყო, რამაც, ბუნებრივია, სამეგრელო-აფხაზეთის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია.

ამდენად, აფხაზეთი დაპირისპირებული აღმოჩნდა, როგორც იმერეთ-გურიასთან, ასევე – სამეგრელოსთან.

როდესაც გურია ცდილობდა, სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებელი საერისთავო გამხდარიყო, ეტყობა, ამაში მხარს იმერეთის სამეფოც უჭერდა და შედარებით ადვილად მიაღწია მიზანს, მაგრამ აფხაზეთის ერისთავს ასეთი მხარდაჭერა არ ჰქონდა.

იგი ხედებოდა, რომ დადიანისთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებდა, რის გამოც მიიღო აშკარად ანტიეროვნული გადაწყვეტილება – აფხაზეთის მთავარმა შარაშიამ თითქმის ნებაყოფლობით აღიარა თურქეთის ქვეშევრდომობა და, ამავე დროს, დამხმარე ძალად ჩრდილო-კავკასიელების მოწვევა დაიწყო.

მართლაც, თურქებისა და ჩრდილო-კავკასიელების დახმარებით, შარაშიამ მიაღწია, რომ აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებელი საერისთავო, შემდგომში სამთავრო გამხდარიყო (XVII საუკუნის დასაწყისი).

სწორედ ამ დროიდან ჩანან ჩრდილო-კავკასიელები, მათ შორის ჩერქეზები, ადიღები, ყაბარდოელები, ბალყარები და ა.შ. აფხაზეთში.

მანამდე მათი აფხაზეთში ცხოვრების არავითარი კვალი არ

ჩანს, არც ტოპონიმიკაში, არც გვარებში, არც ტრადიციებში, არც სარწმუნოებაში და არც ადათ-წესებში.

მით უმეტეს, რომ, ჩრდილო-კავკასიელთაგან ბევრი უკან ბრუნდებოდა და მათი რაოდენობა იმდენად უმნიშვნელო იყო აფხაზეთში, რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ აფხაზეთის ეთნიკურ სიტუაციაზე.

როგორც ცნობილია, თითქმის XX საუკუნემდე, ეროვნებას განსაზღვრავდა რელიგია და მოსახლეობის სტატისტიკა მიჰ ყავდა ეკლესიას.

არსებობს აფხაზეთის 1902 წლის საეკლესიო უწყისი, რაც იმდროინდელი აფხაზეთის სარწმუნო დემოგრაფიული პორტრეტია.

ამ უწყისის მიხედვით, აფხაზეთში ცხოვრობდა 91% მართლმადიდებელი ქართველი, უფრო სწორად, მეგრელი, რომლებიც იწოდებოდნენ აფხაზებად, 3%-მდე იყვნენ გრიგორიანელი სომხები და 5%-მდე მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელები.

ვარაუდობენ, რომ, ამ ეპოქაში, აფხაზეთში ცხოვრობდა დაახლოებით 100 ათასი კაცი და მათგან მხოლოდ 5 ათასამდე იყო ჩრდილო-კავკასიელი, მათ შორის ჩერქეზი, ადიღე, ყაბარდოელი და ა.შ., მაგრამ ისინი ყველანი მთის ხალხებად მოიხსენიებოდნენ, რადგანაც ჩრდილო-კავკასიაში ჯერ კიდევ არ იყო მათი ეროვნებები დადგენილი.

ყოველ შემთხვევაში, XX საუკუნემდე, აფხაზურ საკითხში არავითარი გაუგებრობა არ ყოფილა, აფხაზები იგივე მეგრელები იყვნენ, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს აფხაზები ერქვათ და განსხვავება მეგრელებსა და აფხაზებს შორის ისეთივე იყო, როგორც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონების მეგრელებს შორის.

დღეს აფხაზეთის დემაგოგი ლიდერები ნიანგის ცრემლებით შესჩივიან მსოფლიო საზოგადოებას, თითქოს, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, რუსებმა აიძულეს აფხაზები, გაქცეულიყვნენ თურქეთში, რამაც აფხაზეთში მათი რაოდენობის შემცირება გამოიწვია.

ეს მათთვის ჩვეული ავანტიურაა, და აი, რატომ: ამ ეპოქაში მართლაც მიდიოდნენ ქართველები საქართველოდან თურქეთში, ძირითადად, იმ რეგიონებიდან, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში თურქეთის გავლენის ქვეშ იყვნენ.

ეს მოვლენა ისტორიაში „მუჰაჯირობის" სახელითაა ცნობილი.

ამ ეპოქაში აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თურქეთში წასვლა რუსების ინიციატივა იყო თუ თურქებისა, ეს, სხვა საკითხია, მაგრამ, აფხაზეთში მცხოვრები ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ხალხი თურქეთში თითქმის არ წასულა, ანუ თუ რომელიმე მათგანი წავიდა, იგი თურქეთშიც ისევ ჩერქეზად, ადიღედ, ყაბარდოელად დამკვიდრდა. აფხაზეთიდან თურქეთში წავიდნენ, ძირითადად, მეგრული მოდგმის აფხაზები. მით უმეტეს, რომ, XIX საუკუნის ბოლომდე, აფხაზი ერქვათ მხოლოდ აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს, ხოლო ჩრდილო-კავკასიელებს მთის ხალხებად მოიხსენიებდნენ.

ამაში თავად დარწმუნდებით, ვინაიდან თურქეთში მცხოვრებმა აფხაზებმა მხოლოდ მეგრული იციან და წარმოდგენაც არა აქვთ ე.წ. აფხაზურ-ადიღეურ ენაზე. მათ თითქმის ყველას მეგრული გვარები აქვთ.

სხვათა შორის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თურქეთში მცხოვრები ჩერქეზული დიასპორის თავკაცი ყოფილა ვინმე კუტალია, რომელიც უდავოდ მეგრული წარმომავლობის აფხაზია.

ეს მეტყველებს იმაზე, რომ, იქაც, გაუგებრობის შედეგად აღიქმება აფხაზი და ჩერქეზი ერთ ეთნოსად.

რაც მთავარია, თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს მიაჩნიათ, რომ ისინი დღევანდელი სტილის აფხაზების მონათესავე ხალხია და ქართველებთან არავითარი საერთო არა აქვთ. ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან მათ არასწორი წარმოდგენა აქვთ თავიანთ ვინაობაზე და, აშკარად, აფხაზი მეცნიერების გავლენის ქვეშ არიან.

ის, რაც ვერ შეძლეს ქართველმა მეცნიერებმა, მოახერხეს

აფხაზმა მეცნიერებმა, რასაც ქართველი მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის შეცდომად მივიჩნევ.

დამერწმუნეთ, „მუჰაჯირობის“ ეპოქაში, აფხაზეთიდან თურქეთში წავიდნენ, ფაქტობრივად, მხოლოდ მეგრელი აფხაზები, რომლებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და, ბუნებრივია, ქართველებად ითვლებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზურ საკითხში არსებულ გაუგებრობაში გადამწყვეტი როლი შემდეგმა მოვლენამ შეასრულა: 1897 წელს, რუსეთის იმპერიაში (მათ შორის საქართველოშიც) ჩატარდა მოსახლეობის აღწერა და, თუ აქამდე, ეროვნების გამსაზღვრელ კრიტერიუმად სარწმუნოება ითვლებოდა, ამ აღწერის დროს, პიროვნების ანკეტურ მონაცემებში პირველად შეიტანეს „ეროვნების რეკვიზიტი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ზოგადეროვნული ცნებების – „ქართველის“ და „საქართველოს“ შემოღების (XI-XII საუკუნეები) შემდეგ, ერთიანი საქართველო ისე დაიშალა (XV საუკუნე), რომ ქართული კუთხეების მკვიდრებმა მყარად ვერ გაითავისეს მათი მნიშვნელობა; კახელს თავის ეროვნებად მიაჩნდა კახელი, იმერელს – იმერელი, მეგრელს – მეგრელი, აფხაზს – აფხაზი, სვანს – სვანი და ა.შ., როგორც დღეს ლაზს თავისი ეროვნება ჰგონია „ლაზი“, მაშინ, როდესაც ის ისეთივე ქართველია, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული კუთხის მკვიდრი. მართლაც, აღწერის დროს, საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქართველები ეროვნებად იწერდნენ „კახელს“, „იმერელს“, „მეგრელს“, „გურულს“, „აჭარელს“ და ა.შ.

ეს ხელს აძლევდა რუს მოხელეებს, ვინაიდან მათთვის მისაღები იყო ეთნიკურად ჭრელი საქართველო.

როგორც აღვნიშნე, იმ ეპოქაში, აფხაზეთის მოსახლეობის 91%-ს მართლმადიდებელი ქართველები შეადგენდნენ (ძირითადად, მეგრელები და, გარკვეული რაოდენობით, ლაზები და სვანები), რომლებიც აფხაზებად იწოდებოდნენ.

რადგანაც ამ დროისათვის აფხაზეთი გარკვეულად გაუცხო-

ებული იყო ქართული სინამდვილიდან, აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელებს ეგონათ, რომ მათი ეროვნება იყო „აფხაზი“ და, მართლაც, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები (მეგრელები) ეროვნებად ხშირად ირჩევდნენ „აფხაზს“.

ეს არ იყო გასაკვირი, ვინაიდან დაახლოებით ასევე მოხდა სხვა რეგიონებშიც, მაგრამ, ამ ეპოქაში, აფხაზეთში, ხიზნების სტატუსით ცხოვრობდნენ ბოლო 2-3 საუკუნეში ჩრდილო-კავკასიიდან ჩასული ჩერქეზები, ადიღები, ყაბარდოელები, ბალყარები და სხვები. მათ, ფაქტობრივად, არ იცოდნენ თავიანთი ეროვნება, ვინაიდან მაშინ, ჯერ კიდევ არ იყო მათი ეროვნება ზუსტად დადგენილი. მათ რუსეთში მთის ხალხებად მოიხსენიებდნენ და ასე იყო საქართველოშიც.

დღეს ძნელი სათქმელია, რუსებმა ეს წინასწარგანზრახვით გააკეთეს, თუ მხოლოდ გამოსავალი მონახეს შექმნილი სიტუაციიდან, მაგრამ ერთი კი ცხადია: მიიღეს აშკარად ანტიქართული გადაწყვეტილება – რადგანაც ისინი აფხაზეთში ცხოვრობდნენ, ყველანი აფხაზებად მიიჩნიეს.

მართალია, მათი რაოდენობა სრულიად უმნიშვნელო იყო (დაახლოებით, აფხაზებად ჩაწერილია ქართველების 8-10%), მაგრამ ასეთმა ქმედებამ საშინელი ასახვა ჰპოვა აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში.

იმ ეპოქის ქართველი ერისკაცების დიდ შეცდომად მივიჩნევ, რომ, მათ ვერ აღიქვეს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების აფხაზებად დაწერა და ეს მოვლენა უყურადღებოდ დატოვეს. კიდევ უფრო მძიმე შეცდომა იყო, რუსებს რომ მისცეს საშუალება, უცხოტომელები აფხაზებად ჩაეწერათ. როგორც ცნობილია, კომუნისტურ ეპოქაში, საკავშირო პასპორტის შემოღების დროს (1932 წ.), ყველა ქართული კუთხის მკვიდრი, ეწერა იგი კახელად, იმერლად, მეგრელად, სვანად თუ სხვად, ყველა ქართველად ჩაეწერა, მაგრამ ცნება „აფხაზმა“ მაინც შეინარჩუნა ეროვნების ფუნქცია და მხოლოდ იმიტომ, რომ, ქართველებთან ერთად, აფხაზებად ეწერნენ ჩრდილო-კავკასიელებიც. ამ საბაბით „ეროვნება აფხაზი“ ოფიციალუ-

რად დაკანონდა, ხოლო აფხაზებად ჩაწერილი ქართველებისა და უმნიშვნელო რაოდენობის ჩრდილო-კავკასიელების ბაზაზე ჩამოყალიბდა ე.წ. „აფხაზი ერი“. ამით, ფაქტობრივად, სანქცია გაიცა აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართულ პროცესებზე.

ყოველ შემთხვევაში, XX საუკუნეში წარმოჩინდა ცნებები „ეროვნება აფხაზი“, „აფხაზი ერი“, „აფხაზური ეთნოსი“, „აფხაზურ-ადიღეური ენა“, „აფხაზური გვარები“ და ა.შ. რეალურად ამ ცნებებს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვთ. აფხაზური ეთნოსი, ფაქტობრივად, არ არსებობს, იგი იგივე ქართული ეთნოსია, რომელშიც უმნიშვნელო რაოდენობითაა უცხო ეთნოსი შერეული და ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მასზე, რამეთუ არსად ღებულობენ მხედველობაში. აფხაზების მშობლიური ენა ყოველთვის იყო მეგრული. ისინი, ძირითადად, დღესაც ისევ მეგრულად მეტყველებენ, ე.წ. აფხაზური გვარები თითქმის ყველა მეგრულია და ა.შ.

ამდენად, მართალია, დღევანდელი ე.წ. აფხაზები, ფაქტობრივად, იგივე მეგრელები არიან, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მათი უმეტესობა აშკარად გაუცხოებულია ქართული სინამდვილიდან. ისინი მრწამსითაც გააფხაზებული არიან და დარწმუნებულნი, რომ თითქმის არაფერი საერთო აქვთ ქართველებთან.

რა უზარმაზარი სამუშაო უნდა ჩაეტარებინათ გარკვეულ ძალებს, რომ ისინი ამაში დაერწმუნებინათ და რამდენად უყურადღებოდ უნდა დაეტოვებინათ ისინი ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, რომ მათ ეს განეხორციელებინათ.

როგორ განვითარდა აფხაზეთში მოვლენები, ვის ეკისრება მათზე პასუხისმგებლობა, ეს ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, მაგრამ ერთ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი – დღეს აფხაზი ლიდერები შესჩივიან მსოფლიო საზოგადოებას, თითქოს ისინი სტალინმა დაჩაგრა და, საერთოდ, ქართველები ჩაგრავდნენ აფხაზებს, რაც მათთვის ჩვეული პროვოკაციაა და რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოება: კომუნისტურ ეპოქაში, როდესაც აფხაზეთს ავტონომიის სტატუსი მიენიჭა (1931

წ.), მასში არ შევიდა აფხაზეთის ისტორიული ტერიტორია, სოჭი-ტუაფსეს რეგიონი, იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში შეიყვანეს სამეგრელოს მკვიდრი ნაწილი, ტერიტრია ქ.სოხუმიდან მდინარე ენგურამდე, გაცილებით მეტი ტერიტორია, ვიდრე სოჭი-ტუაფსეს რეგიონის ტერიტორია იყო. ფაქტობრივად, დაიჩაგრნენ მეგრელები და ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის სათავეში იყო სტალინი, თითქმის შეუზღუდავი უფლებით.

ამაზე რომ აფხაზი დემაგოგი ლიდერები არაფერს ამბობენ, გასაგებია, მაგრამ ქართველი მოღვაწეების დუმილს რა გამართლება აქვს?!

როგორც ცნობილია, ე.წ. აფხაზები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დაახლოებით 17%-ს შეადგენდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ხელმძღვანელი თანამდებობების თითქმის 80% მათ ეკავათ, რაც მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში უპრეცედენტო მოვლენა იყო.

ყოველ შემთხვევაში, იმდენად პრივილეგირებული პირობები ჰქონდათ აფხაზებს, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებთან შედარებით, რომ მეგრელები, ლაზები, იმერლები, გურულები, რაჭველები, ქართლელები ვერ უძლებდნენ ცდუნებას და ხშირად თმობდნენ ყველაზე ძვირფასს, რაც მათ გააჩნდათ – ეროვნებას და აფხაზებად ეწერებოდნენ.

ამდენად, აფხაზების დაჩაგვრაზე საუბარი, აშკარა პოლიტიკური პროსტიტუციაა.

ყოველივე ეს უნდა იცოდეს მსოფლიო საზოგადოებამ, ხალხმა, რათა რეალური წარმოდგენა შეექმნათ აფხაზეთში განვითარებული მოვლენების არსზე, აფხაზეთის საშინელი ტრაგედიის მიზეზებზე.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, დავუბრუნდე იმ საკითხს, რამაც ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა – როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ლაზებს ეჭვი ეპარებათ თავიანთ ქართველობაში. თუმცა, საამისოდ არავითარი საფუძველი არ არსებობს. დამერწმუნეთ, არასდროს არ დამდგარა

ეჭვის ქვეშ ლაზების ჭეშმარიტი ქართველობა. მით უმეტეს, რომ ლაზები, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, ქართული ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედნი არიან და მათ არც ერთი ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ქართველობაზე.

მიუხედავად ამისა, ლაზებს რომ თავიანთ ქართველობაში ეჭვი ეპარებათ, ამაში მოულოდნელი არაფერია, ეს ჩვენი შავბედითი ისტორიის შედეგია. მით უმეტეს, არა თუ ლაზებს, რომლებიც თითქმის ხუთი-ხუთნახევარი საუკუნეა მოწყვეტილი არიან მშობლიურ ხალხს, არამედ იმ ქართული კუთხეების მკიდრებსაც კი ეპარებათ ეჭვი თავიანთ ქართველობაში, რომლებიც ქართულ სინამდვილეს არ მოწყვეტილან.

მართალია, დღეს ეს საკითხი, თითქოს, მოხსნილია და ყველა ქართული კუთხის მკვიდრი, გარდა აფხაზებისა, თავის ქართველობაში დარწმუნებულია, მაგრამ ცნობილი სიტუაციებიდან გამომდინარე, თქვენთან ამ საკითხზე არავის უმუშავია და, ბუნებრივია, თქვენც არა ხართ დარწმუნებული თქვენს ჭეშმარიტ ქართველობაში.

სწორედ ამ საკითხზე შევარეჩებ თქვენს ყურადღებას: ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილეში ახალი იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოჩენის (ძვ. წ. IV ს.) ეპოქიდან მოყოლებული, ერთიან საქართველოს ეპოქამდე (XI-XV სს.) და შემდგომშიც, XIX საუკუნემდე, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და თითქოს გაერთიანდა, იგი, ძირითადად, ყოველთვის დაშლილი იყო სამეფო-სამთავროებად, რის გამოც ქართული რეგიონები ხანგრძლივი დროის ვანმავლობაში ერთმანეთისგან მოწყვეტილნი იყვნენ. ასეთმა გარემოებამ მკვეთრად დააქვეითა ამ რეგიონების მკვიდრთა ზოგადქართული თვითშეგნება და ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როდესაც ამა თუ იმ ქართული კუთხის მკვიდრს თავის ეროვნებად მიაჩნდა იმ კუთხის დასახელება, სადაც ცხოვრობდა. ამ ყოველივემ ასახვა ჰპოვა საქართველოში ჩატარებული აღწერისას (1897 წ.), როდესაც ეროვნების გამსაზღვრელი სარწმუნოების კრი-

ტერიუმი ეროვნების მაჩვენებელი რეკვიზიტით შეიცვალა.

ჩვენს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის იყო ერთიანი საქართველოს (XI-XV სს.) ეპოქა, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრიობის მაღალ დონეს მიაღწია და მრავალი შესანიშნავი სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურული ღონისძიება გატარდა.

სწორედ ამ ეპოქაში მიიღეს საქართველოს მმართველმა წრეებმა უაღრესად ბრძნული გადაწყვეტილება – ქართულმა ენამ მიიღო ზოგადსახელმწიფოებრივი სტატუსი, დაკანონდა მუდმივი გვარების ინსტიტუტი, დამკვიდრდა ზოგადქართული ცნებები „საქართველო“ და „ქართველი“.

ამ ეპოქაში დაიწყო ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბების ინტენსიური პროცესი, რაც დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ სახელდებულია „ქართიზაციის“ პროცესად. სწორედ ეს პროცესი ითვალისწინებდა ყველა კუთხის ქართველებში ქრისტიანული მართლმადიდებლობის ერთადერთ რელიგიად დაკანონებას, საქართველოში არსებული ქართული დიალექტების ქართული ენით შეცვლას, ზოგადქართული ცნებების – „საქართველოს“ და „ქართველის“ დამკვიდრებას, მუდმივი გვარების შემოღებას და, რაც მთავარია, ზოგადქართული ცნობიერების ჩამოყალიბებას.

მართალია, ერთიანი საქართველოს ეპოქაში ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი წარმატებით წარიმართა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველო ისე დაიშალა, რომ ვერ განხორციელდა მისი ბოლომდე მიყვანა, ვერ მოხერხდა მეგრულ-სვანური ენების ქართული ენიო მთლიანად შეცვლა, ზოგადქართული ცნებების – „საქართველოს“ და „ქართველის“ მყარად დამკვიდრება.

საქართველოს დაშლის მომდევნო ეპოქაში მოესწრო დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე ქართულენოვანი იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბება, რასაც საფუძველი ჩაუყარეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადგილობრივმა მეგრელ-ლაზებმა და ქართლიდან გადასულმა

ქართლელებმა. შესაბამისად, იქაური მეგრელ-ლაზების ენაც ქართული გახდა და, ამის შემდეგ, დამკვიდრდა ცნება „იმერელი“, ხოლო იქაურ მეგრელ-ლაზებს შემდგომში იმერლებად მოიხსენიებდნენ.

გურულები და აჭარლები უფრო გვიან გახდნენ ქართულენოვანი, ხოლო სამეგრელო-აფხაზეთი მეგრულენოვანი დარჩა; თუმცა, ბუნებრივია, იქაც სახელმწიფო ენად ქართული იყო.

სამწუხაროდ, „ქართიზაციის“ პროცესი ყველაზე ნაკლებად სწორედ ლაზიკას შეეხო, ვინაიდან ის ერთიან საქართველოს ეპოქაშივე მოწყდა საქართველოს (1203 წ.), ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ იყო ქართულენოვანი რეგიონი. ბუნებრივია, ლაზებმა ვერც ქართული ენის შესწავლა მოასწრეს და ვერც ზოგადეროვნული ცნებების – „საქართველოს“ და „ქართველის“ არსის გათავისება. მით უმეტეს, რომ მათ მიაჩნდათ, თითქოს ეს ცნებები ქართლისა და ქართლელის გავლენით იყო შექმნილი და მათში, ძირითადად, ქართლი და ქართლელები მოიაზრებოდნენ, რაც სრულიად არასწორია, ვინაიდან ლაზებიც ისევე მოიაზრებოდნენ ამ ცნებების ქვეშ, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული კუთხის მკვიდრნი – ქართლელები, კახელები, იმერლები, მეგრელები, სვანები და ა.შ.

დამერწმუნეთ, ეს ცნებები ქართლისა და ქართლელის გავლენით ვერ შეიქმნებოდა, რადგანაც ამ ცნებების დამკვიდრების წინარე ეპოქაში (XI საუკუნემდე) ქართლს ერქვა „იბერია“ და ქართლელს „იბერი“, ხოლო ტერმინები „ქართლი“ და „ქართლელი“ არ არსებობდნენ. ისინი წარმოჩინდნენ ერთიანი საქართველოს დაშლის მომდევნო ეპოქაში (XV ს.), როდესაც ცნებებმა – „საქართველომ“ და „ქართველმა“, ფაქტობრივად, პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა დაკარგეს.

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში „მეფე-აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა“, ტერმინ „ქართველთას“ ქვეშ იგულისხმებოდნენ სამხრეთ საქართველოს მკვიდრნი, ვინაიდან იმ ეპოქაში ქართლი, როგორც ადმინისტრაციუ-

ლი ერთეული, სამეფო, არ არსებობდა. იგი დაპყრობილი იყო ეგრის-აფხაზეთის სამეფის მიერ, რის გამოც ქართლელები, ისევე, როგორც მეგრელები (მათ შორის ლაზებიც და აფხაზებიც) ტერმინ „აფხაზთას“ ქვეშ მოიაზრებოდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს ქვეყანას იმიტომ დაერქვა „საქართველო“ და მის მემკვიდრეს „ქართველები“, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი სამხრეთ ქართველთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო.

დამერწმუნეთ, საქართველოში არასდროს დამდგარა ეჭვის ქვეშ ლაზების ჭეშმარიტი ქართველობა. მით უმეტეს, არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩამოთვლიდნენ ქართული კუთხეების მკვიდრებს კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, მესხებს, მთიულებს თუ სხვებს, ლაზები არ ეხსენებინათ.

მხოლოდ ეს იყო, რომ ფაქტობრივად, ლაზი ასოცირდებოდა მეგრელთან, რაც სრულიად კანონზომიერია, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, ლაზიკაში მცხოვრები მეგრელი იწოდებოდა ლაზად და ლაზები მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ლაზების წარმოჩენის შემდეგ, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათ არც ერთი სხვა ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ქართველობაზე.

მართალია, თითქმის 8 საუკუნეა ლაზიკის ძირითადი ნაწილი მოწყდა საქართველოს და ლაზების უმეტესობა მშობლიურ ხალხს დაშორდა, მაგრამ, ლაზიკის ყოფილ ტერიტორიაზე, დღევანდელ გურია-აჭარაში და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ლაზები, ბუნებრივია, დღესაც იქვე ცხოვრობენ. თუმცა, დღეს, ისინი იმერლებად, მეგრელებად, აფხაზებად, აჭარლებად და რაჭველებად იწოდებიან.

აქ შემდეგ მოვლენასთან გვაქვს საქმე – როდესაც ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ლაზიკის, მარგვეთისა და აფხაზეთის

საერისთავოები წარმოჩინდნენ, იქ მცხოვრებ მეგრელებს დაერქვათ ლაზები, მარგველები და აფხაზები. ასევე, ეგრისის სამეფოში ახალი ქართულენოვანი რეგიონების, იმერეთის, რაჭის, გურიისა და აჭარის წარმოჩენის შემდგომ (XIII-XV საუკუნეებში), რადგანაც ლაზიკა უკვე არ იყო საქართველოს ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ლაზები მეგრელებად, აფხაზებად, იმერლებად, გურულებად, აჭარლებად და რაჭველებად მოიხსენიებოდნენ.

ეს ქართველი ერის ჩამოყალიბების თანმდევი პროცესია და დაკავშირებული არ არის რაიმე ეთნიკურ ცვლილებასთან, ვინაიდან ყველანი ქართველები არიან.

ბუნებრივია, რომ ქართველ პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, პოეტებს თუ მეცნიერებს შორის ბევრს, სწორედ, ლაზური წარმომავლობა ჰქონდათ, ისინი ღირსეული მამულიშვილები იყვნენ და დიდი ამაგი დასდეს მშობლიურ ერს. მართალია, დღეს საქართველოში მცხოვრებ ქართველთა შორის ლაზი თითქმის არ მოიხსენიება, მაგრამ ვინც ქართულ გვარებში ერკვევა, ადვილად ხვდება, ქართველებიდან რომელს აქვს ლაზური წარმომავლობა.

ეს რომ თქვენთვისაც გარკვეული იყოს, მიზანშეწონილად მიმაჩნია შევეხო გვარების საკითხს.

მსოფლიოს ხალხებში გვარის ინსტიტუტი შედარებით ახალია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამეფო და წარჩინებულ გვარებს, რიგით მოსახლეობას მუდმივი გვარები XX საუკუნის დასაწყისიდან დაუკანონდათ, ხოლო მუსულმანურ ქვეყნებში – 30-იანი წლებიდან.

მსოფლიოში საქართველო, ალბათ, ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია, სადაც გვარებს დიდი ხნის ისტორია აქვს.

ზუსტად არ არის დადგენილი, საქართველოში როდიდან დაკანონდა მუდმივი გვარები. ვარაუდობენ, თითქოს „ძე“-ზე და „შვილზე“-ზე დამთავრებული მუდმივი ქართული გვარები ერთიანი საქართველოს ეპოქაში, დაახლოებით XIII საუკუნიდან შემოვიდა, რაც სახელმწიფო რეფორმის შედეგი შეიძლებოდა

ყოფილიყო, მაგრამ, ეტყობა დასავლეთ საქართველოს ერთიანი ეგრისის სამეფოს მკვიდრებს, მეგრელებს (მათ შორის აფხაზებს, ლაზ-ჭანებს, მარგველებს) და სვანებს გვარები გაცილებით ადრინდელი ეპოქიდან უნდა ჰქონოდათ, რაზეც მეტყველებს შემდეგი გარემოება – მეგრელებს XIII საუკუნემდე გვარები რომ არ ჰქონოდათ, მათაც „ძე“-ზე და „შვილ“-ზე დამთავრებული გვარები ექნებოდათ, ვინაიდან ამ სტილის გვარების შემოღების ეპოქაში ეგრისის სამეფო ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

უფრო მეტი, ლაზ-ჭანებს გვარები რომ არ ჰქონოდათ, არც დღევანდელი ლაზების მახსოვრობას შემორჩებოდა თავიანთი უძველესი გვარები და არც დამკვიდრდებოდა ცნება „ლაზური გვარი“, ვინაიდან ამ ეპოქაში (XII-XIII სს.) ლაზიკა, ფაქტობრივად, ერთიანი საქართველოს შემადგენლობიდან გასული იყო.

როდიდან ჰქონდათ გვარები მეგრელებს, ძნელი დასადგენია, რადგანაც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ეგრისის სამეფოს ისტორია თითქმის უცნობია და იმ ეპოქის მეგრელი მოღვაწეების გვარები ისტორიას არ შემორჩა.

ყოველ შემთხვევაში, აღიარებულია, რომ უძველესი ქართული გვარი არის მეგრულ-ლაზური გვარი „ბაღვაში“, რომელიც ცნობილია VII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ბაღვაშები მარგვეთის მფლობელი ერისთავები გახდნენ.

შემდგომში ამ გვარიდან სხვა გვარებიცაა ნაწარმოები და დადიანების პირვანდელი გვარიც ბაღვაში უნდა იყოს.

უფრო მეტი, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ლაზური გვარი IV საუკუნიდან არის ცნობილი და ეს გვარი შეიძლება იყოს „პიტიახში“.

მართალია, „პიტიახში“ თანამდებობად ითვლება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, იგი სუფთა ლაზური გვარია.

ისტორიაში ცნობილი არიან V საუკუნის მოღვაწეები არშუშა პიტიახში და მისი შვილი ვარსქენ პიტიახში. სწორედ ვარსქენ პიტიახშზეა შექმნილი პირველი ქართული თხზულება „შუშანიკის წამება“. ეტყობა, ის სპარსეთის მეფის ქვეშევრდო-

მად ითვლებოდა და იძულებული იყო მაზდეანობა მიეღო.

შემდგომში, ვარსქენ პიტიახში საქართველოს დიდმა მეფემ ვახტანგ გორგასალმა (V-VI სს.) მოაკვლევინა.

არშუშა და ვარსქენი ქართლის პიტიახშებად ითვლებოდნენ, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არასწორია. უფრო გამართლებული იქნება, თუ მათ ჩავთვლით სპარსეთის მეფის მიერ ქართლის ერისთავებად დასმულ ლაზ ფეოდალებად, რომელთა გვარი პიტიახში იყო.

ამ გარემოებას ანგარიშგასაწევს ხდის ცნობილი ქართველი მოღვაწის, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიკვლეული ბეჭედი, რომელზეც წარწერილია მისი პატრონის ვინაობა – „უჩა პიტიახში“.

„უჩაც“ სუფთა მეგრულ-ლაზური სახელია, რომელიც შავს ნიშნავს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს პიტიახშების ლაზობაზე.

ირკვევა, რომ მეოთხე საუკუნის მოღვაწე უჩა პიტიახშიც ქართლის ერისთავია და არშუშა და ვარსქენ პიტიახშების წინაპრად მიაჩნიათ.

ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უძველესი ქართული გვარი, რომელიც ისტორიას შემორჩა არის ლაზური გვარი „პიტიახში“.

სხვათა შორის, ის გაუგებრობა, რომ მარგვეთის საერისთავოს მფლობელებს, ბაღვაშებს, VII საუკუნიდან, აღმოსავლეთ საქართველოში ეკუთვნოდა კლდეკარი, ორბეთი, სკვირეთი და ატენი, შეიძლება სწორედ პიტიახშების დამსახურება იყოს – მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა ვარსქენ პიტიახში, ისტორიაში პიტიახშები აღარ ჩანან, მაგრამ VII-VIII საუკუნეებში, ქართლის ერისთავებად ჩანან სხვა ლაზი დიდებულები – ბაღვაშები. ეტყობა, მათ ეს მამულები პიტიახშების შემდეგ მიიღეს. შესაძლებელია, როგორც მემკვიდრეებმა.

დაახლოებით VI-VII საუკუნეების მოღვაწეებზე სიყვარულით მოგვითხრობენ ლაზური თქმულებები, რომელთა პერსო-

ნაჟებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული გმირები არიან. მათ შორის გამოირჩევიან პეტრე ხეცია, კახაბერი და სხვები (ბრ. „ლაზები“, იური სიხარულიძე, 1999 წ.).

„კახაბერი“ ლაზური გვარია და ნიშნავს „კახას შვილს“. ეს გვარი მცირედ შემორჩა, მაგრამ საფუძვლად დაედო გვარებს – კახაბერიძეს და კახაბერიშვილს.

„ხეცია“ მეგრული თავადური გვარია, რომლის ძირი სენაკის რაიონშია.

გვარი „ხეცია“ ამ ფორმით არ შემორჩა. დღეს იგი „მხეიძედ“ მოიხსენიება და გავრცელებულია იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. თუმცა, სამეგრელოში მხეიძეებს დღესაც „ხეციებს“ ეძახიან.

ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ქართული გვარებიდან ისტორიას თითქმის IV-VI საუკუნეებიდან შემორჩა მეგრულ-ლაზური გვარები. ბუნებრივია, ლაზებს, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს, გვარები გაცილებით ადრე ჰქონდათ, ვიდრე ისინი მშობლიურ ერს მოწყდებოდნენ (XIII ს.).

მართალია, დღეს, თურქეთში ლაზებს, ძირითადად, თურქული ფორმის გვარები აქვთ, მაგრამ თითქმის ყველას ახსოვს თავისი ლაზური გვარი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ მათ იციან, თუ ვისი გვარის არიან.

დადგენილია, რომ მეგრული გვარების მაწარმოებელი დაბოლოებებია „ია“, „უი“, „ვა“, „ში“ (ში – მეგრულ-ლაზური კუთვნილებითი სუფიქსი), „ბერი“ (ლაზურად შვილი), „სქირი“ (ჭანურად შვილი), „ჭკორი“ (მეგრულად ყმა).

არსებობს კიდევ დაბოლოება „ბა“, რაც, იდიოტური გაუგებრობის შედეგად, ე.წ. აფხაზური გვარების დაბოლოებად ითვლება, მაგრამ ეს ასე არ არის. მიღებულია, რომ ზოგიერთი მეგრული გვარი ხალხში მოიხსენიება დაბოლოების გარეშე: ანთელავაზე იტყვიან ანთელა, გერგედავაზე – გერგედა, მიქაიაზე – მიქა, ზუხბაიაზე – ზუხბა, ჩიქობავაზე – ჩიქობა, თარაბაიაზე – თარაბა, შამბაიაზე – შამბა, ზვამბაიაზე –

ზვამბა, კაკუბავაზე – კაკუბა და ა.შ.

ამდენად, „ბა“-ც მეგრული გვარების დაბოლოებაა, მაგრამ მხოლოდ იმ გვარების, რომლებიც ხალხში ლიტერატურული დაბოლოების გარეშე იხსენიება.

მართალია, სამეგრელოს რეგიონებში სპეციფიური მეგრული გვარებია გავრცელებული, მათ შორის აფხაზეთშიც და ლაზიკაშიც, მაგრამ ვინც მეგრულ გვარებში კარგად ერკვევა, ხვდება, რომელი გვარი რომელი რეგიონისთვისაა მახასიათებელი.

მეგრული გვარებიდან უშუალოდ ლაზური გვარებია „ში“-ზე და „ბერი“-ზე დამთავრებული გვარები, ხოლო „სქირი“-ზე დამთავრებული გვარები ჭანური გვარებია:

ჯაში, ტუღუში, გეგეში, გურეში, ხალვაში, მეძიშიში, ვანილიშიში, ტრაპშიში, ბაღაფში, ბაღვაში, ხაზირიში, ცარგუში, ბადიდიში, აბაში, ჯანაში და ა.შ.

კახაბერი, თუთაბერი, კაკუბერი, გიგიბერი, ჩაკაბერი, ღოღობერი, გოგიბერი, ლოსაბერი, დოლაბერი, მაცაბერი, კობერი, გუმბერი, ღვამბერი და ა.შ.

წულეისქირი, პაპასქირი, კვეკვესქირი, ბულესქირი, გაბესქირი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლაზიკის ძირითადი ნაწილი, რომელიც მცირე აზიაში მდებარეობდა, XIII საუკუნიდან მოსწყდა საქართველოს და ლაზების უმეტესობა დღეს თურქეთში ცხოვრობს, მაგრამ ლაზიკის ის ნაწილი, სადაც დღეს გურია და აჭარაა, საქართველოს ფარგლებში დარჩა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ლაზები ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ, ბუნებრივია, რომ მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ საქართველოში, ოღონდ ლაზებად არ იწოდებიან. ისინი დღეს მეგრელებად, იმერლებად, გურულებად, აჭარლებად, აფხაზებად და რაჭველებად მოიხსენიებიან.

თქვენ ეს ლაზების დაჩაგვრად არ მიიღოთ, ასევეა მეგრელების მიმართაც. მეგრელთა უმეტესობა დღეს იწოდება იმერ-

ლად, გურულად, აფხაზად, აჭარლად და რაჭველად, იმის მიხედვით, თუ რომელ კუთხეში ცხოვრობს.

მითუმეტეს, რომ, დღეს, საქართველოს სინამდვილეში ლაზიკა, როგორც კუთხე, აღარ არსებობს და საქართველოში მცხოვრები ლაზები, სრულიად კანონზომიერად, იმ კუთხის ღირსეული წარმომადგენლები არიან, სადაც ცხოვრობენ.

ბუნებრივია, ლაზური გვარების უმეტესობამ იმ კუთხის გვარების ფორმა მიიღო, სადაც ისინი ცხოვრობენ.

სამეგრელო – აფხაზეთში ლაზურ გვარებს ბოლოში „ა" დაემატათ: ჯანაში გახდა ჯანაშია, აბაში – აბაშია, კაში – კაშია, გოთოში – გოთოშია, ჯგვიში – ჯგვიშია, მორგოში – მორგოშია, ყორში – ყორშია, შარაში – შარაშია და ა.შ.

თუთაბერი გახდა თუთბერია, გიგიბერი – გიგიბერია, ჩაკაბერი – ჩაკაბერია, კაკუბერი – კაკუბერია და ა.შ.

ბულესქირი გახდა ბულესქირია, გაბესქირი – გაბესქირია და ა.შ.

აჭარაში, გურიაში, იმერეთში და რაჭაში ლაზურ გვარებს ბოლოში ძირითადად „ძე" დაემატათ.

აბაში გახდა აბაშიძე, გურეში – გურეშიძე, გეგეში – გეგეშიძე, შარაში – შარაშიძე, დურმიში – დურმიშიძე, ყიფში – ყიფშიძე, ნაკაში – ნაკაშიძე, არეში – არეშიძე და ა.შ.

თუთაბერი გახდა თუთბერიძე, გოგიბერი – გოგიბერიძე, კაკუბერი – კაკუბერიძე, დოლაბერი – დოლაბერიძე, სულაბერი – სულაბერიძე, გუმბერი – გუმბერიძე, მაცაბერი – მაცაბერიძე, დოლაბერი – დოლაბერიძე და ა.შ.

თუ დღეს საქართველოში „ში"-ზე და „სქირი"-ზე დამთავრებული ლაზური გვარები მეტ-ნაკლებად შემორჩენილია, თითქმის არ არის შემორჩენილი, პირვანდელი ფორმით, „ბერი"-ზე დამთავრებული ლაზური გვარები.

სხვათა შორის, „ბერი"-ზე დამთავრებულ ლაზურ გვარებს „ძე" დაბოლოება დაემატა იმ ეპოქაში, როდესაც ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე წარმოჩინდა პირველი ქართულენოვანი იმერეთის სამეფო (XV ს.), როდესაც „ბერი"-ს მნიშ-

ვნელობა, ფაქტობრივად, უკვე დავიწყებული იყო, თორემ ასეთი მეთოდით შექმნილი გვარები გარკვეულ უხერხულობას ქმნიან.

ავიღოთ გვარი „თუთაბერი“, ის მეგრულ-ლაზურად ნიშნავს „მთვარის შვილს“ და მასზე „ძე“-ს ან „შვილი“-ს დამატება ყოვლად უშინაარსოა, მაგრამ დღეს ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ საქართველოში, თითქმის ყველა გვარი, რომელშიც დაბოლოებების „ძე“-ს, „შვილი“-ს და „ა“-ს წინ ზის „ში“ ან „ბერი“, ყველა ლაზური გვარია და ასეთი გვარების მატარებელი ხალხი, მიუხედავად იმისა, დღეს ისინი იმერლებად, აჭარლებად, გურულებად თუ რაჭველებად იწოდებიან, მაინც ლაზების შთამომავლები და ჭეშმარიტი ქართველები არიან.

აღსანიშნავია, რომ „ბერიძე“ ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში. როგორც ცნობილია, საზოგადო მოღვაწე ვუკოლ ბერიძე ამბობს, თურმე, ბერიძის პირვანდელი ფორმა ყოფილა „ბერია“ და ამ გვარის ძირი სოფელი „საბერიო“ ყოფილა, გალის რაიონში.

ამ მოსაზრებებს ანგარიშგასაწევს ხდის ის გარემოება, რომ სამხრეთ საქართველოში ბერიძეებს დღესაც „ეგრისელაანთ (მეგრელ) ბერიძეებად“ მოიხსენიებენ.

ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან საქართველოში ლაზებს, ფაქტობრივად, ყოველთვის მეგრელებად აღიქვამდნენ.

აფხაზეთშიც საკმაო რაოდენობით ცხოვრობენ ლაზების შთამომავლები. ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ისინი აფხაზეთში მოხვდნენ ეგრისის სამეფოში ლაზების ზეობის ეპოქაში (V-VI სს.), დაახლოებით მაშინ, როდესაც ლაზებმა საქართველოს ჩრდილო საზღვარზე, აფხაზეთში ქალაქი „ლაზიკე“ (დღ. ტუაფსეს მიდამოები) დააარსეს.

მართლაც, აფხაზეთში ყველაზე მეტადაა შემორჩენილი უცვლელად ლაზური გვარები – ტრაპში, ბაღაფში, ცარგუში, ხაზირიში, ბადიდიში, კვეკვესქირი, პაპასქირი და ა.შ.

ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ლაზური გვარი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში, ვინაიდან აშკარაა, ლაზებს ამ ეპოქაში (V-VI სს.) გვარები უკვე ჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ, ისევე როგორც აფხაზებს, მეგრული გვარები ექნებოდათ.

ბუნებრივია, აფხაზეთში მცხოვრები ლაზები აფხაზებად იწოდებოდნენ, ისევე, როგორც იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარაში და რაჭაში მცხოვრები ლაზები იწოდებოდნენ იმერლებად, გურულებად, მეგრელებად, რაჭველებად და აჭარლებად, რაც ერის ჩამოყალიბების თანმდევი მოვლენაა. ისინი, დღეს, ყველანი ქართველებად წერია, მაგრამ ამ მოვლენამ აფხაზეთში უარყოფითი დატვირთვა მიიღო, ვინაიდან, იქ, ეროვნებად თითქმის ყველა ლაზს „აფხაზი" უწერია. ესეც ჩვენი აებედითი ისტორიის შედეგია.

აფხაზეთში ლაზები „აფხაზებად" XIX საუკუნის ბოლოს, ჩაეწერენ, მაშინ, როდესაც ქართული ტომური დატვირთვის მქონე ცნება „აფხაზს" რუსებმა ეროვნების ფუნქცია დააკისრეს.

სამწუხაროდ, ისინი მრწამსითაც გააფხაზებულნი არიან, მაგრამ სარწმუნოება არ შეუცვლიათ და დღესაც ყველანი ჭეშმარიტი მართლმადიდებლები არიან.

ამდენად, ლაზები და მეგრელები, ფაქტობრივად, ერთი და იგივე ხალხია. საქართველოში, მათ, ხშირად, საერთო სახელით მოიხსენიებდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი ხალხი მათ ყოველთვის მეგრელებად აღიქვამდა.

მეგრელებსა და ლაზებს შორის ისეთივე უმნიშვნელო განსხვავებაა, როგორიც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ მეგრელებს შორის, დაახლოებით საკუთრივ მეგრელებსა და აფხაზეთ-სამურზაყანოს მეგრელებს შორის და ლაზებიც ისეთივე სრულუფლებიანი ჭეშმარიტი ქართველები არიან, როგორც ქართლელები, მეგრელები, კახელები, იმერლები, გურულები, აჭარლები, სვანები, რაჭველები, მესხები, ჯავახები, მთიულები, ხევსურები თუ მოხევეები.

ამდენად, მართალია, ლაზიკის ძირითადი ტერიტორია, თითქმის 8 საუკუნეა, მოწყდა საქართველოს და ლაზ-ჭანების უმრავლესობა მშობლიურ ხალხს დაშორდა, მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოში დღესაც ბევრი ლაზური წარმომავლობის ქართველი ცხოვრობს და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მათ იმერლებად მოიხსენიებენ, მეგრელებად, გურულებად, აჭარლებად თუ რაჭველებად. არც იმას აქვს მნიშვნელობა, უცვლელად დარჩათ თუ არა მათ პირვანდელი ლაზური გვარი, ისინი ყველანი ჭეშმარიტი ქართველები არიან, რაც სრულიად კანონზომიერია.

უფრო მეტიც, რომ არაფერი ვთქვათ ლაზური გვარებისა და ლაზური გვარებიდან იმერულ-მეგრულ სტილზე გადაკეთებული ლაზური გვარების მქონე ადამიანებზე, დასავლეთ საქართველოში იშვიათად ნახავთ ქართველს, რომლის გენეტიკაში ლაზური სისხლი არ ერიოს. ეს კიდევ უფრო ახლობელს და მშობლიურს ხდის სამშობლოდან ბედის უკუღმართობით მოწყვეტილ თითოეულ ლაზს.

ბუნებრივია, ამ ლაზების შთამომავლებმა, რომლებიც ლაზიკის საქართველოდან მოწყვეტის შემდეგ საქართველოში დარჩნენ, ღირსეულად მოიხადეს ვალი ერის წინაშე, იქნებოდა ეს საქართველოს გადარჩენა, თუ ქართული თვითშეგნების შენარჩუნება.

ყოველ შემთხვევაში, ლაზური დინასტია ეგრისის სამეფოს სათავეში აღმოჩნდა იმ ეპოქაში (III-VIII სს.), რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს სინამდვილეში და, სწორედ, ეგრის-ლაზიკის სამეფოში მომზადდა საფუძველი უდავოდ ძლიერი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოსაყალიბებლად, რომელსაც, ქართული სამეფო-სამთავროებიდან, ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა საქართველო გაეერთიანებინა.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ არა ლაზების ზეობის ეპოქა დასავლეთ საქართველოში, შესაძლებელია, არც კი გვქონოდა ერთიანი საქართველოს ბრწყინვალე ეპოქა (XI-XV სს.).

მართლაც, ქართველი მეცნიერები ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ ლაზების უაღრესად დიდ როლს საქართველოს ისტორიაში.

მერწმუნეთ, თქვენი სამშობლო საქართველოა და თქვენ ქართველი ხალხის ღვიძლი შვილები ხართ, მით უმეტეს, როდესაც ჩამოთვლიან საქართველოში სხვადასხვა კუთხის მკვიდრებს, ბუნებრივია, თქვენ ყოველთვის გახსენებენ ერთ-ერთი ძირძველი ქართული კუთხის, ლაზიკის ქართველებად, ისევე, როგორც ქართლელებს, მეგრელებს, კახელებს, იმერლებს და სხვებს.

ამშაი რაიმე ეჭვის შეტანა მოკლებულია ყოველგვარ საღ აზროვნებას და მხოლოდ იმას მოუვა აზრად, ვისაც ეს პოლიტიკური ავანტურისთვის სჭირდება.

თქვენი თვითშეგნება და წარსული გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ არ აჰყვებით ამდაგვარ პროვოკაციას და ამით შეურაცხყოფას არ მიაყენებთ ღირსეულ წინაპრებს, რომლებმაც უაღრესად რთულ სიტუაციაში შეძლეს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

სწორედ, თქვენი ღირსეული წინაპრების, თქვენი უხუცესების გულმოდგინე, თავდადებული ბრძოლის შედეგად შეინარჩუნეთ, თქვენ, მეტ-ნაკლებად, ჯიში, თვითშეგნება, ტრადიციები, ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები და რწმენა. ასე რომ, თქვენი სამშობლო საქართველოა და თქვენ ქართველი ხალხის ღვიძლი შვილები ხართ.

სწორედ ამაშია ქართველი ხალხის გადარჩენის ფენომენი... მსოფლიო ისტორიის ასპარეზიდან გაქრნენ მრავალრიცხოვანი ერები, რომლებმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშეს კაცობრიობის ისტორიაში, ხოლო ქართველი ერი გადარჩა.

ქართველმა ერისკაცებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა, სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინეს თქვენდამი, მაგრამ საყვედურს მაინც არ იმსახურებენ, რადგანაც ამის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, არც ძველად და არც კომუნისტურ ეპოქაში. დარწმუნებული ვარ, ყოველივეს სწორად გაიგებთ.

უმორჩილესად გთხოვთ, ნუ იფიქრებთ, თითქოს, მათ თქვენი ბედი არ აწუხებდათ, პირიქით, ისინი თაობებს ზრდიდნენ და თქვენდამი სიყვარულს უნერგავდნენ, თქვენს ღვიძლ ძმობაში არწმუნებდნენ.

მართალია, ჩვენი ავბედითი ისტორიის შედეგად, დღეს, ლაზები მუსლიმები და თურქეთის სრულუფლებიანი მოქალაქეები ხართ, მაგრამ ეს ქართველ ხალხს სწორად აქვს გაცნობიერებული და სრულებით არ უშლის ხელს თქვენდამი სიყვარულში. ამის თვალსაჩინო მაგალითია მშობლიურ წიაღში დაბრუნებული აჭარლებისადმი ქართველთა დამოკიდებულება. მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა ლაზ-ჭანების შთამომავლები არიან.

დღეს, ცივილიზებულ მსოფლიოს გაცნობიერებული აქვს, რომ ნებისმიერი რელიგია სიკეთეს, სიყვარულს, კაცთმოყვარეობას და ადამიანური პრინციპებისადმი ერთგულებას ქადაგებს და ყველა რელიგიური მიმდინარეობა უაღრესად დასაფასებელი და პატივსაცემია, რის გამოც დაუშვებელია სარწმუნოებრივი ფაქტორი ერთი და იგივე ხალხის ურთიერთგაუცხოების საბაბი გახდეს.

შესაძლებელია, უფრო მეტად ის გიკვირდეთ, რომ, დღეს, თითქოს დამოუკიდებელ საქართველოში, მმართველი წრეები, საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები სათანადო ყურადღებას არ გაქცევენ, მაგრამ დამერწმუნეთ, ეს ასე არ არის – საბჭოთა იმპერიის ნგრევამ, სახელმწიფო ფორმაციის მოულოდნელმა და გაუთვლელმა შეცვლამ, მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა საქართველოში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია უაღრესად გაართულეს, დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ხალხი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია, 300 ათასამდე აფხაზეთიდან იძულებით დევნილი ქართველი ფიზიკური და მორალური განადგურების ზღვარზეა, რის გამოც ვერ ხერხდება თქვენთან მჭიდრო კავშირების დამყარება.

დღეს შედარებით იმედიანად ვართ, რის საფუძველსაც იძ-

ლევა თურქულ-ქართულ ურთიერთობაში მიმდინარე დადებითი პროცესები – არის შანსი აღსდგეს კავშირები ლაზებსა და სხვა კუთხის ქართველებს შორის, რაც უდავოდ მისაღები იქნება, როგორც ქართველი, ასევე თურქი ხალხისთვის.

ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს ეს იქნება ეროვნული მნიშვნელობის უდიდესი მოვლენა საქართველოს სინამდვილეში.

ძმებო ლაზებო! გჯეროდეს, რომ თქვენმა დიდებულმა წინაპრებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი ეროვნული მისია და თქვენ არც ერთი სხვა ქართული კუთხის მკვიდრზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა გქონდეთ ჭეშმარიტ ქართველობაზე, ეს მყარად უნდა გააცნობიეროთ.

ჯიმალეფი ლაზეფი! – „ირო ორდათ, ჯვირო ორდათ, ირიათო ართო ვორდათ!“ (ხალხური).

უღრმესი პატივისცემით და სიყვარულით.

ანზორ შონია,

„ფაზისის“ და „სოციალურ და ეროვნულ ურთიერთობათა“ აკადემიების ნამდვილი წევრი, ქალაქ რუსთავის საზოგადოება „რუსთაველების“ საპატიო თავმჯდომარე.